დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM
# ასავალ დასავალი
2023 წლის 6 - 12 თებერვალი
N 7 1471
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ჭამაოების ბაზარი, ანუ 2

## ნიჟარაძის დედის საცივი


კამოს კერძს, რომელსაც ახლა სააკაშვილი შეექცევა, სოფო ნიჟარაძის დედის საცივი ათიათასჯერ სჯობს!



## ნინო ნადირაძევ, ქალი შენ უნდა გერქვას! 3-4

ნინო ნადირაძემ სასამართლო პროცესზე ბეჭებზე დადო სააკაშვილის ადვოკატები!



„მიხეილ სააკაშვილი თავის ჯანმრთელობას „კაგებეში" შემუშავებული სპეცმეთოდით ებრძვის!" 8

## „დემენციის საწყისი სტადიის სიმულაცია შესაძლებელია!" 13



14

## ივანიშვილი არ აპირებს, ნაცების პოლიტიკური ზოოპარკის შენობა გადაიფორმოს!

## გიული, 4



## აგრძნობ, რომ შენ და შენი შვილი მასხარებად იქეცით?







პუტინმა და ლავროვმა ისეთი სიმართლე თქვეს, რისი თქმაც აქამდე ვერავინ გაბედა! 26

## 1 მეტრი და 94 სმ 19

***2023 წლის 3 თებერვალს, ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან ზუსტად 18 წლისთავზე, სააკაშვილის სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა კლინიკა „ვივამედის" დირექტორი, ექიმი ნინო ნადირაძე, რომელმაც მსჯავრდებული ნაცბელადის ადვოკატებს შავი დღე აყარა და საქვეყნოდ შეარცხვინა.***



# ნიჟარაძის დედის საცივი

ჯერ მარტო ის რად ღირდა, რომ **ლამაზი და მომხიბლავი ნინო ნადირაძე** სააკაშვილის ვექილ ხაჭაპურიძეს პირზე დაადგა — **გაიხსენეთ, ჩემს კაბინეტში როგორ შემოხვედით და მითხარით, რომ სააკაშვილი გეზიზღებათ, რადგან დაუბანელია და ყარსო!**

„ვივამედის" დირექტორმა სასამართლოს ჩვენება მისცა იმასთან დაკავშირებითაც, თუ როგორ უშლიან ხელს სააკაშვილის გამოჯანმრთელებას მისივე ოჯახის წევრები და **მარიამ ჯიშკარიანის** ორგანიზაცია **„ემპათიის"** წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა პატიმარ-პაციენტი ნაცბელადი სრულფასოვნად არ იკვებებოდეს და საჭირო წამლებს არ იღებდეს.

**ნინო ნადირაძის მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების თანახმად, სიცრუეა, თითქოს სააკაშვილს ნოყიერი საკვების მიღება არ შეუძლია და ამიტომ მიირთმევს დიეტურ, დაბალკალორიულ საჭმელებს. მისი თქმით, სააკაშვილს რამდენჯერაც კარგი და ყუათიანი კერძები, მაგალითად, ხაჭაპური და საცივი მიუტანეს, იმდენჯერ მშვენივრად მიირთვა და მედპერსონალსაც გაუმასპინძლდა.**

„ვივამედის" ხელმძღვანელის ჩვენებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ **საცივი,** რომელსაც სააკაშვილი კლინიკაში ახალი წლის ღამეს მადიანად შეექცა და ექიმებსაც უწილადა, მისთვის **სოფო ნიჟარაძის დედას** მოუმზადებია.

მოგეხსენებათ, მომღერალ **სოფო ნიჟარაძეს** მიხეილ სააკაშვილისაგან შვილი — **ელისმარია სააკაშვილი** ჰყავს და სრულიად ბუნებრივია, რომ დედამისმა, ქალბატონმა **ქეთევან ნიკოლაიშვილმა** შვილიშვილის მამას კლინიკაში საახალწლოდ საცივი გაუგზავნა.

სხვათაშორის, **სოფო ნიჟარაძის დედა და სააკაშვილის ქალიშვილის ბებია ქეთევან ნიკოლაიშვილი** პროფესიით ექიმი გახლავთ და დარწმუნებული ვართ, კარგი საცივის გაკეთებასთან ერთად ისიც მშვენივრად ეცოდინება, რომ სააკაშვილის გამოჯანმრთელებისათვის კალორიული საკვების მიღება აუცილებელია.

და კიდევ: **სოფო ნიჟარაძის დედა, რომელმაც სააკაშვილს კლინიკაში საცივი გაუგზავნა, როგორც ჩანს, პოლიტიკურ ინსინუაციებში ჩართული არ არის, ნაცბელადის ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელოვნურად დამძიმების სცენარში არ მონაწილეობს და გულწრფელად სურს, მისი შვილიშვილის მამა გამოჯანმრთელდეს.**

სამაგიეროდ, იმავეს ვერ ვიტყვით **გიული ალასანიაზე,** რომელსაც, ექიმების არაერთი თხოვნისა და მოწოდების მიუხედავად, შვილისათვის კლინიკაში ნორმალური საჭმელი არაფრის დიდებით არ მიაქვს.

როგორც **ნინო ნადირაძის** მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებით გაცხადდა, თუ სოფო ნიჟარაძის დედა სააკაშვილს კლინიკაში საცივს უგზავნის, ნაცბელადისათვის საკუთარ დედას მხოლოდ მოხარშული კვერცხი, მაღაზიაში ნაყიდი სოკოს შილაფლავი, სალათის ფოთლები და ნიორწასმული შავი პური მიაქვს.

აბა, შეადარეთ: **სად — ნიჟარაძის დედის საცივი და სად — სააკაშვილის დედის ნივრიანი პური!**

აწგარდაცვლილი ცნობილი ტელეწამყვანი და მსახიობი, პარტიული ნაცტელევიზიის ყოფილი სახის — **გიორგი გაბუნიას დედა ჯულიეტა ვაშაყმაძე** ნიორს სიცოცხლისა და სილამაზის ელექსირად მიიჩნევდა და ყოველ ცისმარე თითო კბილს მიირთმევდა, მაგრამ სააკაშვილის დედას კლინიკა „ვივამედში" ნიორი იმისათვის როდი მიაქვს, რომ მისმა შვილმა სიცოცხლისა და სილამაზის ელექსირი მიიღოს. პირიქით, **გიული ალასანია თავისი ნივრით, შავი პურით, მოხარშული კვერცხითა და სალათის ფოთლებით იმაზე ზრუნავს, რომ მისმა შვილმა ძალით დაკლებული წონა ისევ არ აკრიფოს და ფერ-ხორცი არ მოიდოს, რადგან პიარ-მითი მისი წამების, მოწამვლისა და არასათანადო მკურნალობის შესახებ მომენტალურად ჩამოიშლება.**

ყოველივე აქედან გამომდინარე, არავითარი აზრი არა აქვს **გიული ალასანიასა** და **მარიამ ჯიშკარიანის** დამუნათებას, სააკაშვილს სრულფასოვანი კვებისა და მკურნალობის საშუალება მისცენ!

**ამისათვის „ვივამედის" მედპერსონალმა ისევ სოფო ნიჟარაძის დედას უნდა მიმართოს, რომლის მომზადებული საცივიც სააკაშვილმა ახალ წელს სიამოვნებით მიირთვა.** დარწმუნებული ვართ, ნიჟარაძის დედა, ქალბატონი **ქეთევან ნიკოლაიშვილი**

**თუ სოფო ნიჟარაძის დედა სააკაშვილს კლინიკაში საცივს უგზავნის, ნაცბელადისათვის საკუთარ დედას მხოლოდ მოხარშული კვერცხი, მაღაზიაში ნაყიდი სოკოს შილაფლავი, სალათის ფოთლები და ნიორწასმული შავი პური მიაქვს!**



სოფო ნიჟარაძე და მისი დედა ქეთევან ნიკოლაიშვილი

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

**ევროკავშირის რეკომენდაციების უმრავლესობა უკვე შესრულებულია,** პოლარიზაციის დასრულება ოპოზიციის ჩართულობის გარეშე შეუძლებელია. **ჩვენმა ხელისუფლებამ ბოლო 10 წელიწადში ევროინტეგრაციის გზაზე ყველა შესაძლო პროგრესს, მათ შორის, ევროპული პერსპექტივის აღიარებას მიაღწია.**

„რეზონანსი"



**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*

ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომელიც **აჩვენებდა საზოგადოებას იმას, თუ როგორი არ უნდა იყოს ხელისუფალი.** დღეს, როდესაც ოპოზიციაში არიან ისინი, **საზოგადოებას აჩვენებენ, როგორი არ უნდა იყოს ოპოზიცია. ხაბეიშვილი** ვინ არის? არავინ არ არის საერთოდ. **ხაბეიშვილი** არის **კეზერაშვილ-მერაბიშვილის** მიერ დროებით დასმული ხელქვეითი, დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე მას მოაშორებენ და გააგდებენ ამ თანამდებობიდან, როგორც **ნიკა მელია** გააგდეს.

„საქართველოს რესპუბლიკა"



**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

**ხაბეიშვილის** არჩევით რადიკალური ოპოზიციური სპექტრი **უფრო მეტად კომიკური გახდება.**

„საქართველოს რესპუბლიკა"



**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*

2022 წლის **კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით,** საქართველო უსწრებს ევროკავშირის წევრ ცხრა და ყველა კანდიდატ ქვეყანას.

„რეზონანსი"

ჭამაოების ბაზარი

## იქნებ სააკაშვილისათვის ნოყიერი საკვების მიწოდების საქმეში ლიზა იასკოს დედაც ჩაერთოს და თავისი ახალდაბადებული შვილიშვილის – ჟასმინ იასკოს მამას „ვივამედში“ გემრიელი უკრაინული ბორშჩი, კიევური ტორტი და სხვა მაღალკალორიული საჭმელები გაუგზავნოს!



თავისი შვილიშვილის მამისათვის ნაირ-ნაირი კერძების მომზადებას არ დაიზარებს და კლინიკაში ყოველდღე გაუგზავნის გემრიელ საკვებს.

იქნებ სააკაშვილისათვის ნოყიერი საკვების მიწოდების საქმეში **ლიზა იასკოს დედაც** ჩაერთოს და თავისი ახალდაბადებული შვილიშვილის — **ჟასმინ იასკოს** მამას „ვივამედში“ გემრიელი უკრაინული ბორშჩი, კიევური ტორტი და სხვა მაღალკალორიული საჭმელები გაუგზავნოს.

**რაც შეეხება სააკაშვილის პირველი ცოლის — სანდრა რულოვსის დედას, იგი გასულ წელს გარდაიცვალა, თორემ, ყოფილ სიძეს გემრიელი ჰოლანდიური კერძებით მომარაგებაზე არ დაზარდებოდა.**

ზოგადად, რაც **სააკაშვილს ქალები მიუძინძინებია და დაუორსულებია, ყველას დედამ კვირაში ერთხელ თითო ნოყიერი კერძი რომ მოუმზადოს, სულ მალე კურატივით ჩასუქდება და ძველ ფიზიკურ კონდიციას დაუბრუნდება.**

მართალია, ამის შემდეგ სააკაშვილი პატიმრობიდან თავის დაღწევის თეორიულ შანსსაც დაკარგავს, მაგრამ, სამაგიეროდ, ჯანმრთელობას დაიბრუნებს და, მინიმუმ 6 წლის შემდეგ, ციხიდან საღ-სალამათი გამოვა.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ,

**კამოს კერძს, რომელსაც ახლა სააკაშვილი პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით შეექცევა, სოფო ნიჟარაძის დედის საცივი ათიათასჯერ სჯობს!**

*ჯაბა ხუბუა*

**რაც სააკაშვილს ქალები მიუძინძინებია და დაუორსულებია, ყველას დედამ კვირაში ერთხელ თითო ნოყიერი კერძი რომ მოუმზადოს, სულ მალე კურატივით ჩასუქდება და ძველ ფიზიკურ კონდიციას დაუბრუნდება!**

აფერუმ!

***გასულ კვირას სააკაშვილის პროცესზე კლინიკა „ვივამედის“ უმშვენიერესმა და უჭკვიანესმა ხელმძღვანელმა ნინო ნადირაძემ თავდაყირა დააყენა ფუფალად ქცეული გიული ალასანიას მიერ დაქირავებული ქართველი, ამერიკელი თუ ევროპელი ექსპერტების დასკვნები სააკაშვილის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაზე და ხმამაღლა განაცხადა მისი განკურნების ერთადერთი ფორმულა: ჭამე, მიშა! (ჩვენის მხრივ დავამატებდით — ცეცხლი!)***



# ნინო ნადირაძევ, ქალი შენ უნდა გერქვას!

არავინ იცის, გერმანული „ლეოპარდები“ რუსეთ-უკრაინის ომში რა როლს შეასრულებენ, მაგრამ ლეოპარდის პრინტის ბლუზში გამოწყობილმა **ნინო ნადირაძემ სასამართლო პროცესზე ბეჭებზე დადო სააკაშვილის ადვოკატები და მათი მოსაზრებები სააკაშვილის მოსალოდნელი გარდაცვალების მიზეზებზე.** ბარაქალა ნინო ნადირაძეს, რომელმაც სწორი არგუმენტებითა და საქმის ზუსტი შეფასებით კუთხეში დააყენა **სააკაშვილის სამი ვაი-ადვოკატი,** ფარდა ჩამოხსნა ექსპრეზიდენტის სიმულაციას, იბრძოლა არამარტო თავისი პროფესიონალიზმის, კლინიკისა და ღირსების დასაცავად, არამედ საკუთარი ოჯახის სიწმინდისათვის — აკი, შესანიშნავი ოჯახის რძალს სწორედ ამგვარმა ნაძირალებმა დააბრალეს, რომ 19 წლის ასაკში მამამთილის საყვარელი იყო. არადა, **ნინო ნადირაძე ნაცსექტას მას მერე აღარ მოუვიდა თვალში, რაც ზონდერგენდერებმა გაიგეს მისი პასუხი ქალიშვილობის ინსტიტუტთან დაკავშირებით.** კითხვაზე — როგორ უყურებთ ქალიშვილობის ინსტიტუტს, ნადირაძემ უპასუხა: **ძალიან კარგად, ქალიშვილი გავთხოვდიო.** ამათ ყველაფერი იკადრეს, **შალვა ხაჭაპურიძემ** ნინო ნადირაძის არგუმენტირებულ საუბარს „ბჟუტური“ და არაკომპეტენტური ექიმის ლაპარაკი უწოდა მაშინ, როდესაც **პოლიტიკურ გემოვნებასა და კაცურ პრინციპებთან მწყრალად მყოფ ხაჭაპურიძეს** ნინო ნადირაძემ შეახსენა, მოსკოვებში თეატრალური მოიარეთ, 30 წლის ასაკში იურისტობა მოინდომეთ, მე კი 23 წლიდან ექიმი ვარო... შეგახსენებთ — **შალვა ხაჭაპურიძეს, სანამ იურისტი გახდებოდა, წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული მოდისა და დიზაინის სასწავლებელი, ამის შემდეგ — მოსკოვის სამხატვრო თეატრთან (MXAT) არსებული ჩეხოვის სახელობის სკოლა-სტუდიის (ინსტიტუტის) სამსახიობო ფაკულტეტი.** ქალბატონ ნინოს შალვა ხაჭაპურიძის გარეგნული იერის ცვლილებაც არ გამორჩენია — როგორ მოახერხა, რომ აქტიური ჰომოფიდან ასეთი „კრასავჩიკი“ მეტროსექსუალი გამხდარიყო. **შეგახსენებთ, მეტროსექსუალები დიდი ქალაქების ცენტრში მცხოვრები მამაკაცები არიან, რომელთა ცხოვრების სტილსაც 80-იანი წლების გეი-ცხოვრების სტილს ამსგავსებენ, ატარებენ უკანასკნელი მოდის ვარცხნილობას, აქსესუარებს, გამოწყობილნი არიან მოდურ ტანსაცმელში და საგანგებო კოსმეტიკას მოიხმარენ.** ხაჭაპურიძის მხრიდან საეჭვო იყო განცხადებაც: **ნეტა „ვივამედი“ ფეხმძიმობაზე ტესტს არ მოთხოვდესო,** მითუმეტეს, რომ ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია მამაკაცად დაბადებულ და ქალად გარდაქმნილ **ქესარია აბრამიძის** მშობიარობაზე...

ამ პროცესამდე ორიოდე კვირის წინათ აღფრთოვანება გამოიწვია **ნინო ნადირაძის** პასუხმა ნაცების მუქარაზე — **თუკი სააკაშვილთან დაკავშირებით პოზიციას არ შეიცვლი, აღარც ფული გექნება, ვერც იმოგზაურებ და საშვილიშვილოდ ვეღარც საჭმელს შეჭამო.** რომ არავინ ელოდა, ნინო ნადირაძემ ბრძენი ქალის პასუხი გასცა: **მაგ ჩამონათვალში სამშობლოზე, სარწმუნოებაზე და ენაზე უარის თქმა რომ ყოფილიყო, მაშინ ნამდვილად ვიდარდებდი. რა ცუდად მიცნობთ, ბებიათქვენი შეაშინეთო...** ამის შემდეგ კი ეს უდრეკი ქალბატონი, რომელიც უბრალო ქერათმიანი და სუსტი ქალი ეგონათ, პროცესზე სააკაშვილის უფლებადამცველების წინ დაჯდა და ხმამაღლა განუცხადა: **ჩემი თავის დამცველი მე ვიქნები, არავის იმედი არ მაქვსო.** არადა, ამ ქალბატონის თავის დაცვის ერთადერთი იარაღი იყო **სიმართლე,** რომელიც ავხორცი და გულნამცეცა სააკაშვილის ავადმყოფობაზე დადგმულ სპექტაკლებს დაუპირისპირა!




**ნინო ნადირაძემ წერტილი დაუსვა სააკაშვილზე სიცრუის გავრცელებას, რომ მას კლინიკაში კლავენ, აწამებენ და არ მკურნალობენ. გიული ალასანიას** წყალში ჩაეყარა ექსპერტებსა და პიარკომპანიებში გადახდილი ფული, ოღონდაც კი მათ სააკაშვილი ნაწამებ ტუსაღად გამოეცხადებინათ. **ნინო ნადირაძემ კითხვებზე გაცემული პასუხებით დაამტკიცა, რომ მხოლოდ გემოვნებით ჩაცმული ქალბატონი კი არა, მოაზროვნე ადამიანია და ზუსტად იცის, რომ ერთადერთი იარაღი, რამაც შეიძლება დაგიცვას და ფარად გექცეს, სიმართლეა.** ამიტომაც მოითხოვა — თუკი არ გჯერათ ის, რასაც ვამბობ, ამოიღეთ და გაასაჯაროვეთ მასალები, თვალით დანახულს უფრო დაიჯერებთ, სააკაშვილის სიცოცხლე დაცულია, ხოლო ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ციხის დამთრგუნველ გარემოს ვერ ეგუებაო.

**სრულიად ნათელი გახდა, რომ სააკაშვილის ადვოკატები „ვივამედის“ სპეციალისტებს სამუშაო პროცესს აწყვეტინებენ, ექიმებს ფსიქოლოგიურ ტერორს უწყობენ და დაჭერებით ემუქრებიან.** სააკაშვილის წონის კლება გამოწვეულია არა ექიმების არაპროფესიონალიზმით, არამედ იმით, რომ ოჯახს მისთვის შავ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კვირგვინოსნები



**ნინო ნადირაძე**
*კლინიკა „ვივამედის“ დირექტორი*

ჩვენ გვსურს, რომ პაციენტი იყოს ჯანმრთელად, თუმცა, ისიც მესმის, რომ **თავისუფლების გასაღები მხოლოდ მის ძალიან ცუდად ყოფნაშია** და ესეც მესმის, გათვითცნობიერებული მაქვს, მაგრამ ჩვენ არ ვაკლებთ არანაირ საშუალებას.

პირადად, ვინც მე მგონია, რომ პაციენტის გულშემატკივრები არიან, არც მათთან ვიშურებ და ვიზარებ წერილობით თუ ზეპირი სახით, რომ **დამეხმარონ, დაარწმუნონ პაციენტი, რომ მისთვის შესაბამისი კალორაჟის მიღება არის სასიცოცხლოდ აუცილებელი.** ის საკვები, რაც მასთან ყოველდღიურად მოდის, მაგალითად, **ნივრიანი პურის და შავ პურზე წასმული გაჭყლეტილი ნივრის რაღაც რაოდენობის მოტანა, მე არ ვიცი, ეს რაში წერია. ვერ ვხვდები შილაფლავის სოკოთი მოტანას, ეს რომელ გაიდლაინში წაიკითხეს.**

ვერ დამარწმუნებს ვერავინ, რომ თუნდაც ერთმა მათგანმა მას უთხრა, რომ უკეთ იკვებე ან ეს გააკეთე. პირიქით, **სიხარულის ყიჟინა არის ყველა დაკლებულ გრამზე.** სხვათაშორის, დღეს გამიხარდა, რომ ცოტა **200 გრამი ნამატი გვაქვს წონაში.**

დაანებეთ ამ ადამიანის წამებას, მისი სუიციდის ხელშეწყობას თავი. არცერთ თქვენგანს ერთი სიტყვა არ გითქვამთ **„მიშა, ჭამე!“. მას საცივიც უყვარს, ახალ წელს მშვენივრად მიირთვა, სოფო ნიჟარაძის დედამ გაუკეთა საცივი.** ხაჭაპურიც უყვარს, გემრიელი საკვებიც უყვარს და როდესაც ყოველდღე შემოგაქვს **ერთი ცალი მოხარშული კვერცხი, მაღაზიის სოკოს შილაფლავი, ცივი ნაცრისფერი მჭადი და 4 ცალი სალათის ფურცელი,** შენ ამით დადებით შედეგს ვერ მიიღებ.

„ინტერპრესნიუსი“



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

**მიხეილ სააკაშვილის** რეანიმაციულ განყოფილებაში გადაყვანის ობიექტური მიზეზი არ არსებობს — **ულტიმატუმი და თვითდაზიანებით მუქარა კატეგორიულად მიუღებელია!**

„რეზონანსი“




# ნინო ნადირაძევ, ქალი შენ უნდა გერქვას!

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

პურზე დაჭყლეტილი ნიორი, სალათის რამდენიმე ფურცელი, სოკოს შილაფლავი და ერთი კვერცხი მიაქვს. ეს ყველაფერი კი ორგანიზმს საჭირო კალორიებით ვერ ამარაგებს. **ნინო ნადირაძემ ხმამაღლა თქვა ის, რასაც ღიად ვერ ამბობენ პოლიტიკოსები, რომ სააკაშვილის არყოფნით დაინტერესებული არიან მხოლოდ და მხოლოდ მისივე მომხრეები, რომელთა აუღელვებელი გამოსვლებიც გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაა და ეთიკის ნორმებში არ ჯდება.** საეჭვოა დასუსტებული ადამიანისთვის შილაფლავის მირთმევაც, რადგან, ტრადიციულად, ამ კერძს **ქელეხისთვის** ამზადებენ. **ნუთუ, გიული ალასანიამ არ იცის ქართული ხალხური ანდაზა — შეძახილმა ხე გაახმოო?!** ან იქნებ ამ რაოდენობის სალათის ფურცელი რომელიმე ექსპერტის მიერ დანიშნული რაციონია, რომ სააკაშვილი არც მორჩეს და არც მოკვდეს, მაგრამ სუსტად კი გამოიყურებოდეს? **ნინო ნადირაძემ ადვოკატები სუიციდის ხელშეწყობაში დაადანაშაულა, რომლებიც სააკაშვილს ყოველდღიურად მოლოდინის რეჟიმში ამყოფებენ და საპატიმროდან გაყვანას ჰპირდებიან.** როგორც აღმოჩნდა, ერთადერთი, ვისაც სააკაშვილი ეცოდება, **სოფო ნიჟარაძის დედაა,** რომელმაც შვილიშვილის დასუსტებულ მამიკოს **საცივი და ხაჭაპური** მიუტანა. ამ ფაქტზე მოგვიანებით **გიული ალასანიამ** კომენტარი გააკეთა: **ძალიან ძვირფასმა ადამიანმა გამოუგზავნა საცივი, ძალიან ცოტა შეჭამა, მაგრამ მეორე-მესამე დღეს ღებინება ჰქონდა, მოწამლულია, ამიტომაც ვერ ჭამსო.**

**„ბატონო შალვა, თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ჩემს კაბინეტში შემოხვედით და მითხარით: მიშა ბინძურია, ყარს და მეზიზღებაო. არ ვჭორაობ, ციტირებას ვახდენ, მერე გახვედით და ილაპარაკეთ, გვამური ლაქები აქვსო“,** — ეს არის **ნინო ნადირაძის** მიმართვიდან ადვოკატ **შალვა ხაჭაპურიძისადმი.** როცა ხაჭაპურიძემ ნინო ნადირაძეს კომპეტენცია დაუწუნა, ეს უკანასკნელი აქაც ხისტი და შეუვალი იყო, **მეტროსექსუალი და ლამბერსექსუალი ხაჭაპურიძე** სარკეში ჩაახედა: **„ეს თქვენთან არის, ფსიქიატრი რომ პროქტოლოგიაზე ლაპარაკობს, გასტროენტეროლოგი — ფსიქიატრიაზე და ყველაფერი არეული რომ გაქვთ. ყველაფერი უნდა იყოს კანონის მიხედვით. კარდიოლოგი კარდიოლოგიაზე უნდა ლაპარაკობდეს, დირექტორი — სამენეჯმენტო საქმეზე და პროქტოლოგი — პროქტოლოგიაზე“.**

**ნინო ნადირაძემ** ყოველმხრივ დაამტკიცა, რომ პროფესიონალია და უბადლო ხელმძღვანელი, რომლისთვისაც ძვირფასია კლინიკის რეპუტაცია და ყოველი თანამშრომელი. ამხილა **ყოფილი სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია,** რომელსაც გასულ კვირას ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა „2022 წლის ადამიანის უფლებების დამცველების გლობალური ჯილდო“ გადასცა. უპრეცედენტო იყო მისი განცხადება: **5 წელია, პენიტენციურს ვემსახურები და ეს ქალბატონი თვალით არ მინახავს არცერთ პაციენტთან, გარდა მიხეილ სააკაშვილისა.**

სააკაშვილის ადვოკატებს ძალიან უნდოდათ, **ნინო ნადირაძე** მხოლოდ საკუთარ გარეგნობაზე მზრუნველ ქალად წარმოეჩინათ, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ — **მათ წინაშე იყო ქალი, რომელიც კომპრომისებზე არ მიდის!**

ნინო ნადირაძის გამოსვლა ამ სასამართლო პროცესზე იყო **მასტერკლასი,** როგორ უნდა დაუპირისპირდე სიყალბეს. **როცა ვალერი გელბახიანმა ჰკითხა — აძლევს თუ არა გარანტიას, რომ მის კლინიკაში მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლე საფრთხეში არ იქნება და არ დაიღუპება?** ნინო ნადირაძემ უპასუხა: **ასეთ გარანტიას დედამიწის ზურგზე ვერავინ გასცემს. შეიძლება თქვენ შეხვდეთ და მოწამლოთ და მერე ჩემი გარანტია საიდან იქნება?!**

**გუგა კუზანოვი** ბედნიერი კაცია, ნინო ნადირაძის სახით ასეთი ძლიერი მეუღლე რომ ჰყავს, შეუვალი და სიმართლისთვის თვალის გამსწორებელი ქალბატონი, რომელიც უშიშრად ამბობს თავის სიტყვას და პროცესებს სწორ შეფასებას აძლევს.

**დიდი ხანია, ჯანდაცვის სისტემაში მსგავსი პრინციპული ხასიათი არავის გამოუვლენია და სიცრუისათვის თავისი ადგილი არ მიუჩენია.** ნინო ნადირაძევ, ქალი შენ უნდა გერქვას!

***ქეთევან ხამიცაშვილი***



*ნინო ნადირაძე მეუღლესთან – გუგა კუზანოვთან ერთად*

**გუგა კუზანოვი ბედნიერი კაცია, ნინო ნადირაძის სახით ასეთი ძლიერი მეუღლე რომ ჰყავს, შეუვალი და სიმართლისთვის თვალის გამსწორებელი ქალბატონი!**



# გიული, ატყობ, რომ შენ და შენი შვილი მასხარებად გადაიქეცით?!

*— ოო, მონ დიე, დაბანეთ ხელები!*
*— ფეხები?*
*— ფეხებიც.*
*მიხეილ ჭიაურელის ფილმის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ეს დიალოგი ზედგამოჭრილია კლინიკაში მყოფ დაუბანელ, წვერგაუპარსავ და თმააჩეჩილ, ვითომ მომაკვდავ სააკაშვილზე, წელზე აწეული მაისურით ხან მუცელშესუნთქული რომ პოზირებს და ხანაც — ლოყებშესუნთქული. ამ სიტუაციამ ზელენსკის მასხრობასაც კი გადაუსწრო.*



კადრი ფილმიდან „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“

**თუკი მეგი გოცირიძის წინასწარმეტყველებით, სამშობლოსათვის წამებულ მიხეილ სააკაშვილს წმინდანად შერაცხავენ, წმინდანთა ცხოვრების ზოგადი მაგალითით, სააკაშვილის, როგორც ნაცთა წმინდანის, სხეულს დანაწილება ელის!**

ერთადერთი, რაც სააკაშვილთან სიახლე გამოჩნდა, **შავი ულვაშია, რომელიც, ალბათ, 1933 წლის იანვრის ბოლოს გერმანიის რაიხსკანცლერად ჰიტლერის დანიშვნის 90 წლისთავს მიუძღვნა.** აი, კიდევ თუ ექანავება, როგორც გიული ალასანიამ ადრე მოგვახსენა, ამას, ალბათ, შემდეგ გამოსვლაში იტყვის. **ეს დედა უკვე იქცა შვილის სამარცხვინო რეალობის სასაცილო გმირად, რომელიც ყოველ გამოსვლაზე ერთმანეთის საპირისპირო ინფორმაციებს ავრცელებს და ჩიხში იჭედება.** აქამდე თუ იმას ამბობდა, ჩემს შვილს მხოლოდ საზღვარგარეთ უმკურნალებენ, საქართველოში მისი გამოჯანმრთელება შეუძლებელიაო, ახლა ამბობს — **ჩვენი თხოვნა სასჯელის გადავადებაა, თავისუფალი რომ იქნება, თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას, სადაც წავა, იქნებ აქ აპირებს მკურნალობის გაგრძელებასო.**

როგორც ჩანს, გიული ალასანია დღემდე ვერ ხვდება, რომ მისი შვილი პატიმარია და ასე თავისუფლად ვერ წავა იქ, სადაც უნდა. როდესაც მისი ჩანაწერი გავრცელდა, სადაც საქართველოში სააკაშვილის დაბრუნებაზე რუსეთის გავლენას ახსენებდა, ჯერ განაცხადა, ეს ჩანაწერი ორი წლის წინანდელია, ახლა რატომ მოიტანესო, შემდეგ შორს დაიჭირა — ეს საუბარი საიდან მოიგონეს, რას ბოდავენ, რას ჩხლართავენო?!

**გიული, არავინ არაფერს არ ჩხლართავს, თქვენი შვილი ჩხლართავს ავადმყოფობის სიმულაციას და ამაში უწყობთ ხელს.** ფრთხილად, ქართული მოთხრობა „ცრუ“-ს გმირივით, თქვენი შვილისთვის **სიკვდილის ცივი მგელი** არ გამოჩხლართოთ და სამუდამო სანანებლად არ გექცეთ მისთვის გემრიელი სადილის არმიტანა. **დასჯერდით კლინიკა „ვივამედის“ პერსონალის გარჯას და გამოიჩინეთ წინდახედულობა. პროფესორმა ქალმა ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ციტატა მაინც გაიხსენეთ, სადაც ერის ლიდერის აუცილებელი პირობა ოთხ**

## კვირგვინოსნები



**შოთა უტიაშვილი**
*შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი*

საქართველო იყო **სათამაშო ამერიკის ხელში,** ახლა ეს სათამაშო გატყდა.

„იმედინიუსი“



**ნიკოლოზ სააკაშვილი**
*მიხეილ სააკაშვილის მამა*

„ვივამედის“ დირექტორი **ზურაბ ჩხაიძე** მოგვიწოდებს, განსაკუთრებით დედას — გიულის, **მოვიდეს და დაარწმუნოს პაციენტი, რომ იკვებოს და მიიღოს მკურნალობა** მაშინ, როცა მიშა თავისი ფეხით შევიდა კლინიკაში და დღეს რეანიმაციას საჭიროებს. ალოგიკურია!!! გასაოგნებელია, როდესაც **შეშინებული მედიკოსები მაშველ რგოლად იხმობენ დედას და ოჯახს.** თუ კლინიკას ვერ ძალუძს პაციენტის მოვლა, მაშინ თვით „ვივამედიც“ აქტიურად შეუერთდეს ექსპერტების მოთხოვნას მიშას გაყვანაზე. თუ ესეც არ შეგიძლიათ, **გადმოგვეცით ოჯახს მიშა და ჩვენ მოვუვლით. ბოლოს და ბოლოს, ექიმები ვართ.**

„რეზონანსი“



**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*

თუ მე ვერ ვიცოცხლებ უკრაინის გამარჯვებამდე, რომელიც ძალიან ახლოსაა, **ჩემი გული უნდა იყოს დამარხული კიევში** — ის ეკუთვნის უკრაინას!

„ინტერპრესნიუსი“



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

მე ვლაპარაკობ უკრაინის მოქალაქე **მიხეილ სააკაშვილის** დაკავებაზე, რომელსაც **ყოველდღე საჯაროდ აწამებენ.** და, ვფიქრობ, რომ მიზანი აქვთ — **იგი მოკლან!**

„რეზონანსი“



# გიული,

**სოფო ნიჟარაძის დედისაგან საცივის მომზადება მაინც ისწავლეთ და შვილს მიუტანეთ, თორემ მსოფლიო პოლიტიკოსს, სანამ სასამართლო პროცესებზე ჩართვის დროს ლელვის ფოთლები არ მიუფარებია, ოთხი სალათის ფურცლის იმედად ნუ დატოვებთ!**



სოფო ნიჟარაძის დედა ქეთევან ნიკოლაიშვილი







**ერთადერთი, რაც სააკაშვილთან სიახლე გამოჩნდა, შავი ულვაშია, რომელიც, ალბათ, 1933 წლის იანვრის ბოლოს გერმანიის რაიხსკანცლერად ჰიტლერის დანიშვნის 90 წლისთავს მიუძღვნა!**

**სიტყვაშია ფორმულირებული: „ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...“**

**გიული,** თქვენ უკვე ქვეყანას აცინებთ და საკმარისია. **ეს სიცილი ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც რუსთავის ციხეში თქვენს შვილს პატიმრის დედისათვის შეუფერებელ კოკო შანელის გამჭვირვალე ჩექმებით მიაკითხეთ და მას შემდეგ, როდესაც საკუთარ გარდეროობს წარმოადგენდით, შვილის ტუსაღობის პერიოდი შანელის ჩექმიდან დაწყებული, მელიის ბეწვის მხრებზე მოგდებაში გაატარეთ.** ამ მოქმედებით კი ხალხისთვის დასაცინ სუბიექტად იქეცით და ამას ასაკში შესული ქალბატონის კოკეტობად თვლიან, მაგრამ საკუთარი შვილის მიერ კლინიკაში დადგმული სპექტაკლების კომენტირებაზე სიტყვებს რომ ეძებთ, ეს უკვე გაიძვერობის სრული ლუსტრაციაა. **თქვენს შვილს რეანიმაციაში თავის მომკვდარუნებაც უნდოდა, მაგრამ, როდესაც გაიგო, რომ დედას რეანიმაციაში აღარ შეუშვებდნენ, ისევ პალატაში გააგრძელა სპექტაკლის თამაში.**

**გიული,** მათ ახლობლებს, ვისაც თქვენმა შვილმა სიცოცხლე მოუსწრაფა, უცნაური ხალხი უწოდეთ, თავად კი სასამართლო პროცესზე პირველ ვიდეოჩართვაში ეკრანის ეფექტით სპეციალურად გალურჯებული თქვენი შვილის დანახვაზე ელდა გეცათ — ნაწამებიაო, ხოლო მეორე სასამართლო პროცესზე მუცლის გამოჩენამ — მთლად აგრიათ. **სააკაშვილის ეს ფოტოები ზელენსკიმ მსოფლიოს დასანახავად კი აფრიალა და ევროპარლამენტარებმაც გადაუდებელი დებატები ჩანიშნეს, მაგრამ ღიმილს ის იწვევს, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ზუსტად იცის, სააკაშვილი რასაც თამაშობს, ხოლო ევროპარლამენტში ცარიელ სკამებთან სააკაშვილის საკითხის განხილვამ დებატების ყველა რეკორდი „მოხსნა“.** ცალკე გასახსენებელია **გიული ალასანიას ჩექმები,** როცა სანდრა რულოვსთან ერთად, ევროპარლამენტარებს პლაკატები დააჭერინა და ფოტოები გადაიღო, მაგრამ არ გაჭრა.

**ამ ხნის განმავლობაში გიული ალასანიას ერთხელაც არ უხსენებია კუჭის დასაპატარავებელი ოპერაცია, რომელიც მისმა შვილმა საქართველოში ჩამოსვლამდე გაიკეთა.** ამ ოპერაციის შემდეგ ორგანიზმის მდგომარეობის თაობაზე, თუკი ექიმებისგან არ იციან, მუსიკოს **ნიკოლოზ რაჭველს** ჰკითხონ, რომელმაც მსგავსი ოპერაცია გაიკეთა, ინსტაგრამში ფოტოც დადო, სადაც 100 კილოზე მეტს იწონიდა და დააწერა: **ვის ვახსოვარ ასეთი?** ტელეიმედის სახემ, ექიმმა **ოთარ ტატიშვილმაც** მკაცრი დიეტის დაცვით სერიოზულად დაიკლო წონაში და რაღა კუჭის ოპერაციაგაკეთებული სააკაშვილის წონის კლება იქცა მსოფლიო წარღვნად?! **ცხადია, ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცის გიული ალასანიამ, მაგრამ, როგორც ჩანს, გიჟობანას თამაში ურჩევნია და 2 მეტრი სიმაღლის კაცისთვის საჭმელად ოთხი სალათის ფურცლის მიტანას იმით ამართლებს, რომ მისი შვილი საკვებს ვერ იღებს, მოწამლულია.** ალასანია იმასაც ამბობდა, ჩემს შვილს კისრის მალები ჩამტვრეული აქვსო. კისრის მალების ჩამტვრევას რაც მოჰყვება, ჩუმად მაინც ეკითხა.

**სააკაშვილი, რომელსაც დედის გარდა, კიდევ სამი ოფიციალური ქალბატონი თავს უნდა ევლებოდეს, შავი პურისა და ნივრის ამარაა დარჩენილი, ამიტომ პარტიულმა მეგობრებმა გულმოწყალება გამოიჩინონ და რიგრიგობით გემრიელი სადილი მიაწოდონ, თორემ საქართველოზე მას გული ისე აუცრუვდა, რომ დასასამარხად სამშობლოს კი არა, უკრაინის მიწას ირჩევს.**

ეს ამბავი თბილისელებმა ჩვეული ენაკვიმატობით გაავრცელეს, **მიშამ დაშლა დაიწყოო** (როგორც რადიაქტიურმა ნივთიერებამ, რითიც, სააკაშვილის აზრით, ის მოწამლეს). თუკი **მეგი გოცირიძის** წინასწარმეტყველებით, სამშობლოსათვის წამებულ მიხეილ სააკაშვილს წმინდანად შერაცხავენ, წმინდანთა ცხოვრების ზოგადი მაგალითით, სააკაშვილის, როგორც ნაცთა წმინდანის, სხეულს დანაწილება ელის.

**გიული ალასანიას**, რომელიც მუდმივად იმ პოზაშია, **„რაც მამამ პეტერბურგში წაგილო, კარტული სულ დაგავიწყდა“,** შევახსენებთ, რომ მოკლული **სანდრო გირგვლიანის დედას — ირინა ენუქიძეს** მისმა რძალმა **სანდრა რულოვსმა** სახლში ჯდომა და კუთხეში ტირილი ურჩია, თვითონ კი ხალხს აიძულებს, ყოველდღიურად უსმინონ და დამნაშავე შვილი გაუთავისუფლონ. **ქართველი ხალხი გულმოწყალეა და პატიმარ სააკაშვილის ასაკიან დედას მხოლოდ ამას ურჩევს, შვილს გემრიელი კერძი გაუკეთოს, თორემ ხმა გავარდა, სააკაშვილს კალორიები შემოაკლდა და „ვივამედის“ ფერხორციან პერსონალს დაერიაო.** თქვენს შვილს კანიბალად მაინც ნუ აქცევთ, თორემ ისეთ კომიკურ სიტუაციაშია, **როგორც „სეტკის“ ხიდზე გასული წალენჯიხის მერი.** მოეშვით უცხოეთში გაფანტულ ჩვენს თანამოქალაქეებს, გაიკითხეთ და გეტყვიან, რამდენი კაცი შეიკრიბა რიგაში სააკაშვილის მხარდასაჭერად გამართულ აქციაზე. **თქვენი შვილი კლინიკაში ისევე იქცევა, როგორც 2008 წლის აგვისტოში თვითმფრინავის ხმაზე ცხვირით მიწა რომ თხარა, ხაფანგში გაბმული გიენასავით თვალებს აბრიალებს, ფეხებს იქნევს და ფეკალიებს ისვრის.** ნუთუ ამ ხნის ქალს ბოლომდე კლინიკის კიბეებზე სახტუნაოდ გაგიმეტებთ და შემდეგ ხალხის წინაშე თავისი ავადმყოფობის გასამართლებლად ახალ-ახალი სიტყვების ძიებაში გამყოფებთ? **გიული, სოფო ნიჟარაძის დედისაგან საცივის მომზადება მაინც ისწავლეთ და შვილს მიუტანეთ, თორემ მსოფლიო პოლიტიკოსს, სანამ სასამართლო პროცესებზე ჩართვის დროს ლელვის ფოთლები არ მიუფარებია, ოთხი სალათის ფურცლის იმედად ნუ დატოვებთ.** გიული ალასანია ასე თუ არ მოიქცევა, სულ მალე მიშასგან **ქამოს** მიიღებს. საპყრობილიდან **ქამოს** გათავისუფლების აუცილებელ პირობაზე კი, ვგონებთ, **ისტორიკოს გიული ალასანიას** კარგად მოეხსენება!!!

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები



**ზურაბ ჩხაიძე**
*„ვივამედის“ კლინიკური დირექტორი*

ჩვენ ყოველთვის კოლეგიალობის პრინციპს ვიცავთ, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. ამიტომ იძულებული ვართ, მთელი ქვეყნის გასაგონად ვთქვა ის, რის თქმასაც ვაპირებ. აქამდე ამის შესახებ მინიშნებით ვამბობდით, მაგრამ ამ ადამიანებმა, ეტყობა, ვერ გაიგეს. რაც შეეხება კვებას, ეს პაციენტის შემოსვლის დღიდან რჩება პრობლემად. **პაციენტი საწყის ეტაპზე მკურნალი ექიმის რეკომენდაციებს ექვემდებარებოდა, მაგრამ შემდეგში ამ კალორაჟის შემცირება მოხდა. მივმართავ ორგანიზაცია „ემპათიას“ და მის ხელმძღვანელს — ნუ ეთამაშებიან პაციენტის სიცოცხლეს, გაუფრთხილდნენ პაციენტის სიცოცხლეს!** ჩვენი პირველი და მთავარი ამოცანაა პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, ამიტომ ნუ გვიშლიან ამაში ხელს. ჩვენ პაციენტს არასდროს არ დავადანაშაულებთ და ვერ დავადანაშაულებთ ვერაფერში, მაგრამ **ფაქტია ის, რომ პაციენტი მათ რეკომენდაციებს ასრულებს.** აქამდე მივანიშნებდი და ახლა ღია ტექსტს ვამბობ, ეს ყველაფერი — კალორაჟი შერჩეულია იმ ჯგუფის ექიმების მიერ და, შესაბამისად, პაციენტი ექვემდებარება იმას, ანუ ეს ის კალორაჟია, რომელიც მინიმალური რაოდენობაა სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად, მაგრამ არა მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თუ არა გასაუარესებლად. **ეს ადამიანები ჩასაფრებულები არიან, რომ პაციენტმა გრამები მოიკლოს და ამით ლამის ყიჟინა შემოცხონ. ეს კვებასაც ეხება და მედიკამენტების შერჩევითობასაც.** თუ პაციენტი გარკვეულ პერიოდში გარკვეულ მედიკამენტზე უარს ამბობდა, ესეც ამ ორგანიზაციის ექიმების რეკომენდაციით ხდებოდა. მიზანი იყო ის, რომ მოვსულიყავით დღევანდელ დღემდე, ამ მდგომარეობამდე და შემდეგ დასმულიყო კითხვა — აი, რა გააკეთეთ რვა თუ ცხრა თვის განმავლობაში? **ქალბატონი ჯიშკარიანი უკვე ყველა ზღვარს გადასცდა, უკვე კლინიკის ექიმებს უვიცებად მოიხსენიებს.** არ ვიცი, თვითონ, მგონი, ფსიქიატრია, **მარიამ ჯიშკარიანი პრაქტიკოსი ექიმი არ არის, ამიტომ პრაქტიკოს ექიმებს ის რეკომენდაციებს ვერ მისცემს, მკურნალობის კორექციაში ვერანაირად ვერ ჩაერევა.** ჩვენი ექიმები, გარდა იმისა, რომ სამედიცინო უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები არიან, ასევე პრაქტიკოსი ექიმები არიან და ძალიან კარგად იციან დაავადებების მართვა. ამ მართვაში **ხელის შემშლელი ფაქტორი რაც არის, ეს არის, „ემპათიის“ ჯგუფი.** იგივე პარენტერალურ კვებასთან დაკავშირებით პაციენტმა უარი განაცხადა. ეს რაღაც კოსმოსური და გალაქტიკური საოცრებაა **მარიამ ჯიშკარიანისთვის,** მაგრამ ჩვენთვის ეს არის ჩვეულებრივი სამკურნალო პროცედურა. ჩვენ უძლიერესი რეანიმატოლოგთა ჯგუფი გვყავს, რომლებიც მზად არიან, ეს ჩვეულებრივი პროცედურა შეასრულონ. **ამაზე პაციენტი თავს იკავებს „ემპათიის“ რეკომენდაციიდან გამომდინარე,** ეს თვითონაც ხმამაღლა განაცხადა. ეს არის დისკრედიტაცია ჩვენი კლინიკის და ასევე დისკრედიტაცია მთელი ქართული სამედიცინო საზოგადოების.

„პირველი არხი“

**არსებობს თუ არა სააკაშვილის გადარჩენისა და გამოსწორების მექანიზმი? — ვესაუბრებით სოფელ დიღმის წმიდა მარინეს სახელობის ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ დავით ისაკაძეს:**



„ღვაწლმოსილი წმიდა მამები კონკრეტული ცოდვის გამო უფალს სთხოვდნენ, მათთვის განსაცდელი ამქვეყნად მოევლინა, ვიდრე პასუხი იმქვეყნიურ სამსჯავროზე ეგოთ!“

## მამა დავითი (ისაკაძე):

# მიხეილ, ეს არის შენი გადარჩენის ერთადერთი გზა!



## «მიხეილ,

**სასჯელისგან თავის დახსნის მცდელობების ნაცვლად, გისურვებ, მიაღწიო იმ მდგომარეობას, რასაც სინდისის ქენჯნა ჰქვია, იგრძნო ჩადენილი ცოდვების გამო სინანული და ეს სინანული საჯაროდ გამოხატო!“**

— სააკაშვილი დღემდე რჩება მსოფლიოს რეაქციული ძალების ხელში საქართველოს წინააღმდეგ მომართულ ინსტრუმენტად. ეს მათ აქციეს სააკაშვილი პოლიტიკურ ფიგურად, ხოლო მისი ხელმძღვანელობით შექმნეს რეჟიმი, რომელიც უპირისპირდებოდა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, გამიზნულად ეწეოდა სასულიერო პირებისა და მრევლის დისკრედიტაციას, ხოლო სარწმუნოების დაცვის გამო აპატიმრებდა ახალგაზრდებს. ამ რეჟიმის დანაშაულია სამშობლოსა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის წინააღმდეგ გალაშქრება, ნაცების საქმიანობა მაგონებს გერმანიაში ნაცისტური პარტიის მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიცვა. **დიახ, ჩვენ საქმე გვაქვს არამარტო სააკაშვილთან, არამედ სისტემურ დამნაშავეებთან, რომლებიც დღემდე საზღვარგარეთიდან ფინანსდებიან და იმართებიან.**

**— რეჟიმის ფუძემდებელი, რომელმაც უამრავი ადამიანი ციხეში თუ ციხის გარეთ ტანჯა და იმსხვერპლა, ახლა თავად იქცა პატიმრად...**

— სააკაშვილი არ გახლავთ ის რიგითი დამნაშავე, რომელმაც კონკრეტული ადამიანის წინაშე ჩაიდინა დანაშაული, იგი გახლავთ საქართველოს მოსახლეობის, საქართველოს სახელმწიფოებრიობის, მართლმადიდებელი ეკლესიის და, ზოგადად, ჰუმანიზმის მტერი. მართლმადიდებლობა გვასწავლის, რომ ჯობს, ადამიანმა ამქვეყნად ზღოს თავისი დანაშაულების გამო, ვიდრე გარდაცვალების შემდეგ. ქრისტე გვასწავლის, რომ ამქვეყნიური დანაშაულებისა და ცოდვების გამოსყიდვის უმთავრესი საშუალებაა ამ დანაშაულის გააზრება და ჩადენილის გამო გულწრფელი სინანულის განცდა. დამნაშავეს ეძლევა საშუალება, გულწრფელი აღსარებით განიწმინდოს სული, რათა გარდაცვალების შემდგომ ამ ცოდვების გამო უფლის წინაშე აღარ მოეკითხოს... **მაგრამ, როდესაც საქმე ეხება ისეთ სისტემურ დამნაშავეს, რომელსაც საზოგადოების, ერისა და მრევლის წინაშე ჩაუდენია ცოდვები, მისი სინანული აუცილებლად უნდა იყოს საჯარო, როგორც ეს კიპრიანე კართაგენელმა გააკეთა.** კიპრიანე მთელ აღმოსავლეთში ცნობილი ჯადოქარი გახლდათ, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა უფლის ძალა და გულწრფელად დაგმო ცრურწმენა, ჯადოქრობა, წარმართული ცნობიერება. იგი შეკრებილი ხალხის წინაშე გავიდა კართაგენის ცენტრალურ მოედანზე, საჯაროდ დაწვა ღვთის საგმობი წიგნები და გამოაცხადა, რომ ინანიებდა თავის საქმიანობას! **ამის შემდეგ გახდა იგი ქრისტეს ეკლესიის წევრი და შემდეგ — კართაგენის ეპისკოპოსიც.** თუ სააკაშვილს სურს მისგან ნატანჯი საზოგადოებისგან შენდობის მიღება, ასე საჯაროდ უნდა მოინანიოს ღვთისა და ერის წინაშე — აი, ეს იქნება ნამდვილი სინანული და არა ის, რომ სასულიერო პირი შევა მის პალატაში და იქიდან „ინფორმაციას“ გამოიტანს, თითქოს ინანიებს...

**— თქვენ, მრავლისმნახველ მოძღვარს, როგორ გგონიათ, სააკაშვილს გააჩნია სინანულის განცდა?**

— **ვწუხვარ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მის ვერცერთ განცხადებაში სინანულის ნიშანწყალი ვერ შევნიშნე!** პირიქით, ვხედავ გამალებულ მცდელობას, თავისი უღმერთო საქმიანობა გაამართლოს! **უფალმა მას მისცა შანსი, ცოდვებით დამძიმებული სული განიწმინდოს და ამ მიზნით მოუვლინა განსაცდელი — თავისუფლება შეუზღუდა.** დიახ, მხოლოდ შეუზღუდა, რამეთუ იმ კომფორტულ მდგომარეობას, რაშიც იმყოფება, პატიმრობას ვერ ვუწოდებ! **მე ხომ პირადად მინახავს, რა მდგომარეობაში იყვნენ მისი რეჟიმის პირობებში ციხეში გამომწყვდეული ადამიანები — პატიმარს მხოლოდ გვერდზე გახედვის გამო რეზინის ხელკეტით უსწორდებოდნენ ციხის ჯალათები. მინახავს დასნეულებული, საწოლს მიჯაჭვული ახალგაზრდა ტუსაღები, რომლებსაც მედიკამენტებიც არ ეძლეოდათ.** როდესაც ციხე-კოლონიებში სასულიერო პირები შევდიოდით, ვხედავდით უძილობით გათანგულ, არცთუ იშვიათად, უმოწყალოდ ნაცემ პატიმრებს, რომელთა მდგომარეობა ახლოს ვერ მივა პირობებთან, რაშიც სააკაშვილი იმყოფება. აბსურდია მოსაზრება, თითქოს მის განადგურებას ხელისუფლება აპირებს. პირიქით — ხელისუფლება განსაკუთრებულად უფრთხილდება, რომ უნებლიეთ რამე არ შეემთხვას. ცხადია, არავის არ სიამოვნებს ციხეში ყოფნა, მაგრამ მე მინახავს უამრავი პატიმარი, რომლებმაც, სააკაშვილისგან განსხვავებით, ღირსეულად დაითმინეს განსაცდელი, სინანულიც სწორედ ციხეში მოხვედრის შემდეგ აღეძრათ. უფრო მეტიც, მათ რადიკალურად შეცვალეს ცხოვრების წესი, ციხიდანვე დაიწყეს ეკლესიური ცხოვრება და ამ გზას არც გათავისუფლების შემდეგ გადაუხვიეს. სამწუხაროდ, სააკაშვილი მისთვის მისჯილ მიზერულ სასჯელსაც არ ეგუება და სხვადასხვა ფორმით ციხიდან თავის დაღწევას ცდილობს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სინდისის ქენჯნა არ აწუხებს...

**— თუ დაავადებას სიმულირებს, განა უფლისგან უფრო დიდი განსაცდელი არ მოელის?**

— მახსენდება უკრაინის ხელისუფლებაში მყოფი ერთი მაღალჩინოსანი ქალბატონი, რომელმაც ციხეში მოხვედრისთანავე თავი მოიავადმყოფა, ინვალიდის ეტლში ჩაჯდა და თავისუფლებაც მოიპოვა, ამის შემდეგ კი სასწრაფოდ „გამოჯანმრთელდა“ და ძველ საქმიანობას დაუბრუნდა.

საზოგადოებამ იხილა საავადმყოფოში გადაღებული ვიდეოკადრები, როცა სააკაშვილი აშკარად აზვიადებს თავის მდგომარეობას. არადა, სინანულში მყოფი ადამიანი ასე არ მოიქცევა! თუ სიმულირებს, კიდევ უფრო მეტად იმძიმებს სულს, რისთვისაც პასუხი აუცილებლად მოეკითხება. **ღვაწლმოსილი წმიდა მამები კონკრეტული ცოდვის გამო უფალს სთხოვდნენ, მათთვის განსაცდელი ამქვეყნად მოევლინა, ვიდრე პასუხი იმქვეყნიურ სამსჯავროზე ეგოთ.**

**— დარწმუნებული ვარ, ამ ინტერვიუს სააკაშვილიც წაიკითხავს. როგორც მართლმადიდებელი მოძღვარი, რომელსაც, ჩემი ჩათვლით, ციხეში ასობით პატიმრისთვის შეგიმსუბუქებიათ სულიერი მდგომარეობა, აგიხსნიათ განსაცდელის არსი და მიგითითებიათ გადარჩენის გზა — რა რჩევას მისცემთ სააკაშვილს?**

— **დაფიქრდეს! გააზროს, რომ ერთს კი არა, ძალიან ბევრ ადამიანს მიაყენა ტკივილი, შექმნა ისეთი სისტემა, რომელმაც უამრავი, მათ შორის, უდანაშაულო ადამიანებიც სტანჯა, იმსხვერპლა, მრავალს სახლ-კარი და სარჩო-საბადებელი წაართვა!** გააზროს, რომ მოქმედებდა საკუთარი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების წესის და ნების წინააღმდეგ, რომ ულმობლად უსწორდებოდა ყველას, ვინც დასახულ მიზნებამდე მიღწევაში ხელს უშლიდა და ეღობებოდა!

**მიხეილ, მიწიერი სასჯელისგან თავის დახსნის მცდელობების ნაცვლად, გისურვებ, მიაღწიო იმ მდგომარეობას, რასაც სინდისის ქენჯნა ჰქვია, იგრძნო ჩადენილი ცოდვების გამო სინანული და ეს სინანული საჯაროდ გამოხატო!**

**— მაგრამ, თუ საკუთარ ცოდვებს საჯაროდ გამოაცხადებს, განა სასჯელი არ დაემატება?**

— **თუნდაც დაემატოს, ოღონდ სული განიწმინდოს და შეიმსუბუქოს!** მადლობა უფალს, ამჟამინდელი ხელისუფლება სააკაშვილს ისე არ ეპყრობა, როგორც სააკაშვილის რეჟიმი პოლიტიკურ ოპონენტს ექცეოდა და ამ ტენდენციის მიხედვით, შესაძლოა, არც არაფერი დაუმატოს მის მიწიერ სასჯელს, პირიქით, სინანულის საფუძველზე შეუმსუბუქოს კიდეც. **მართალია, მისი სინანული ვერ გააცოცხლებს რეჟიმის მიერ მოკლულ ადამიანებს, ვერ გამოაჯანმრთელებს წამებით დახეიბრებულებს, მაგრამ, თუ სააკაშვილი გულწრფელად და საჯაროდ მართლაც მოინანიებს, მისი ხვედრის შემსუბუქებისთვის ვილოცებ და დარწმუნებული ვარ, მის რეჟიმს გადარჩენილი და მისგან ნატანჯი ადამიანების დიდ ნაწილს გული მოულბება!**

**— გჯერათ, რომ არსებობს შანსი, ქრისტეს მარჯვნივ ჯვარცმული, მონანიე ავაზაკის მსგავსად, სააკაშვილმაც შეაბიჯოს სასუფეველში?**

— რთული სათქმელია. გულახდილად რომ გითხრათ, ამის ნიშნებს მე ჯერ ვერ ვხედავ, თუმცა, ადამიანი წინასწარ ვერასოდეს განჭვრეტს ღვთის ნებას და მომავალს. კარგი მაგალითი გაიხსენეთ! დიახ, ჯვარცმული იყო ის ავაზაკი, აუტანელი ტკივილებით იტანჯებოდა, სიცოცხლის დასრულებამდე სულ რამდენიმე წუთი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ გულწრფელად შეინანა და შედეგად სასუფეველში შეაბიჯა! **მიხეილ, თავი დაანებე შენს შეუძლო მდგომარეობაზე წუწუნს და ავაზაკის სინანულით მოინანიე ჩადენილი დანაშაული!** ჯერ ღმერთს და მერე შენგან ნატანჯ ასიათასობით ადამიანს შენი სინანულით გული მოულბე... **მხოლოდ ეს არის შენი გადარჩენის ერთადერთი გზა!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## «მიხეილ,

## თავი დაანებე შენს შეუძლო მდგომარეობაზე წუწუნს და ავაზაკის სინანულით მოინანიე ჩადენილი დანაშაული!»

# დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში და

## დაასრულეთ ეს ამაზრზენი წარმოდგენა!

***წარმოდგენა გრძელდება: პატიმარი სააკაშვილი, რომელმაც კვდომა ციხეში ჩასმიდან მეორე დღესვე დაიწყო, წელიწად-ნახევრის შემდეგაც კვდება.***

სპექტაკლის მორიგი აქტი 2023 წლის 1 თებერვალს ვიხილეთ, როცა კლინიკა „ვივამედის" ოროთახიანი ლუქს-პალატიდან სასამართლო სხდომაზე დისტანციურად ჩართულმა სააკაშვილმა მაისური აიწია და ვიდეოკამერების წინ საკუთარი სიგამხდრის დემონსტრირება მოაწყო — **აქაოდა, შემომხედეთ, რა უბედურ დღეში ვარ, მარტო ძვალი და ტყავილა დავრჩიო!**

სააკაშვილი მართლაც გამხდარია და შეუიარაღებელი თვალითაც შეატყობ, რომ წონაში საგრძნობლად დაუკლია, მაგრამ ეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კი არა, თვითდაზიანების შედეგია.

კერძოდ, **ნაცბელადი გამიზნულად არ მიირთმევს კალორიულ საკვებს, არ ემორჩილება ექიმების მიერ დანიშნულ მკურნალობას და მედიკამენტებსაც შერჩევით იღებს, რათა საფუძველი არ გამოეცალოს პოლიტიკურ კამპანიას, თითქოს ვლადიმერ პუტინი თავის ნომერ პირველ მტერს ივანიშვილის რუსული რეჟიმის ხელით კლავს და მისი სიცოცხლის გადასარჩენად აუცილებელია, სამკურნალოდ საზღვარგარეთ გაუშვან.**

კი მაგრამ, სააკაშვილი ხომ იმის ჩიტი არ არის, სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდოს და თვითმკვლელობაზე წავიდეს?

რა თქმა უნდა,

**ნაცბელადი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ნარცისი და ეგოისტია, ისეთს არაფერს გააკეთებს, რომ სიკვდილის საშიშროების წინაშე დადგეს. მას ისე უყვარს საკუთარი თავი, სიცოცხლე და კარგი ცხოვრება, რომ უმალ მთელი ქვეყნის ამოწყვეტაზე მოაწერს ხელს, ვიდრე – სუიციდზე!**

ამიტომაც სააკაშვილი, პროვოკატორ **მარიამ ჯიშკარიანისა** და **ცენტრ „ემპათიაში" თავშეყრილი ნაცექიმების რეკომენდაციით,** იმდენ საკვებს იღებს, რამდენიც მისი ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად არის აუცილებელი!

იმავე **ჯიშკარიანისა** და **„ემპათიის" ნაცექიმთა** დარიგებით, სააკაშვილი მხოლოდ იმ წამლებს სვამს, რომლებიც გარანტირებულად უზრუნველყოფენ, რომ არ მოკვდეს!

ყოველივე ამის ფონზე, **კლინიკა „ვივამედის" ხელმძღვანელობა და ექიმები** სააკაშვილის დედას ეხვეწებიან, შვილს ისეთი საკვები მიუტანოს, რომელიც მას წონის მატებასა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში შეუწყობს ხელს, მაგრამ ეს მგლის თავზე სახარების კითხვას ჰგავს, რადგან გიული ალასანია ამ შემთხვევაშიც სააკაშვილის დედაზე უფრო სააკაშვილის თანამზრახველად გვევლინება!

საერთოდ, **ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში გიული ალასანიას განცხადებები და საქციელები ადასტურებს, რომ იგი ყოველთვის საკუთარი შვილის თანამზრახველი იყო და არცთუ პატარა წვლილი მიუძღვის ყველა უბედურებაში, რაც სააკაშვილმა საქართველოსა და ქართველ ხალხს დაატეხა.** აკი, დედა გიულიმ ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა კიდეც — **მეც და მთელი ჩვენი ოჯახიც ჩართული ვიყავით ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში, რასაც მიშა პრეზიდენტობისას იღებდაო!**

ამიტომაც არის, რომ გიული ალასანია ამბობს — ჩემს შვილს ხელისუფლებაში ყოფნისას არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვიაო! ამით იგი მარტო თავისი მხოლოდშობილი მიშიკოს კი არა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის გამართლებას ცდილობს!

მოკლედ, **მიშა და გიული — ძალაუფლების სიყვარულით აღტყინებული ეს შვილიკო და დედიკო ყოველთვის თანამოსაქმენი და თანამოსაქმებლები** იყვნენ და ახლაც ასეა — ერთობლივად, შეთანხმებულად, შეხმატკბილებულად ცდილობენ, კანონის გვერდის ავლით, პროვოკაციული და სიმულაციური მეთოდებით მიაღწიონ მართლმსაჯულების თავიდან არიდებას.



პატიმარ სააკაშვილის პირდაპირი ჩართვა კლინიკიდან სასამართლო პროცესზე. 2023 წლის 1 თებერვალი



გიული ალასანია, მარიამ ჯიშკარიანი

**სანამ კლინიკაში რჩება და თეორიულ შანსს მაინც ინარჩუნებს, რომ ხელისუფლება დააშანტაჟოს, სასჯელის გადავადებას მიაღწიოს და საზღვარგარეთ გაძვრეს, სააკაშვილი თვითდაზიანებასა და თავის მომკვდარუნებას არ შეწყვეტს!**

დიახ, **მხოლოდ მაშინ,** როცა მსჯავრდებულ სააკაშვილს კლინიკიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიყვანენ; **მხოლოდ მაშინ,** როცა დამნაშავე ნაცბელადი მიხვდება, რომ სახელმწიფოს პროვოკაციაზე წამოგება ვერ შეძლო და მთელი 10-თვიანი სიმულაციის მიუხედავად, პატიმრობიდან თავის დახსნა არ გამოუვიდა;

**მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ სასჯელის მოხდა გარდაუვალია, ჭამასაც დაიწყებს, მედიკამენტებსაც მიიღებს და რუსთავის ციხის გრძელვადიანი პაემნების ოთახში ერთ-ორ ქალსაც დააორსულებს, როგორც ეს ლიზა იასკოს შემთხვევაში გააკეთა!**

**სააკაშვილის ახლანდელი საქციელი ძალიან ჰგავს იმ სიმულანტი ფეხბურთელის მოქმედებას, რომელსაც ორთაბრძოლის დროს მეტოქე ფეხში ფეხს მსუბუქად მიარტყამს ან ზურგში მცირე მუჯლუგუნს წაჰკრავს, ის კი მაშინვე მინდორზე გაგორდება, ყვირილს იწყებს და ვითომ გაუსაძლისი ტკივილისაგან იგრიხება, რათა მსაჯს მეტოქისათვის წითელი ბარათი გამოსტყუოს და მოწინააღმდეგე გუნდი კაცნაკლული დატოვოს!**

რას აკეთებენ ასეთ დროს გამოცდილი და მაღალკვალიფიციური მსაჯები? სიმულანტ ფეხბურთელს პროვოკაციული საქციელისათვის სჯიან და ყვითელ ბარათს უჩვენებენ ან სულაც მოედნიდან აძევებენ!

**ქართული სახელმწიფოც სწორედ ასე უნდა მოექცეს სიმულანტ და პროვოკატორ სააკაშვილს, რომელიც მხოლოდ მაშინ დაშოშმინდება, როცა თავის კუთვნილ ადგილას აღმოჩნდება — რუსთავის ციხის საკანში, ნომრით — B 138, სადაც, საავადმყოფოში გადაყვანამდე, ნამდვილი სანაგვე ჰქონდა მოწყობილი!**

# დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში და

## დაუსვით წერტილი გიული ალასანიას, მარიამ ჯიშკარიანისა და მსგავსთა მათთა პოლიტიკურ მძუვნობას!

შესაბამისად, ექიმების მოწოდებას — სააკაშვილს დიეტური კი არა, ყუათიანი საკვები მიუტანოს, გიული ალასანია აინუნშიც არ აგდებს და შვილისათვის კვლავ მოხარშული კვერცხი, სალათები და სხვა დაბალკალორიული საჭმელები მიაქვს, რათა ნაცბელადმა ხელოვნურად დაგდებული წონა შეინარჩუნოს და ფერზე არ მოვიდეს, მაგრამ არც მოკვდეს.

**მაინც როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს ეს მავნებლური წარმოდგენა?**

**როდის და როგორ შეიძლება, დასრულდეს ეს ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკური კამპანია, რომელიც არამხოლოდ ქართველი საზოგადოების ნერვებს, არამედ საქართველოს საერთაშორისო იმიჯსაც ურტყამს?**

**ნაცბელადის უსაშველო კვდომის ქრონიკას** წერტილი მხოლოდ მაშინ დაესმება, როცა მას „ვივამედის" ოროთახიანი აპარტამენტიდან გამოაბრძანებენ და რუსთავის ციხის საკანში დააბრუნებენ, მაგრამ, ასე რომ, **დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში** და დაასრულეთ ეს ამაზრზენი წარმოდგენა!

**დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში და დაუსვით წერტილი გიული ალასანიას, მარიამ ჯიშკარიანისა და მსგავსთა მათთა პოლიტიკურ მძუვნობას!**

**დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში** და დაუბრუნეთ ქართულ სახელმწიფოს სამართლებრივი სახე, რომელიც იმ დღიდან დაკარგა, როცა სისხლის სამართლის დამნაშავე ნაცბელადი კანონსა და ყველა დანარჩენ პატიმარზე მაღლა დააყენა!

***ჯაბა ხუბუა***

***სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული მილიარდერი ბადრი პატარკაციშვილის პარტნიორი და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, საქართველოში აღმოსავლური ბრძოლების დამფუძნებელი გოგა ბერიძე, რომელიც ნიკუტა გვარამიამ 2007 წლის 7 ნოემბერს შეთითხნილი ბრალდებით დაიჭირა, აცხადებს, რომ სააკაშვილის შიმშილობა კარგად აპრობირებული და დამუშავებული იმ სპეცმეთოდიკის ნაწილია, რომელსაც საბჭოთა „კაგებე“ თავის აგენტებს ექსტრემალური სიტუაციიდან თავის დასაღწევად ასწავლიდა:***

## „კალორიებისგან დაცლილი ადამიანი შტერდება და მასთან კონტაქტის დამყარება ჭირს, რადგან ობიექტს, ფაქტობრივად, ჭკუასუსტობა, ანუ დემენცია აღენიშნება!“




## გოგა ბერიძე:

# მიხეილ სააკაშვილი თავის ჯანმრთელობას „კაგებეში“ შემუშავებული სპეცმეთოდით ებრძვის, რათა დემენციის, ანუ უტვინობის დიაგნოზით გაათავისუფლონ!

— ვიდრე იმ მეთოდოლოგიის შესახებ მოგახსენებდეთ, რომელიც საბჭოთა „კაგებეში“ ექიმების, ექსპერტების, გამოძიებისა და, ზოგადად, ხელისუფლების მოსატყუებლად და შეცდომაში შესაყვანად შეიმუშავეს, გავიხსენებ იმ წამოცდენებს, რომელიც სააკაშვილმა და მისი გარემოცვის წევრებმა ადვოკატებთან თუ სამედიცინო პერსონალთან საუბრისას გააჟღერეს. აი, მაგალითად, **სააკაშვილს** წამოსცდა ასეთი ფრაზა — **„მთავარია, წონა დავიჭიროთ!“** რას ნიშნავს ეს? ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როცა სამედიცინო პერსონალისა და იუსტიციის მინისტრის კატეგორიული განცხადებით, სააკაშვილი მიზანმიმართულად მიირთმევს დაბალკალორიულ საკვებს და ცივ უარს ამბობს პარენტერალურ კვებაზე! პარალელურად, ძალიან საინტერესო წამოცდენა მოუვიდა **გიული ალასანიასაც,** როცა თქვა — **მთავარია, მიშა გამოუშვან და მერე კლინიკას ან საქართველოში და ან საზღვარგარეთ თავად იპოვისო!** არანაკლებ საინტერესო იყო **კობა ნაყოფიას** წამოცდენაც — **მიშა რომ გათავისუფლდება და ჯანმრთელობას მიხედავს, მერე პარტიას აუცილებლად მიეხმარებაო,** ანუ მთელი ეს ორომტრიალი სინამდვილეში ემსახურება სააკაშვილის გათავისუფლებას და არა მის ჯანმრთელობაზე ზრუნვას! ჩემი დასკვნა ასეთია: **სააკაშვილი თავის ჯანმრთელობას „კაგებეში“ შემუშავებული სპეცმეთოდით ებრძვის, რათა დემენციის, ანუ უტვინობის დიაგნოზით გაათავისუფლონ!**

**— ბატონო გოგა, მაინც რა მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს სააკაშვილი, როცა დაბალკალორიულ საკვებს მიზანმიმართულად ჭამს?**

— დედამისს **გიული ალასანიასა** და ბიძამისს **თემურ ალასანიას** ჰგონიათ, რომ ეს მეთოდი „კაგებეში“ მხოლოდ მათ ასწავლეს და სხვებმა ამქვეყნად არაფერი იციან, მაგრამ საქმე ასე არ არის! **ეს არის საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის ყოფილი შეფის სერგეი მიხეილის ძე შპიგელგლასის, მეტსახელად „დუგლასის“, მიერ შემუშავებული სპეცმეთოდი,** რომელიც თავის დროზე წარმატებით გამოიყენა **ლავრენტი ბერიას** მარჯვენა ხელმა და „კაგებეს“ გენერალმა **პავლე სუდოპლატოვმა,** რომელსაც **ნიკიტა ხრუშჩოვი** მტრობდა და მის განადგურებას ლამობდა. სწორედ ამ მეთოდით გადაირჩინა **სუდოპლატოვმა** თავი და ხრუშჩოვმა ის ვერ დახვრიტა, რადგან შეურაცხადი, უკონტაქტო იყო, თორემ დასახვრეტთა სიაში მერვე გახლდათ.

ხრუშჩოვი რომ გაანადგურეს და მოიშორეს, **პავლე სუდოპლატოვი** ციხიდან გამოვიდა, ჯანმრთელობა აღიდგინა და კარგა ხანს იცოცხლა. საქმე ის გახლავთ, რომ „კაგებეში“ დამუშავებული ამ მეთოდის თანახმად, ტყვედ ჩავარდნილი მაღალი რანგის საბჭოთა მზვერავები ან სამხედრო ოფიცრები, თავის გადარჩენის მიზნით, იმისათვის, რომ დაკითხვებზე არ ეტარებინათ, ყოველდღიურად ამცირებდნენ საკვების ულუფას და ამ გზით იწვევდნენ სასიცოცხლო ენერგიის გახარჯვას, რაც სრულდებოდა იმით, რომ ადამიანი ბოლოს ხდებოდა შეურაცხადი. მართლაც, კალორიებისგან დაცლილი ადამიანი შტერდება და მასთან კონტაქტის დამყარება ჭირს, რადგან ობიექტს, ფაქტობრივად, ჭკუასუსტობა, ანუ დემენცია აღენიშნება... რადგან კონტაქტი ვერ ხერხდებოდა, ბუნებრივია, ასეთ ტყვეებს დაკითხვებზე არ ატარებდნენ და ამ მტანჯველი და მომქანცველი პროცესისგან ათავისუფლებდნენ... **ახლა თემურ ალასანიას მიზანი, რომელმაც სააკაშვილს ამ მეთოდის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა და დედამისის საშუალებით ინსტრუქტაჟი ჩაუტარა, სწორედ ის არის, რომ სააკაშვილი საბოლოოდ გახადოს შეურაცხადი, რეალურად დადგეს დემენცია და ამის შემდეგ ეს აფერისტი გადაიყვანოს რეანიმაციაში, რათა დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ სააკაშვილი კვდება!**

**— რა უნდა დაუპირისპიროს „კაგებეს“ მიერ შემუშავებულ ამ მეთოდიკას ხელისუფლებამ?**

— დავიწყოთ იმით, რომ ამ მეთოდიკას, პირველ რიგში, სააკაშვილი უპირისპირდება და, როგორც ჩანს, გათვალისწინებულზე მეტ კალორაჟს მაინც იღებს, თორემ სასურველი შედეგი უკვე მიღწეული იქნებოდა. **ხელისუფლებამ სააკაშვილი სასწრაფოდ უნდა გადაიყვანოს ციხეში და მოექცეს ისე, როგორც პატიმარს!** ბოლოს და ბოლოს,

**დანარჩენი 9 ათასი პატიმრის დაცინვა და სულში ჩაფურთხებაა ის, რომ სააკაშვილი ოროთახიან პალატაში ნებივრობს მაშინ, როცა დანარჩენი პატიმრები მსგავს კომფორტს მოკლებული არიან.**

**— სააკაშვილის დროს ვინმესთვის ციხეში ფურცლის ნაგლეჯი და ფანქრის ნატეხი რომ ეპოვათ, ცემით სულს ამოხდიდნენ, არადა, სააკაშვილს ინტერნეტით დაწყებული, არაფერი აკლია.**

— ამ ხელისუფლებას იმასაც შევახსენებ, რომ ნაძირალა **ნიკა გვარამია,** რომელმაც ჩემი საქმე პირადად „შეკერა“ და გაყალბებული ბრალდება პირდაპირ ეთერში წაიკითხა, ციხეში სულ სხვა რამის გამო ზის! რვა თვე მტანჯეს ციხეში და ბადრი მოკლეს თუ არა, მეორე დღესვე შემოვიდა საკანში უშიშროების გენერალი, რომელმაც მითხრა — მიზეზი, რისთვისაც დაგიჭირეთ, უკვე აღარ არსებობს, ბადრი განადგურებულია. ამიტომ თუ პრესას არ გაეკარები და ენას კბილს დააჭერ, ვეცდებით, მალე გაგიშვათო! ბადრის „ჩაშვების“ სანაცვლოდ აურაცხელ ფულს მთავაზობდნენ... პირდაპირ მითხრეს — ბადრის, ჩვენი ანგარიშით, 13-დან 16 მილიარდი დოლარი აქვს, დაწერე და საჯაროდ აღიარე, რომ პატარკაციშვილი სახელმწიფო გადატრიალებას აფინანსებდა და რამდენსაც მოითხოვ, იმდენ ფულს მოგცემთო! 2 მილიონ ევროზე იყო ლაპარაკი... ცნობისათვის, **სააკაშვილმა „იმედის“ განადგურება სწორედ ნიკა გვარამიას დაავალა. ეგ იყო მაგ საქმეში კურატორი! მოკლედ, გვარამიას ციხეში ამოსალპობად ჩემი საქმეც ეყოფა, მაგრამ ვერ იქნა და სამართალს ვერ ვეღირსე!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***







შპიგელგლასი, სუდოპლატოვი

## „ეს არის საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვის ყოფილი შეფის სერგეი მიხეილის ძე შპიგელგლასის, მეტსახელად „დუგლასის“, მიერ შემუშავებული სპეცმეთოდი, რომელიც თავის დროზე წარმატებით გამოიყენა ლავრენტი ბერიას მარჯვენა ხელმა და „კაგებეს“ გენერალმა პავლე სუდოპლატოვმა!“

## კვირგვინოსნები

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



საქართველოში ჩამოტყუებით **სააკაშვილს,** რასაც ჰქვია **„შეუსრულეს“.** ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ შემიძლია, მარტივი რამის თქმა — **ყველა დამნაშავეა, ვინც სააკაშვილს არწმუნებდა, საქართველოში ჩამოდიო,** მიუხედავად იმისა, ამას შეგნებულად, ღალატით აკეთებდა თუ სიბრიყვით.

„საერთო გაზეთი“

**გიორგი გუგავა**
*ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი*



ანდაზაა ასეთი, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. როგორც ჩანს, ძველ ჩვევებზე უარს ვერ ამბობენ, **ისევ კომპრომატებით და ფარული ჩანაწერებით ცდილობენ ერთმანეთის დისკრედიტირებას.** რასაც ადრე სხვებს უკეთებდნენ, ახლა ერთმანეთზე გადავიდნენ. **თავიანთი ლიდერი სააკაშვილი გაწირეს და ფეხებზე დაიკიდეს.** საბოლოოდ, ეს ყველაფერი, ეს დაპირისპირება დასრულდება ნაცმოძრაობის დაშლით.

„ალია“

**გიული ალასანია**
*მიხეილ სააკაშვილის დედა*



ჩვენი თხოვნა **მიხეილ სააკაშვილის** საზღვარგარეთ გადაყვანა კი არ არის, არამედ ის, რომ **გადაუვადონ სასჯელი, იქნებ აქ აპირებს მკურნალობის გაგრძელებას.**

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**გიული ალასანიას** და არა მარტო მისი განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ **საქმე გვაქვს საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულთა, თაღლითების ძალიან დიდ ჯგუფთან.**

„რეზონანსი“

# ლალი მოროშკინა: სააკაშვილის მიერ პირდაპირ ეთერში აწეული მაისური ზელენსკისთვის დადგმული სპექტაკლი იყო!





## „უკრაინელები საქართველოზე შტურმისთვის ემზადებიან!“

***ლალი მოროშკინა** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც „კოვიდ 19“-ის პანდემია გლობალისტების მიერ დადგმულ ფარსად შეაფასა, ხოლო, როდესაც ფართო მასებმა ზელენსკი გმირად შერაცხეს, ხმამაღლა განაცხადა, რომ რეალურად ერთმანეთში ამერიკა და რუსეთი ომობდა:*

— ყველაფერი, რაც ხდება, კარგად დავიწყებული ძველია. ასი წლის წინათაც, პანდემიის დროს, ზუსტად ანალოგიური სიტუაცია იყო. 2020 წლის მსგავსად ხალხი სახლებში გამოკეტეს, რასაც ომი, ეკონომიკური კრიზისი და მსოფლიოს ახალი გადანაწილება მოჰყვა. ის, რაც დღეს ხდება, 1962 წლის კარიბის კრიზისის გამეორებაა. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამერიკას ადეკვატური პრეზიდენტი მართავდა — **ჯონ კენედი,** პროცესები მაინც მივიდა კრიზისამდე და მხოლოდ ბოლო მომენტში მოხდა ყველაფრის გაუვნებელყოფა. ახლაც, ორიოდე დღის წინ, ზელენსკიმ ღიად მოითხოვა წყალქვეშა ნავი — ატომური იარაღის მოხმარების საშუალება უნდა გვქონდესო.

**— ეს როგორ უნდა გავიგოთ, პროცესები ბირთვულ ომში გადაიზრდება?**

— ეს ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტი ფინალისკენ მიდის! ბაიდენის ყველა სახლში მიდის ჩხრეკა და მისი ფინანსური დოკუმენტაციის სკრუპულოზური შესწავლა წარმოებს, ანუ მალე მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგება. ამ ყველაფერთან კი პირდაპირ არის დაკავშირებული ფრონტის ხაზი. **ამერიკის დეპარტამენტი აგზავნის მონიტორინგის ჯგუფს, რომელმაც უნდა შეისწავლოს, სად წავიდა მათი ტექნიკა და ფული.** ასევე აღმოჩენილია აკრძალული ნაღმები, რომელსაც ფოთლის ფორმა აქვს. სხვათაშორის, როდესაც თავის დროზე ამის შესახებ გაეროში რუსებმა განაცხადეს, ყურადღება არავინ მიაქცია, ახლა კი თავად საუბრობენ ამაზე.

რუსებმა თავიანთი საბრძოლო ტექნიკა მიიყვანეს ნატოს წევრი ქვეყნების სანაპიროებთან, საიდანაც ძალიან მარტივად შეუძლია, დაანგრიოს ყველა ევროპული ქვეყანა. ისიც ფაქტია, რომ ზელენსკის გუნდი ნელ-ნელა იშლება. დიახ, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა 44-მილიონიანი ქვეყანაა, 20 მილიონამდე ქვეყნიდან არის გასული. არავის უნდა ზელენსკის ამბიციების გამო ხორცსაკეპ მანქანაში ჩაყოლა. დღეს ბევრი დასავლელი ლიდერი აფიქსირებს პოზიციას, რომ ეს ომი კარგს არაფერს მოიტანს და ზელენსკის კაპიტულაციის გამოცხადებისკენ მოუწოდებენ.

## „სააკაშვილს არაფერი ჭირს სამკურნალო, სიმულანტობს!“

**— მაშინ, როცა თქვენ ზელენსკის კაპიტულაციაზე საუბრობთ, ტელეარხები საზოგადოებას არწმუნებენ, რომ უკრაინა გამარჯვებასთან ძალიან ახლოსაა!**

— **წაგებული ომი არ გვაზეიმეს 2008 წელს? ესეც გლობალისტების მიერ მართული პიარ-პროპაგანდაა.** ყოველდღე იდება ციფრები, რამდენი ჯარისკაცი დაეღუპა რუსეთს და არაფერს ამბობენ უკრაინელი მეომრების გარდაცვალების შესახებ. თუ უკრაინელებს ტყვია არ ეკარებათ?

როდესაც საფრანგეთიდან რეპორტაჟებს ვაკეთებდი და ვამბობდი, ურთულესი ვითარებაა-მეთქი, ძალიან ბევრი სკეპტიკოსი დასძენდა — ევროპას როგორ გაუჭირდებაო. ხომ აქვთ დღეს მილიონიანი გამოსვლები — გაჩერებულია ტრანსპორტი, ზამთრის კურორტების საბაგირო გზები... სანქციების შედეგად რუსეთი არ დაზარალებულა, მეტიც, მოიშორა ბალასტი, გაწმინდა თავისი რიგები მოღალატეებისგან და სრულად დაუბრუნდა ერთი წლის წინანდელი ეკონომიკური ზრდის ნიშნულს. საგულისხმოა, რომ 40 პროცენტით გაიზარდა რუსეთის ენერგორესურსის ექსპორტი ევროპაში. სამაგიეროდ, ყველაფერი თავდაყირა დგას ევროპაში. თურქეთის პრეზიდენტმა **ერდოღანმა** საფრანგეთის პრეზიდენტ **მაკრონს** სულ **მიკრონი** ეძახა. მოკლედ, ძალიან დიდი მსოფლიო კრიზისია. აი, ეს არის რეალობა და არა ის, რაც ქართული ტელეარხებიდან მოედინება!

**წარმოიდგინეთ, კაცს ქვეყანა თავზე ენგრევა და ამ დროს ზელენსკი იმისთვის იცლის, რომ სააკაშვილის სურათები აფრიალოს. ნუთუ ამის შემდეგ ვინმეს კიდევ ჰგონია, რომ მას რაიმე ადამიანური ღირსება შერჩა?**

**— ვერც მე დავიჯერებ, რომ სააკაშვილზე შესტკივა გული.**

— აქ სულ სხვა თამაშია. უკრაინელებს ახლა ისევე სჭირდებათ პლაცდარმი, როგორც თავის დროზე გერმანელებს. მათთვის ასეთი პლაცდარმი საქართველოა. ჯერ კიდევ ომის დასაწყისში განიხილავდნენ ორივე ვარიანტს — **თუ მოიგებდნენ, საქართველო, როგორც გასართობი კუნძული ექნებოდათ, სადაც თავიანთ მილიონებსაც გაათეთრებდნენ, წაგების შემთხვევაში კი შემოვიდოდნენ და არსებულ ხელისუფლებას დაამხობდნენ.** ჩვენ უკვე გვესმის ეს მუქარები. სოციალურ ქსელში მთვრალი ქართველების ვიდეო შემთხვევით არ გავრცელებულა, მათ რეალურად აქვთ ეს გეგმა. წარმოიდგინეთ, წააგო უკრაინამ, სად მიდის ეს ხალხი? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყოფილი მეომრები არცერთ ქვეყანას არ სჭირდება?!

კიდევ ერთხელ ვიმეორებ — **უკრაინა და საქართველო ერთ კონტექსტში იყო განხილული. იქაც ჯამბაზი მოიყვანეს ქვეყნის სათავეში და აქაც, იქაც დაკარგეს ტერიტორიები და აქაც.** 2008 წელი გენერალური რეპეტიცია იყო იმისა, რაც უკრაინაში უნდა მომხდარიყო. დააკვირდით, უკრაინა იყო ქვეყანა, რომელმაც სააკაშვილი და მისი დამნაშავე ხელისუფლების წევრები შეიფარა, მკვლელებისთვის პლაცდარმად იქცა, ახლა უკრაინაში არის ანალოგიური პროცესი და საქართველოსკენ უჭირავთ თვალი — უკრაინელები საქართველოში აპირებენ თავის შეფარებას. აი, რატომ აფრიალებს ზელენსკი სააკაშვილის სურათებს. ძალიან დიდი საფრთხეა იმისა, რომ წაგებული უკრაინიდან აქეთ დაიძრან და საქართველო პლაცდარმად გამოიყენონ! დიახ, **ისინი, ვინც საქართველოს ომში ჩართვისკენ უკიჟინებდნენ, საქართველოზე გასალაშქრებლად ემზადებიან!**

მათ კარგა ხანია, ჩვენთან ათასგვარი ცენტრები და უკრაინული აიტი კომპანიები აქვთ შექმნილი. მოკლედ, სერიოზულად მუშაობენ. უშიშროებასაც აქვს ამის თაობაზე ინფორმაცია, პირადადაც მივაწოდე, როდესაც გავიგე, რომ გარკვეული ჯგუფები სასტუმროებში დაბინავდნენ. შემთხვევითი არც **ხაბეიშვილის** არჩევაა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ. ესეც ამ სცენარის ნაწილია!

**— რა კავშირშია ლევან ხაბეიშვილი ამ პროცესებთან?**

— **სააკაშვილი, ზელენსკი, ხაბეიშვილი** — ზუსტად ასეთ კლოუნებს, მარტივ ფიგურებს არჩევენ, როდესაც რაღაცის გასაფუჭებლად ემზადებიან! ასეთ კომიკურ, ყველაფერზე წამსვლელ ადამიანებს დაანგრევინეს საქართველო და უკრაინა. ხაბეიშვილისგან განსხვავებით, ნიკა მელია არ არის ჯამბაზი, ძალიან კარგი ოჯახიდანაა და ადამიანური ღირსებები გააჩნია. არასოდეს იკადრებს, ხელი მოაწეროს ქვეყნის განადგურებას! ამიტომაც ვამბობ — **ხაბეიშვილის ფაქტორი ხელწამოსაკრავი არ არის. მას საკმაოდ დიდი ფუნქცია აკისრია — ქვეყნის არევა! ის რევოლუციური სცენარის განსახორციე-**

## „,ის, რაც დღეს ხდება, 1962 წლის კარიბის კრიზისის გამეორებაა!“

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*

**ქალბატონ გიულის** უნდა ვუთხრათ, რომ **პატიმარი სააკაშვილი** კი არის პატიმარი, მაგრამ უკვე მერამდენე თვეა, ლუქს-პალატაშია, თავისუფლად გადაადგილდება, მოძრაობს და **კეთილი ინებოს, დაემორჩილოს ექიმების რეკომენდაციას** და მიიღოს ის საკვები და ის კალორაცია, რაც არის დადგენილი. **ამისკენ მოუწოდოს თავის შვილს.**

„რეზონანსი“



**გიორგი ჩალაძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*

თუკი პრეზიდენტი **სააკაშვილი** მოხვდება რეანიმაციულ პალატაში, საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის ეს ნიშნავს, რომ მისი მდგომარეობა დამძიმდა — სპეციალურად არ გადაჰყავთ, **სისტემის ინტერესია მისი მოკვლა.**

„პალიტრანიუსი“



**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

აგენტი მონის ფსიქოლოგიით მოქმედებს და დავალების მიმცემის ნება-სურვილის უსიტყვო ამსრულებელია — **სააკაშვილმა, რომელიც მზადაა, ძალაუფლების დასაბრუნებლად, საკუთარი ღირსება და ქვეყნის ინტერესები გაყიდოს,** აგენტობა თავადვე აღიარა.

„იმედინიუსი“



**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი, პარლამენტარი*

**ნაციონალური მოძრაობის ლიდერი არჩეულია „ქართული ოცნების“ მიერ** — ერთადერთ ლეგიტიმურ მიზეზად, რითიც ამას გავამართლებდი, **მიხეილ სააკაშვილზე** ვაჭრობაა, ყველა დანარჩენი ღალატი იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

## ლალი მოროშკინა:

# მიშა, თქვი სიმართლე, რომ უკრაინა შეიარაღებულ თავდასხმას აპირებს საქართველოზე!




*დასაწყისი მე-9 გვერდზე*

ელეგლად აირჩიეს. როგორ ფიქრობთ, რას გეგმავდნენ, როდესაც უკრაინის უშიშროების სხდომაზე იჯდა ზურაბ ადეიშვილი?! თუმცა, ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელიც სერიოზულ ინფორმაციას ფლობს, ამ პროვოკაციას მომზადებული შეხვდება.

**— რაც შეეხება სააკაშვილს, მას რა როლი აქვს სცენარში?**

**– უკრაინამ სააკაშვილი საქართველოში იმისთვის გამოაგზავნა, რომ ნაგების შემთხვევაში ფეხსამონაცვლეო ადგილი ჰქონოდათ. რახან ეს დავალება სააკაშვილმა ვერ შეასრულა და ციხეში აღმოჩნდა, პირველად მას გაწირავენ.**

როგორ ფიქრობთ, რისთვის იბრძვის დღეს სააკაშვილი, არ ურჩევნია, წყნარად იყოს და უდროთი გამოვიდეს ან ბოდიში მოიხადოს? საქმეც ის არის, რომ მის ხელში დღეს სერიოზული კოზირია. **პირდაპირ ეთერში აწეული მაისური ზელენსკისთვის დადგმული სპექტაკლი იყო — ჯერჯეროდობით თქვენს გეგმას მივყვები, თუ არ დამიხსნით, ყველაფერს ვიტყვი, როგორ აპირებთ საქართველოზე იერიშით წამოსვლასო.** სხვათაშორის, ლიზა იასკომ თავის ბოლო ინტერვიუში სწორედ ეს თქვა — მე ვიტყვი, ვინ და რისთვის ჩამოდიოდა კიევშიო.

**— გამოდის, სააკაშვილს გონება არა აქვს წართმეული და მშვენივრად ხვდება ყველაფერს...**

— დიახ, მას თვითგადარჩენის მექანიზმი აქვს ჩართული და იასკოს პირით მნიშვნელოვან გზავნილებს აკეთებს. როგორ გგონიათ, იასკომ რომ დაასახელოს ყველა ის პიროვნება, ვინც ამ სპეცოპერაციაში იყო ჩაბმული, მათ შორის უკრაინული მხრიდან, ხომ გასაგებია, რით დამთავრდება ყველაფერი? ისიც ფაქტია, რომ ხელისუფლება არ ებრძვის სააკაშვილს, პირიქით, ეუბნება — **შენი გადარჩენის ერთადერთი გზა არის პენიტენციურ სისტემაში ყოფნა.** და, საერთოდ, სააკაშვილს არაფერი ჭირს სამკურნალო, უბრალოდ, სიმულანტობს — არ ჭამს. აიღეთ ორკვირიანი დიეტა და იმავე შედეგს მიიღებთ. დიახ, **სააკაშვილი დიეტაზეა და თუ ასე გააგრძელა, შეიძლება, 55 კილოგრამიც გახდეს.** თუ ხელისუფლება სააკაშვილს პენიტენციურ სისტემაში გადაიყვანს, სადაც მის კვებაზე აიღებენ პასუხისმგებლობას, დამიჯერეთ, ერთ კვირაში ლოყებღაჟღაჟა სააკაშვილს ნახავთ!

**— არაფერს ეტყვით ყოფილ მეგობარს?**

— მიშა, შეეშვი კრიმინალებს, მითუმეტეს უკრაინელებს, ქართულ მართლმსაჯულებას — ციხეს შეაფარე თავი! ეს არის შენი გადარჩენის ერთადერთი გზა! და კიდევ: **თქვი სიმართლე, რომ უკრაინა შეიარაღებულ თავდასხმას აპირებს საქართველოზე!** ჯერ კიდევ გაქვს შანსი, ბევრ რამეს დაუსვა წერტილი, რაღაც მაინც მოინანიო და ქვეყანა მათ სათარეშოდ არ გაწირო!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***





## „დროთა განმავლობაში ნაცები უფრო რადიკალურ პროვოკაციებზეც წავლენ!“

## ნანა დევდარიანი:

# დღეს ქართული სახელმწიფოს გადარჩენა სწორედ ღარიბაშვილისა და „ქართული ოცნების“ გაძლებაზეა დამოკიდებული!

***პოლიტიკური ცირკი, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან დახსნის მიზნით უკვე მეათე თვეა, გრძელდება, გასულ კვირას საზოგადოების წინაშე ახალი ნომრით წარდგა — წვერგაუპარსავი, თმადაუვარცხნელი და წონაში დაკლებული სააკაშვილი სასამართლო სხდომაზე ვიდეოჩართვისას წელზევით გაშიშვლდა, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ კი მისი ფოტოები ააფრიალა და უკრაინის მოქალაქე ნაცბელადი წამებულად გამოაცხადა. ამ და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ ჟურნალისტსა და ანალიტიკოსს, საქართველოს ყოფილ სახალხო დამცველს ნანა დევდარიანს ვესაუბრებით:***

— რაც სააკაშვილთან დაკავშირებით ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხდება, ეს არის გამალებული პიარომი, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება ვერ ახერხებს, ევროპარლამენტამდე და სხვა საერთაშორისო პარტნიორებამდე ელემენტარული სიმართლე მიიტანოს.

გარდა ამისა, სააკაშვილთან დაკავშირებით მუშაობს ამერიკელების ცნობილი ფორმულა — „ძაღლისშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლისშვილია!“ ამიტომაც კბილებით იცავენ!

როგორც ყოფილი სახალხო დამცველი, გეტყვით, რომ ციხეში ერთი ასეთი წესი არსებობს — **თუ პატიმარი საკუთარ თავს არ უვლის, მოწესრიგებული არ არის და ჰიგიენას არ იცავს, მას არც ე.წ. უდო, ანუ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლება შეეხება და არც რაიმე სხვა შეღავათი ელირსება.**

**— თუმცა, ცნობილია, რომ სააკაშვილი თავს განზრახ არ უვლის, რათა მაქსიმალურად ცუდად გამოიყურებოდეს. ამასთან, აღმოჩნდა, რომ გიული ალასანიას, ექიმების მრავალგზისი თხოვნის მიუხედავად, პატიმარ შვილთან განზრახ არ მიაქვს კალორიული საჭმელი, რათა წონაში არ მოიმატოს და გამოჯანმრთელებისაკენ არ წავიდეს. ამაზე რას იტყვით?**

— აშკარაა, რა მიზანიც ამოძრავებთ — მაქსიმალურად მძიმე სურათი უნდა შექმნან და სააკაშვილი როგორმე გამოაძვრინონ პატიმრობიდან! **თურმე, იმ 300 000 ადამიანისთვის, რომელიც სააკაშვილმა პენიტენციურ ხორცსაკეპში გაატარა, ცემაც შეიძლებოდა, წამებაც, ქონების წართმევაც და ოჯახის განადგურებაც, მაგრამ თავად სააკაშვილისათვის ციხეში მეფურად ჯდომაც კი არ შეიძლება, რადგან გარემო არ მოსწონს და საკანი სწყენს.**

დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში ნაცები უფრო რადიკალურ პროვოკაციებზეც წავლენ, რადგან ეს მათი სტილია. გაიხსენეთ, როგორ დაარტყა ხელი ავტოინსპექტორს **ირაკლი ოქრუაშვილმა,** როგორ სცემა პარლამენტის დაცვის თანამშრომელი **დავით კირკიტაძემ,** როგორ ჩაარტყა **გივი თარგამაძემ** პოლიციელს თავში ბოთლი... 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს **სააკაშვილმა,** რომელიც მაშინ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე პოლიციელს ხელი დაარტყა, მან კი ხელი ვერ შეუბრუნა, გული გაუსკდა და მოკვდა. ასეთია ნაცების ბუნება და ყველანაირ სიმდაბლეზე არიან წამსვლელი, მაგრამ ხელისუფლებამ პროვოკაციებს უნდა გაუძლოს და ქართული სახელმწიფოს მტრებთან არანაირ დათმობაზე არ წავიდეს.

**— როგორ ფიქრობთ, ომში**




## „ბიძინა ივანიშვილზე ძალიან მძიმე ზეწოლა ხორციელდება! რასაც მას შვეიცარიული ბანკის გამოყენებით უკეთებენ, ამას ყაჩაღობის გარდა არაფერი ჰქვია!“

### კვირგვინოსნები

**ვახტანგ ძაბირაძე**
*პოლიტოლოგი*



**ხაბეიშვილი** ნაციონალების გარდამავალი თავმჯდომარე იქნება, **მალე სხვისით ჩაანაცვლებენ.** რამდენიმე თვის წინ კაციშვილი ვერ იფიქრებდა, რომ **ვანო მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს** რაიმე სახის ინტერესი ჰქონდათ ქართულ პოლიტიკაში, მაგრამ ამ არჩევნებმა ყველაფერს ფარდა ახადა?!

**ნაციონალები მმართველ გუნდს უკვე მოგუდული ჰყავს,** მორჩა, პარტია, როგორც ასეთი, აღარ არსებობს. **მერაბიშვილს** ხალხის ხოცვა ედება ბრალად და იმ სასტიკი რეჟიმის შექმნა, **დავით კეზერაშვილს** კი ბიუჯეტის და ჯარის გაძარცვა ომის დროს. ეს ხალხი „ოცნებისთვის“ 2024 წლის არჩევნების წინ სრული საჩუქარია.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თაკო ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მე თუ ოდესმე ვილაპარაკებდი **ვანო მერაბიშვილზე,** თანაც დავიცავდი, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი. შეიძლება, ადამიანი არ მოგწონდეს, მის ოპოზიციაში იყო, მაგრამ **ადამიანმა ციხე გამოიარა, ამდენი წელი იჯდა, არავის წინაალმდეგ ჩვენება არ მიუცია.** კარგით რა, ყველაფერს აქვს საზღვარი. უმოქმედო თავმჯდომარეს **ნიკანორ მელიას** რა პასუხიც მიაგო ხალხმა, ყველამ დავინახეთ. ახლა **ხაბეიშვილი** თუ ვერ მოიყვანს პარტიას მოქმედებაში, ხალხი მასაც **მელიას** გზას გაუყენებს.

„ახალი თაობა“



# „ზელენსკი, ფაქტობრივად, იმავეს იმეორებს, რაც 2008 წელს სააკაშვილმა ჩაიდინა!“

**მყოფი უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი, რომელსაც ქვეყანა თავზე ენგრევა, სააკაშვილის ფოტოების ასაფრიალებლად და მის „წამებაზე“ სალაპარაკოდ რატომ იცლის?**

— **ზელენსკის** იმის ნიშანწყალიც არ ეტყობა, რომ უკრაინის გადარჩენა სურს! იგი, ფაქტობრივად, იმავეს იმეორებს, რაც 2008 წელს სააკაშვილმა ჩაიდინა, როცა სიტუაცია იქამდე მიიყვანა, რომ რუსეთს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარებინა. გაიხსენეთ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის **სარკოზის** განცხადება — სააკაშვილმა შეთანხმების დოკუმენტიდან საკუთარი ხელით ამოშალა პუნქტი, რომლის მიხედვითაც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსი ფართო საერთაშორისო დისკუსიის გარეშე ვერ განისაზღვრებოდა. სააკაშვილის მიერ ამ პუნქტის ამოღებიდან ზუსტად ორ კვირაში რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო.

**— როგორ ფიქრობთ, სააკაშვილმა ეს უვიცობით გააკეთა თუ შეგნებულად თამაშობდა რუსულ თამაშს?**

— ძალიან მიჭირს იმის დაჯერება, რომ სააკაშვილი ასე თავისი უვიცობის გამო მოიქცა. რა საჭირო იყო კოდორის ხეობისათვის **„ზემო აფხაზეთის“** დარქმევა ან ახალგორში ე.წ. დროებითი ადმინისტრაციის შექმნა და მერე, ფაქტობრივად, იმის აღიარება, ახალგორის რაიონი ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონტროლირებადი ტერიტორიაა? ან რატომ გამოიყვანეს მთელი ადმინისტრაციული სტრუქტურები, თავისი პოლიციისა და გამგებლების ჩათვლით, იმ ადგილებიდან, სადაც 2008 წელს ტყვია არ გავარდნილა — მაგალითად, კოდორიდან და ახალგორის სოფლებიდან? ძალიან უნდა გაისულელო თავი, რომ დაიჯერო, თითქოს სააკაშვილს ეს ყველაფერი შეგნებულად არ გაუკეთებია!

**— დღეს ნაციონალები ერთმანეთს აბრალებენ რუსეთის აგენტობას...მაგალითად, სააკაშვილმა განაცხადა — უკრაინიდან საქართველოში ჩემი შემოპარვის ორგანიზება რუსეთის აგენტებმა გააკეთესო!**

— ახლა სააკაშვილმა არკვიოს, ნაცმოძრაობაში ვინ უფრო დიდი და სტაჟიანი აგენტია, ქართველი ხალხისთვის კი ეს კარგა ხანია, ნათელია! საერთოდ,

## ნაციონალებმა ახალი „კულტურა“ დაამკვიდრეს – სიტყვიერად რუსეთს უნდა აგინო, მაგრამ საქმე აკეთო ისე, როგორც რუსეთს აწყობს!

სამაგიეროდ, თუ ვინმე იტყვის, რომ რუსეთთან დიალოგია საჭირო, სწორედ მას გამოაცხადებენ რუსეთის აგენტად!

**— ბოლოს და ბოლოს, რა უნდა საქართველოსაგან უკრაინის ხელისუფლებას, რომლის წარმომადგენლებიც უკვე ღიად და უაპელაციოდ ადანაშაულებენ „ქართულ ოცნებას“ რუსეთთან თანამშრომლობაში?**

— უკრაინის ხელისუფლება იმაზეა დაბოღმილი, რომ საქართველომ მეორე ფრონტი არ გახსნა და რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში არ ჩაერთო! რაღა შორს მივდივართ, როცა ჩვენი შიდა მოღალატეებიც ღიად აცხადებდნენ — მეორე ფრონტის გახსნით 10 000 რუს ჯარისკაცს მაინც ხომ მოვაცდენთ უკრაინის ფრონტისგანო! თურმე, მთელი საქართველო უნდა გადაგვეყოლებინა იმისათვის, რომ უკრაინაში რამდენიმე ათასით ნაკლებ რუს ჯარისკაცს ეომა!

საქართველო ომში რომ არ ჩაერთო და არ გაცამტვერდა, ეს **პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის** უდიდესი დამსახურებაა და ვინც მისი პოლიტიკური მტერი არ არის, ამას ყველა ხედავს!

**— თუმცა, სწორედ ამის გამო პრემიერი ღარიბაშვილი და მისი ხელისუფლება კოლექტიური დასავლეთის ცალკეული წრეების მხრიდან დიდ პოლიტიკურ წნეხს განიცდიან. როგორ ფიქრობთ, გაუძლებენ თუ არა ბოლომდე ამხელა ზეწოლას?**

— პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართული სახელმწიფოს გადარჩენა სწორედ ღარიბაშვილისა და „ქართული ოცნების“ გაძლებაზეა დამოკიდებული! პირადად ბიძინა ივანიშვილზეც ძალიან მძიმე ზეწოლა ხორციელდება და ამისათვის სრულიად მიუღებელი ხერხებია გამოყენებული. ჩვენ რომ გვასწავლიდნენ, თითქოს დასავლური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ადამიანის უფლებების, მათ შორის, კერძო საკუთრების უფლების დაცვაა, დღეს სრულიად საწინააღმდეგო რამეს ვხედავთ. **რასაც შვეიცარიული ბანკის გამოყენებით ივანიშვილს უკეთებენ, ამას ყაჩაღობის გარდა არაფერი ჰქვია!**

**— შვეიცარიული ბანკის „კრედიტ სუისის“ მიერ ივანიშვილისათვის 2 მილიარდი დოლარის გაყინვას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა! ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შვეიცარიული საბანკო სისტემის სანდოობა ეჭვქვეშ დადგებოდა, მაგრამ დღეს მის მიმართ არავითარი ნდობა აღარ არსებობს! **ყველა მსხვილი ბიზნესმენი თუ ბიზნეს-ორგანიზაცია, რომელსაც შვეიცარიულ ბანკებში ანგარიშები აქვს გახსნილი, ალბათ, უკვე სერიოზულად ფიქრობს, სად წაიღოს საკუთარი აქტივები!**

**— თუმცა, ფაქტია, რომ 2 მილიარდი დოლარის გაყინვის მიუხედავად, ივანიშვილის დაშანტაჟებას ვერ მიაღწიეს!**

— დიახ, ივანიშვილი უდიდეს ზეწოლას უძლებს და ბოლომდე უნდა გაუძლოს, რადგან ნაცმოღალატეებთან და მათ საგარეო მფარველებთან ნებისმიერ დათმობაზე წასვლა კატასტროფა იქნება არამხოლოდ „ქართული ოცნებისათვის“, არამედ ქართული სახელმწიფოსათვის!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***



*საინფორმაციო სააგენტო „იქს-ნიუსის“ დამფუძნებელი, ანალიტიკოსი მირიან ყარაულაშვილი ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და კიდევ ერთხელ კატეგორიულად აცხადებს, რომ სააკაშვილის საქართველოში შემოგზავნა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესში შედის:*



# „გამორიცხულია, სააკაშვილი ვინმემ გამოუშვას!“

## მირიან ყარაულაშვილი:

## აგენტმა სააკაშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოში რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებმა – ვანო მერაბიშვილმა და გია ლორთქიფანიძემ ჩამოიყვანეს!

— პრივატულ საუბარში თქვენ მიერ ხსენებული სამი ნაძირალა — **სერგი კაპანაძე, თორნიკე გორდაძე და ზურაბ ჭიაბერაშვილი** — რომლებიც სტოკჰოლმში საგანგებოდ იმისთვის ჩავიდნენ, რომ საქართველოს შესახებ სიბინძურე და სიცრუე გაავრცელონ, იმართებიან იმავე ლობისტური ჯგუფების მიერ, რომლებსაც სააკაშვილის ოჯახი საქართველოში ნაქურდალი მილიონებით აფინანსებს! **ზურაბ ჭიაბერაშვილს** თავისი გაჭირვება ეყოფა და მასზე აღარ შევჩერდები, მაგრამ მკითხველს მაინც შევახსენებ, რომ **ეს ის ნაძირალაა, რომელმაც სააკაშვილს 2004 წლის ე.წ. „არჩევნებით“ პრეზიდენტობა მიართვა.** მაშინ ჭიაბერაშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო. სააკაშვილმა ჭიაბერაშვილს ეს სამსახური დაუფასა და თბილისის მერად გაამწესა.

**სერგი კაპანაძეს** არ ვიცნობ, მგონი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ხოლო, რაც შეეხება **თორნიკე გორდაძეს,** არ ვიცი, რა მანქანებით მოხვდა ინგლისში, სადაც ჯერ საქართველოს საელჩოში მეორე მდივანი გახდა, ხოლო შემდეგ ელჩობასაც გამოჰკრა ხელი. როგორც მახსოვს, თორნიკე გორდაძეს აწ განსვენებული **ბელა ჩარკვიანი და თამარ ბერუჩაშვილი** ლობირებდნენ. **თამარ ბერუჩაშვილი,** რომელიც **სანდრა რულოვსის** უახლოესი მეგობარი და დაქალია, ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ **რემა ღვამიჩავას** მეუღლე გახლავთ, ხოლო რემა ღვამიჩავა იყო სანდრა რულოვსის ბიზნეს-პარტნიორი... **ბახსოვთ, ალბათ, საქართველოში ერთმანეთის მიყოლებით სკრინინგ-ცენტრები რომ გაიხსნა, ყოველ მეორე ადამიანს კიბოს დიაგნოზს რომ „უსვამდნენ“ და მერე მათ „მკურნალობასა“ თუ დაავადებაში დიდძალ თანხებს „ხსნიდნენ“...** ამ უზარმაზარი ბიზნესის უკან სწორედ **სანდრა რულოვსი** და **რემა ღვამიჩავა** იდგნენ! ერთი სიტყვით, ზემოხსენებულმა სამ-

***გაგრძელება მე-12 გვერდზე***



## „ციხეში გამოცხადებული პირველი შიმშილობით სააკაშვილმა ამფეტამინები და მისგან წარმოებული პრეპარატები, რომლებზეც დამოკიდებული იყო, მოიშორა, ახლა კი წონის კორექციას მიმართავს!“

## კვირგვინოსნები

**დაჩი ცაგურია**
*„საქართველოს რკინიგზის“ ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორი*



რომელ ეროვნულ მოძრაობაზე საუბრობენ, როცა **ლიაკას, გირჩისა და ჭიჭეს გენში ეროვნული კოდიც კი წაშლილია.** მიშამ სერგო ორჯონიკიძესაც აჯობა — **სამშობლოს ტერიტორიები წაართვა და რუსეთს გადასცა.**

„საერთო გაზეთი“

**სოსო ცინცაძე**
*პოლიტოლოგი*



გასაოცარია, რატომ არ სვამს **მელია** კითხვას — **ხომ არ გამიყალბეს?!** თუ ხელისუფლებაში არ ვარგა **არაფორმალური მმართველობა,** რასაც ოპოზიცია აპროტესტებს, **არაფორმალური მმართველობა** არ ვარგა არც ოპოზიციაში.

„ახალი თაობა“

**მამუკა ტუსკაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი*



**ხაზარაშვილის** თავმჯდომარეობისას პარტია 2012 წლამდე პერიოდს დაუბრუნდება. მის უკან დგანან **ვანო მერაბიშვილი, დავით კეზერაშვილი** და ის კლანი, რომელმაც სააკაშვილთან ერთად 9-წლიანი რეჟიმი შექმნა. ჩათვალეთ, რომ დღეიდან საქართველოში **ნულოვანი ტოლერანტობა** იწყება.

„ახალი თაობა“

**ელიშერ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



ოპოზიციამ აქციები დაგვიანონსა. ერთს გეტყვით: **მათ აქციებზე იმდენი ხალხი მივა, რამდენიც ბებიაჩემ ოლღას ხუთი წლისთავზე ჩემს ჭურისთავზე იჯდა.**

**ივანიშვილი** ქართული სახელმწიფოს ის გუშაგია, რომელიც მამულს, ენას და სარწმუნოებას თავგამოდებით იცავს!

„საერთო გაზეთი“

# მირიან ყარაულაშვილი: ამ უზარმაზარი ბიზნესის უკან სანდრა რულოვსი და რემა ღვამიჩავა იდგნენ!




რულოვსი, ღვამიჩავა

*დასაწყისი მე-11 გვერდზე*

მა ნაძირალამ — **კაპანაძემ, გორდაძემ და ჭიაბერაშვილმა,** სადაც გინდა ირბინონ და იწანწალონ, ვერაფერს შეცვლიან... ისე, ევროკავშირისა და ნატოს გაფართოება, როგორც ჩანს, დიდხანს ვეღარ მოხდება!

**— ბატონო მირიან, რა გაძლევთ ამის საფუძველს?**

— ამის საფუძველს მაძლევს რამდენიმე ევროდეპუტატის პირდაპირი მიმართვა ევროსაბჭოს პრეზიდენტის **შარლ მიშელისადმი,** როცა მიშელს პირდაპირ მოუწოდეს — **ნუ აიმედებთ უკრაინას ტყუილუბრალოდ, რომ 2026 წელს ევროკავშირში მივიღებთო!**

**— სააკაშვილმა მთელ მსოფლიოს უჩვენა თავისი ნეკნები... რა იქნება მისი შემდეგი ნაბიჯი და რა დააშავა პატარა საქართველომ? ექვსი წელი ქვეყანამ ამ საგიჟეთში უნდა იცხოვროს თუ სააკაშვილს გამოუშვებენ და მოგვაშორებენ?**

— გამორიცხულია, სააკაშვილი ვინმემ გამოუშვას!

**ვინც სააკაშვილის შეწყალებაზე ან სასჯელის გადავადებაზე ხელს მოაწერს, ის საქართველოში სისხლის სამართლის ყველაზე დიდი დამნაშავე იქნება.**

ქალბატონი სალომე ზურაბიშვილის ჩათვლით დღეს საქართველოში ამ გადაწყვეტილების მიმღები ადამიანი არ მეგულება!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს სალომე ზურაბიშვილი არ შეიწყალებს?**

— ამას გამოვრიცხავ! სააკაშვილი არ არის პოლიტპატიმარი, ის გახლავთ სისხლის სამართლის დამნაშავე, რომელსაც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა ვერ ან არ წაუყენეს ყველა ბრალი, რომელიც ეკუთვნის. ფაქტია, რომ დანაშაული, რისთვისაც ნაძირალა სააკაშვილი სასჯელს იხდის, ცელქი ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულის ტოლფასია იმასთან შედარებით, რაც მან სინამდვილეში მოიმოქმედა.

სხვათაშორის, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე დღემდე გასამართლებული რატომ არ არის, ვერ ვხვდები!

**— ბურჯანაძეს რა დანაშაული მიუძღვის?**

— სააკაშვილმა 2003 წლის 22 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალება სწორედ **ნინო ბურჯანაძის** ხელშეწყობით მოაწყო! პირველ რიგში, ნინო ბურჯანაძემ მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია, როცა მან ქმედუუნაროდ გამოაცხადა აბსოლუტურად საღ-სალამათი **ედუარდ შევარდნაძე,** ხოლო შემდეგ გადატრიალება გაიფორმა სააკაშვილმა. ბურჯანაძე პარლამენტის თავმჯდომარე 2003 წლის ივნისის შემდეგ უკვე აღარ იყო და მას არ ჰქონდა იმის უფლება, რაც ჩაიდინა... ვისაც სააკაშვილის მმართველობაზე ნოსტალგია აქვს, იმათ გასაგონადაც ვაცხადებ, რომ ავტორთა კოლექტივის მიერ გამოსაცემად მზადდება ოთხტომეული შესაბამისი ფოტომასალითა და დოკუმენტაციით, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ის უბედურება, რაც სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ქვეყანას დააწიეს.

**— სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით არაერთი წამოცდენის მომსწრე გავხდით. თავად სააკაშვილმა თქვა, რომ მისი ჩამოყვანა შესაძლოა, რუსეთის აგენტების მიერ იყო ინსპირირებული... ბოლოს და ბოლოს, ვინ ჩამოიყვანა სააკაშვილი საქართველოში?**

— **აგენტმა სააკაშვილმა** ძალიან კარგად იცის, რომ ის საქართველოში **რუსეთის სპეცსამსახურების აგენტებმა — ვანო მერაბიშვილმა და მისმა პირველმა მოადგილემ გია ლორთქიფანიძემ ჩამოიყვანეს!** ამ ხალხს, როგორც რუსეთის აგენტებს, სააკაშვილმა უკვე ხელი დაადო. სააკაშვილის აქ შემოთესლება მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესში შედის!

**— მაშინ რა გამოდის, ეს უდღეური ლევან ხაბეიშვილი რუსეთის აგენტების — მერაბიშვილისა და კეზერაშვილის აგენტია?**

— **ცხადია, ასეა! ნაცმოძრაობა არის რუსული პროექტი და სააკაშვილი ამერიკასთან გარიგების შედეგად ხელისუფლებაში მოიყვანა რუსეთმა!**

**— ანუ ვანო მერაბიშვილს, სააკაშვილსა და კეზერაშვილს შორის დღეს სრული ჰარმონია არსებობს, ხოლო ხმები იმის შესახებ, თითქოს მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა სააკაშვილს პარტია ააცალეს, რეალობას არ ასახავს?**

— აბსოლუტურად! აქ ერთადერთი პრობლემა თავიდანვე **მელიასთან** დაკავშირებით არსებობდა იმდენად, რამდენადაც ნიკანორი ამ სექტისთვის ყოველთვის უცხო სხეული იყო. მელია უგულავას გუნდიდან გახლდათ და 2012 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ თბილისის მერმა **გიგი უგულავამ** ნიკანორი თბილისში ერთ-ერთი რაიონის გამგებლად დანიშნა. როგორც ჩანს, მაშინ უგულავა და ბოკერია პარტიის სადავეების ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ, მაგრამ მერე მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა. ახლა სააკაშვილი, რომელიც უკრაინის მოქალაქეა, თამაშობს, ვითომდა პარტიიდან დისტანცირებას ახდენს, სინამდვილეში ძველებურად ყველანი ერთად არიან, რადგან ეს არის ტოტალიტალური სექტა...



„ევროდეპუტატი რასა იუკნევიჩიანე, რომელიც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს, ლიტვის კომკავშირის წარმატებული მუშაკი იყო!“




კუბილიუსი, ფოტიგა

**— მაშ, თამარ ჩერგოლეიშვილი რომ სააკაშვილსა და ხაბეიშვილს ლანძღავს და ყველა ბრუნვაში ატრიალებს, ეს რას ნიშნავს?**

— 2005-2006 წლებში ჩემს მეგობარს, რომელიც მაშინ ერთ-ერთი სამხარეო პოლიციის უფროსი იყო, ვუმტკიცებდი, რომ სააკაშვილი და ნაცხროვა რუსული პროექტი იყვნენ! მეგობარი არ მეთანხმებოდა და მეუბნებოდა — როგორ, ხომ ხედავ, სააკაშვილი პუტინს როგორ ლანძღავს და პუტინიც როგორ აგრესიულად ეპასუხება? ამაზე ვკითხე — როგორც პოლიციის უფროსს, შენი აგენტისთვის რაღაც დავალება არ მიგიცია და არ გითქვამს — ამას რომ შეასრულებ, მერე თუ გინდა, სახალხოდ დედა მაგინე-მეთქი? მეგობარს გაეცინა და მიპასუხა — აგენტურას ძირითადად სულ ეგრე არ ვამუშავებთო? აქედან დასკვნა — **ესენი ერთი სექტის წევრები არიან და ერთმანეთს ტყუილუბრალოდ აგინებენ, რათა ხალხს თვალები აუხვიონ!**

**ნაცები კი არ დაიშალნენ, გაიშალნენ და ფართო ფრონტით აპირებენ ბრძოლას ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად.**

**— თუ სააკაშვილი და მისი ბანდა რუსეთის აგენტები არიან, მაშინ მათი მხარდამჭერი კუბილიუსები, მარკეტა გრეგოროვები, ანა ფოტიგები, რასა იუკნევიჩიანეებიც რუსეთის აგენტები გამოდიან?**

— ცხადია, ისინიც რუსეთის აგენტები არიან! აბა, კუბილიუსი ვინ არის? **ნახეთ კუბილიუსის ბიოგრაფია და დარწმუნდებით, რომ ეს კაცი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია!** იგივე შეიძლება ითქვას **ანა ფოტიგას** შესახებაც... აი, მაგალითად, მე კომკავშირში ვმუშაობდი, კომკავშირის მდივანი ვიყავი და დანამდვილებით ვიცი, რომ ევროდეპუტატი **რასა იუკნევიჩიანე,** რომელიც სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვს, ლიტვის კომკავშირის წარმატებული მუშაკი იყო! სააკაშვილის სექტას უცხოეთში სულ ათითორმეტი კაცი გულშემატკივრობს, მათ შორის, კონგრესმენი **ადამ კინზინგერიც,** რომელმაც ამ ექვსი თვის წინათ დემოკრატების რუპორში — „სი-ენ-ენ“-ში დაიწყო მუშაობა. ცხადია, აქვე უნდა ვიგულისხმოთ ის ლობისტებიც, რომლებიც სააკაშვილის ამ დამნაშავე და მძარცველი ოჯახისგან დიდი რაოდენობით ფულს იღებენ.

**— ახლა რა ხდება და რა გეგმა აქვთ სააკაშვილსა მის ფანკლუბს, როცა მიშას მოშიშვლებული მუცლისა და ნეკნების სურათებს ზელენსკიც კი აფრიალებს და მსოფლიოს მოუწოდებს — სააკაშვილს კლავენო?!**

— ახლა ის ხდება, რომ სააკაშვილი სინამდვილეში დიეტას იცავს, მაგრამ აჟიოტაჟი აქვთ ატეხილი, თითქოსდა მესამე პრეზიდენტი პატიმრობაში კვდება. 27 იანვარს „შპიგელში“ გამოქვეყნდა გიული ალასანიას ინტერვიუ და ის მენიუ, რომელიც სააკაშვილისთვის „ვივამედში“ ყოველდღიურად შეაქვთ. ეს პროდუქტებია: სალათი და მოხარშული კვერცხი... ცხადია, ერთიც და მეორეც იწვევს წონაში კლებას. ცნობისათვის, **ციხეში გამოცხადებული პირველი შიმშილობით სააკაშვილმა ამფეტამინები და მისგან წარმოებული პრეპარატები, რომლებზეც დამოკიდებული იყო, მოიშორა, ახლა კი წონის კორექციას მიმართავს, რათა, თუ ვინმეს ხელი აუკანკალდება და გაათავისუფლებს, პოლიტიკურ პროცესებს სასურველ ფიზიკურ ფორმაში შეხვდეს!** არ გამოვა ეგ ამბავი, სააკაშვილი შეეგუოს იმ აზრს, რომ ციხეში ყოფნა ბოლომდე მოუწევს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

**„ნახეთ კუბილიუსის ბიოგრაფია და დარწმუნდებით, რომ ეს კაცი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია! იგივე შეიძლება ითქვას ანა ფოტიგას შესახებაც!“**

## კვირგვინოსნები

**ანზორ აბრალავა**
*ანალიტიკოსი*



**სააკაშვილისა** და მისი ჯგუფის პოლიტიკაში გააქტიურება იმთავითვე იყო რუსული პლატფორმა. ეს პროცესები გააქტიურდა 2001 წელს, 2003 წელს კი ამ ჯგუფმა ხელში ჩაიგდო მთელი ხელისუფლება. **სააკაშვილისა და მისი გუნდის საქმიანობა იყო რუსული კარტი.** ყველასთვის ცნობილია, რომ ეს ხალხი იღებდა დაფინანსებას რუსეთიდან.

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



2008 წელს, შემოდგომაზე, **მერაბიშვილმა** სააკაშვილს პირდაპირ უთხრა: **მიშა, მიშა, ახლა ხომ იცი, რუსების გარეშე ვეღარ გავძლებთ,** ხელისუფლებაში ვერ დავრჩებით, ხომ იცი, მე რუს მინისტრებთან პრობლემა არ მაქვსო. ამიტომ **მერაბიშვილმა** სააკაშვილისაგან მწვანე შუქი მიიღო: მიდი, ურთიერთობა მოაგვარეო. იცით, რუსებს რა დიდი საქმე გაუკეთეს 2008 წლის აგვისტოში? **რუსის ჯარი უკან მოიყვანეს და ცხინვალსა და აფხაზეთში ბაზები დააყენებინეს,** რუსეთს საშუალება მისცეს, ჩვენი ტერიტორიები დამოუკიდებელ სუბიექტებად ეცნო.

„ახალი თაობა“

**ლევან იოსელიანი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



რეალურად, **მიხეილ სააკაშვილი,** რომელიც აცხადებს, რომ არ აინტერესებს ქართული პოლიტიკა, **ყველაზე უფრო აქტიური და ერთადერთი ადამიანია, ვინც მართლა პოლიტიკაშია ჩართული.**

„რეზონანსი“

**ნიკა გვარამია**
*„მთავარი არხის“ დამფუძნებელი, პატიმარი*



საზოგადოება არა **ივანიშვილს** სთხოვს პასუხს, არამედ **სააკაშვილისგან** ითხოვს მტკიცებულებას, რომ ნამდვილად კვდება — **ის უნდა მოკვდეს, რომ ყველამ დაიჯეროს, რომ კვდება.**

„რეზონანსი“

# გელა ნიკოლაიშვილი:

# დემენციის საწყისი სტადიის სიმულაცია შესაძლებელია!

***სააკაშვილი სასჯელის გადავადების ფორმით გათავისუფლებას ითხოვს. რას ნიშნავს „სასჯელის გადავადება“, რომელი კატეგორიის პატიმარს შეიძლება შეეხოს კანონით დაშვებული ეს ჰუმანური აქცია და ჩხდება თუ არა სააკაშვილი იმ კატეგორიაში, ვისაც ეს მექანიზმი ეხება? გვესაუბრება ადვოკატი, პენიტენციური სისტემის წარმომადგენელი გელა ნიკოლაიშვილი:***

— **სასჯელის გადავადების მექანიზმი** ეხებათ მძიმედ ავადმყოფ იმ კატეგორიის პატიმრებს, რომელთა დაავადების მართვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომლის თანახმად პატიმარს 1 წლით გადაუვადებენ სასჯელის მოხდას, ანუ **პატიმარი განაჩენის გამოტანის მომენტიდან კალენდარული 1 წლის განმავლობაში გათავისუფლდება სასჯელის მოხდისგან.** თავისუფლების პირობებში მას უფლება ეძლევა, დატოვოს საქართველოს ფარგლები და ჯანმრთელობის აღსადგენად საზღვარგარეთ გაემგზავროს, ოღონდ ზუსტად 1 წლის შემდეგ უნდა წარმოადგინოს ექსპერტიზის ახალი დასკვნა, სადაც მითითებული იქნება, ამ ხნის განმავლობაში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოკეთდა თუ გაუარესდა. **თუ ჯანმრთელობა გამოსწორებულია, პატიმარი შებრუნდება ციხეში და სასჯელის მოხდას გააგრძელებს; გაუარესების შემთხვევაში კი მას კვლავ ეძლევა უფლება, ციხის გარეთ გააგრძელოს მკურნალობა.**

არსებობს კანონით გათვალისწინებული სხვა მექანიზმიც, რაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო სასჯელის მოხდისგან პატიმრის გათავისუფლებას გულისხმობს. ეს ფორმა წარმოადგენს იუსტიციისა და ჯანდაცვის მინისტრების ერთობლივ ბრძანებას, რომელიც ეხებათ, ფაქტობრივად, **სიკვდილის მიჯნაზე მყოფ პატიმრებს** და გათავისუფლების შემდეგ მათ არანაირი დამატებითი სამედიცინო ექსპერტიზის გავლა აღარ მოეთხოვებათ. ოღონდ გათავისუფლებამდე მათ მოუწევთ პენიტენციური სისტემისა და ჯანდაცვის სამინისტროს ერთობლივ კომისიაზე გასვლა. სააკაშვილის შემთხვევაში მისმა დამცველებმა არ მიმართეს ამ ერთობლივ კომისიას, როგორც ჩანს, არგუმენტების არარსებობის გამო და მიმართეს პირდაპირ სასამართლოს, რათა განეხილა ორივე მექანიზმი — როგორც ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადება, ასევე სასჯელისგან გათავისუფლება.

**— დემენციის გამო შეიძლება პატიმრის გათავისუფლება?**

— არსებობს კონკრეტული მძიმე დაავადებების ნუსხა, რომელთა შემთხვევაში პატიმარი შეიძლება სასჯელის შემდგომი მოხდისგან გათავისუფლდეს, ოღონდ საკმარისი არ არის, პატიმარი მძიმე დაავადებით იყოს დაავადებული, აქ მთავარია, თუ რა სტადიაშია ის მძიმე დაავადება. მაგალითად, **სიმსივნე მძიმე დაავადებად ითვლება, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან სასჯელის იხდის სიმსივნის საწყისი სტადიით სნეული მრავალი პატიმარი.** აქ მთავარია, თუ რა სტადიაშია დაავადება და გათავისუფლების გადაწყვეტილება გამოაქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობის პირობებში შეუძლებელი ხდება დაავადების მართვა. **დემენცია,** ანუ უბრალო ენაზე რომ ვთქვათ, ჭკუასუსტობასაც გააჩნია სტადიები. **ადამიანს შეიძლება ავიწყდებოდეს ვინმეს სახელი და გვარი, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, რომ ის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლდეს.** თუმცა, სააკაშვილის შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მის მიმოწერებს, პოლიტიკური ვითარების განხილვას და სხვა აქტივობებს, დიდად არ ეტყობა, რომ ეს დაავადება ჭირს, თანაც რთულ სტადიაში.

**— სააკაშვილის შემთხვევაში ვინ დასვა დემენციის დიაგნოზი და რამდენად ლეგიტიმურია ეს დიაგნოზი?**

— **დემენციის საწყისი სტადიის სიმულაცია შესაძლებელია.** იტყვის, რომ რაღაც არ ახსოვს; ან იტყვის, რომ ჰოსპიტალში შეყვანისას ბადრაგმა კისერი ატკინა და ახლაც სტკივა, მაგრამ ვერავინ გაიგებს და შეუძლებელია ობიექტურად იმისი გადამოწმება, მართალს ამბობს თუ ცრუობს. ამბობს, რომ აქვს გულისრევის და გულის წასვლის შეგრძნება, პალატაში დაეცა... მაგრამ ერთი ადამიანიც კი არასოდეს შესწრებია მისთვის გულის წასვლის ფაქტს. **ოღონდ ეს მონათხრობი, როგორც ჩანს, ბრმად სჯერათ ამერიკელ ექიმებს, ისინი სხვა სტანდარტებით მოქმედებენ და პაციენტის მიერ აღწერილი სიმპტომების მიხედვით სვამენ დიაგნოზს, იმას არ ითვალისწინებენ, რომ შეიძლება პაციენტი ამ სიმპტომებს სიმულირებდეს.**

რაც შეეხება წონის კლებას, ეს არის ხელოვნურად, თვითდაზიანებით განპირობებული და სრულიად ნათელია — შეგნებულად იღებს დადგენილი კალორაჟის ნახევარს და უარს ამბობს ხელოვნურ კვებაზე, ვინაიდან სააკაშვილის გათავისუფლების პერსპექტივა გადის მისი ავადმყოფობის „დამძიმებაზე“, ხოლო პენიტენციური დაწესებულება და სამედიცინო პერსონალი პირიქით — მისთვის ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე ზრუნავენ და ეს 2 სხვადასხვა მიზანი ერთად ვერ განხორციელდება.

**— კანონი რას ითვალისწინებს? ყველა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა სანდოა?**

— კანონი უშვებს, რომ ლიცენზიის მქონე ნებისმიერმა ექსპერტიზის ბიურომ დადოს თავისი დასკვნა, ოღონდ პირდაპირ არის მითითებული, რომ, **თუ პატიმარს სასჯელი გადაუვადდება, 1 წლის შემდეგ მხოლოდ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნას მიიღებენ მხედველობაში.** ამიტომ თეორიული დაშვების შემთხვევაში, რომ სააკაშვილი სასჯელის მოხდის გადავადებას მიაღწევს და საქართველოდან გაემგზავრება, თუ ერთი წლის შემდეგ ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში არ გაივლის შემოწმებას, მასზე ძებნა გამოცხადდება.

**— რა გამოდის? პატიმარმა შეიძლება თავი მოიავადმყოფოს, რომელიმე უცხოური ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე სასჯელს თავი დააღწიოს და საზღვარგარეთ გაიხიზნოს?**

— აქ არის მნიშვნელოვანი ორი გარემოება, რომ პატიმარს შეიძლება სასჯელის მოხდა გადაევადოს, თუ ის არის სპეციალურ ნუსხაში ჩამოთვლილი მძიმე დაავადებით სნეული და, იმავდროულად, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში შეუძლებელია ამ დაავადების მკურნალობა. პროცენტულად, ასიდან ასეთი შუამდგომლობების დამყენებელთა 90-95 პროცენტს უარს ეუბნებიან. **შუამდგომლობის ავტორმა უნდა დაასაბუთოს, რომ საქართველოს პენიტენციური სისტემა ვერ უზრუნველყოფს მკურნალობას ან დაავადების მართვას.** მკურნალობაზე ვსაუბრობთ და ვიცით, რომ არსებობს ისეთი დაავადებები, რისგან განკურნება არ არის შესაძლებელი არც ციხის და არც თავისუფლების პირობებში, ვერც საქართველოს და ვერც უცხოეთის წამყვან კლინიკებში, ამიტომ მსჯელობის საგანია მხოლოდ დაავადების მართვა. არის გარკვეული დაავადებები, რომელთა მართვა ციხის პირობებში შეუძლებელია და ასეთ შემთხვევებში, თავად პენიტენციური სისტემა შუამდგომლობს ხოლმე პატიმრის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანასთან დაკავშირებით.

**— ისეთი შემთხვევა თუ ყოფილა, რომ ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადებით გათავისუფლებული და საზღვარგარეთ გამგზავრებული პატიმარი ერთი წლისთავზე ექსპერტიზის ჩასატარებლად უკან დაბრუნებულიყოს?**

— თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ერთი წლისთავზეც მძიმედ რჩება ან გაუარესდება, პატიმარი ჩამოვა, ექსპერტიზას ეროვნულ ბიუროში ჩაიტარებს და შეუძლია, ისევ გაემგზავროს საზღვარგარეთ, მაგრამ **ისეთი შემთხვევა არ მახსენდება, ვინმე გამოჯანმრთელებულიყოს და საკუთარი ნებით უკან დაბრუნებულიყოს სასჯელის ვადის დასრულების მიზნით.**

სააკაშვილის შემთხვევაში არ მგონია, მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილოს, რადგან იმის შესახებ მყარი არგუმენტები, რომ სააკაშვილს თუნდაც დემენცია ჭირს, მაგრამ მისი სენის მართვა პენიტენციური სისტემის და, ზოგადად, საქართველოს პირობებში შეუძლებელია, დაცვის მხარეს არ გააჩნია. ერთი ეგ არის, სააკაშვილს ჭირს არსებულ მდგომარეობასთან შეუგუებლობა, ვერ იტანს, რომ პატიმარია და, აქედან გამომდინარე, სტრესულ მდგომარეობაშია. ერთმა ექსპერტმა ისიც კი თქვა — ვერ იტანს, კაცი და რა ვქნათ, ხომ არ მოვკლავთო, მაგრამ ეს არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან, თუ ასეთი კრიტერიუმი დამკვიდრდება, ის ყველა პატიმარზე უნდა გავრცელდეს — **არასოდეს არავის არ მოსწონს პატიმრობა.** ნებისმიერ პატიმარს შეუძლია, გაითამაშოს დემენცია, დაიკლოს წონაში, საკვებზე უარი თქვას მოტივით, რომ ვერ ჭამს და ვერავინ დაამტკიცებს, მართლაც ვერ ჭამს თუ არ ჭამს, ხოლო ინტრავენური კვების დაძალებას კანონი არ ითვალისწინებს და მაშინ ნებისმიერი პატიმარი შეძლებს ამ გზით თავისუფლების მოპოვებას, რაც დაუშვებელია!






**„ისეთი შემთხვევა არ მახსენდება, ვინმე გამოჯანმრთელებულიყოს და საკუთარი ნებით უკან დაბრუნებულიყოს სასჯელის ვადის დასრულების მიზნით!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## ბოლოთქმა



თემურ ჟორჟოლიანის დაკავება. 2006 წელი

სააკაშვილის რეჟიმის პოლიტპატიმარს **თემურ ჟორჟოლიანს** ციხეში რეალურად დაემართა **(დიდი ალბათობით, დამართეს)** ის სენი, რასაც სააკაშვილი დღეს სიმულირებს, მაგრამ ამის გამო პატიმრობიდან არავის გაუთავისუფლებია, არც უცხოელი ექსპერტები მოუწვევიათ დასკვნის დასაწერად! **ის რეჟიმის შეცვლის შედეგად გამოვიდა ციხიდან და მალევე გარდაიცვალა.**

## კვირგვინოსნები

**ლევან მამალაძე**
*საზოგადოებრივი პლატფორმა „დაიცავი მშვიდობას“ თავმჯდომარე*



ჩვენი პირველი მოთხოვნაა, **დაიწყოს გამოძიება და გაირკვეს, რა გარიგება ჰქონდა სააკაშვილს პუტინთან?!** რა იყო იმის გამომწვევი მიზეზი, რომ მათ უბრძოლველად დაუთმეს კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი? **ხელუხლებელი, ასეული მილიონით ღირებულების ნატოს ახალი შეიარაღება გადასცეს რუსებს** და პირადად **სააკაშვილმა** შეუქმნა ყველანაირი ლეგიტიმური პირობა, რუსეთს ეღიარებინა ოკუპირებული ტერიტორიები — ცხინვალის რეგიონი და აფხაზეთი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დიმიტრი შაშკინი**
*სააკაშვილის ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსანი*



თქვენ ხომ არ აფრენთ? **ვის აბრალებთ რუსეთის აგენტობას?! გენერალ ლორთქიფანიძეს?!** 2008 წლის ომის გმირს?! უკრაინის უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსანს და ოდესის პოლიციის (მიშას გუბერნატორობის პერიოდში) ყოფილ უფროსს? **ან ვის აბრალებთ რუსეთის აგენტობას? ვანო მერაბიშვილს,** რომელიც რუსული რეჟიმის პირობებში 7 წელი ციხეში იჯდა იმის გამო, რომ მიშაზე არ მისცა ჩვენება? ამას ჰქვია ნაძირალობა და არაფერი საერთო არა აქვს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ და **მიხეილ სააკაშვილთან!**

„ალია“

**ამირან სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



რა მნიშვნელობა აქვს, შემოიტყუეს თუ შემოუშვეს, ფაქტია, **ამხელა ფილარმონია კაცი რუსების აგენტებმა არაყნის ყუთში შეფუთული შემოიტანეს საქართველოში.** სასაცილოა **მერაბიშვილის** განცხადება, რომ მინისტრის პოსტზე ყოფნისას რუსეთის აგენტებს ებრძოდა, რუსეთის აგენტები კი არა, პატიოსანი ხალხი დაიჭირა რუსეთის დავალებით.

„კვირის პალიტრა“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ვერ გავიგე, ნაციონალური მოძრაობა **პოლიტიკური პარტიაა თუ ერთი ადამიანის გათავისუფლების სპეცრაზმი?**

„პირველი არხი“

# ბიძინა ივანიშვილი ლევან ხაბეიშვილის შეთავაზებაზე უარს ამბობს და არ აპირებს, პოლიტიკური ზოოპარკის შენობა გადაიფორმოს!

## „ქართული ოცნების“ ყოფილი თავმჯდომარის მოდელირებული პასუხი ნაციონალური მოძრაობის მოქმედ თავმჯდომარეს

***პროფესიულ კეთილსინდისიერებას არ ვუღალატებთ და თავიდანვე გეტყვით, რომ წინამდებარე პუბლიკაცია სანახევროდ მოდელირებულია, ანუ მისი ერთი ნაწილი დამდგარ რეალობას ასახავს, ხოლო მეორე ნაწილი — ჰიპოთეტურ რეალობას, რომელიც შეიძლებოდა, დამდგარიყო და თუ დადგებოდა, სრულიადაც ლოგიკური იქნებოდა.***



უკვე დამდგარი რეალობა ის გახლავთ, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევნებში **მერაბიშვილ-კეზერაშვილის ხელისბიჭმა ლევან ხაბეიშვილმა** გაიმარჯვა, რომელმაც ახალი სტატუსის მორგებიდან რამდენიმე საათში ქვის გამხეთქავი განცხადება გააკეთა — **მიხეილ სააკაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ მზად ვართ, ნაცებმა პარლამენტიც დავტოვოთ და ქვეყნის მასშტაბით ყველა საკრებულოდანაც გავიდეთო!**

ხაბეიშვილის ეს განცხადება, რომელიც, სინამდვილეში, მერაბიშვილისა და კეზერაშვილის განცხადება გახლავთ, უნიჭო დემაგოგიისა და პოლიტიკური აფერისტობის ნიმუშია. ჯერ ერთი, მისმა ავტორებმა მშვენივრად იციან, რომ „ქართულ ოცნებას“ არავითარი უფლება არა აქვს, პარლამენტიდან და საკრებულოებიდან ნაცების გასვლის სანაცვლოდ სააკაშვილი ციხიდან გაუშვას და მეორეც, ეს თავად ვანო მერაბიშვილსა და დავით კეზერაშვილს არ სურთ. **მათ ნაციონალური მოძრაობა იმისათვის კი არ ჩაიგდეს ხელში, რომ სააკაშვილის თავისუფლების სანაცვლოდ პოლიტიკური კაპიტულაცია გამოაცხადონ, არამედ ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიაში თავიანთი არაფორმალური მმართველობის დამყარება პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოსახდენად სჭირდებათ.** შესაბამისად, ყველა ნაცი, რომელიც საქართველოს პარლამენტსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკრებულოებშია თავმოყრილი, აწი სწორედ **მერაბიშვილ-კეზერაშვილის ტანდემმა** უნდა აკონტროლოს და პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტებად გამოიყენოს. აბა, პოლიტიკურად იმპოტენტ პარტიას, რომელსაც საკუთარი წარმომადგენლები არც პარლამენტში ეყოლება და არც — საკრებულოებში, ვანო და კეზერა რა თავში იხლიან?!

თუმცა, **მერაბიშვილ-კეზერაშვილის მიერ ხაბეიშვილის პირით გაკეთებულ განცხადებაში ყველაზე აფერისტულ-დემაგოგიური მაინც ის არის, პირადად ბიძინა ივანიშვილს რომ მიმართეს — თუ სააკაშვილის გაათავისუფლებ, ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისსაც კი გადმოგიფორმებთო!**





საუბარია თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტისაკენ მიმავალი ტრასის პირას მდგარ შენობაზე, რომელსაც ნაცები თავიანთ ცენტრალურ ოფისად მოიხსენიებენ, საზოგადოების დიდი ნაწილი კი გველების ბუდეს ეძახის.

სხვათაშორის, **სწორედ მაგ ოფისში, 2013 წლის 25 მაისს, ბიჩი თარგამაძის ბრიფინგის დაწყების წინ, საკმაოდ დიდი ზომის გველი შეძვრა, რომლის შესაპყრობადაც ნაცებმა თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები გამოიძახეს.**

ჰოდა, **პოლიტიკური გველების ბუდეს,** სადაც ხანდახან **ნამდვილი გველებიც** შეისეირნებენ ხოლმე, მერაბიშვილი და კეზერაშვილი ვითომ ბიძინა ივანიშვილს აჩუქებენ, თუ იგი ხელისუფლებას უბრძანებს — სააკაშვილი ციხიდან გაუშვითო!

აი, ახლა კი ჩვენი პუბლიკაციის მოდელირებულ ნაწილზე გადავდივართ და ვნახავთ, როგორ გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილი მერაბიშვილ-კეზერაშვილის მიერ ხაბეიშვილის პირით გაკეთებულ განცხადებას სააკაშვილის გათავისუფლების სანაცვლოდ მისთვის ნაცმოძრაობის ცენტრალური ოფისის გადაფორმების თაობაზე.

როგორც წესი, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი განცხადებებს წერილობით ავრცელებს და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა:

**„ბატონო ლევან!**

უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ არჩევას და მიმაჩნია, რომ ამ პოსტისთვის ზედგამოჭრილი პიროვნება ბრძანდებით!

რაც შეეხება თქვენს წინადადებას პარტიის მთავარი ოფისის ჩემთვის გადმოფორმების შესახებ, პირდაპირ გეტყვით, რომ ეს შემოთავაზება არ მაინტერესებს, რადგან **საკუთარი ზოოპარკი ისედაც მაქვს და, თანაც — არაერთი.**

საერთოდ, ზოოლოგიური პარკების მშენებლობა ჩემი ერთ-ერთი ჰობია და რამდენიმე ასეთი პროექტი საქართველოში უკვე განვახორციელე. კერძოდ, **თბილისში, ჩემი ბიზნეს-ცენტრის ტერიტორიაზე, ასევე მშობლიურ საჩხერესა და შეკვეთილში, ჩემ მიერ გაშენებულ დენდროლოგიურ პარკში, დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოყვანილ ბევრი სახეობის უნიკალურ ცხოველსა და ფრინველს მოვუყარე თავი.**

**მომიკითხეთ თქვენი პატიმარი ბელადი – მიხეილ სააკაშვილი და გაახსენეთ მის მიერ 2013 წელს გაკეთებული განცხადება: „მე ივანიშვილის ზებრა კი არ ვარ, რომ დამიჭიროს და გალიაში ჩამსვას!“**

საქართველოს ფაუნის გამრავალფეროვნებისა და გაჯანსაღებისათვის ძალისხმევის გაწევას მომავალშიც ვაპირებ, მაგრამ **ჩემს გეგმებში ნამდვილად არ შედის უკვე არსებული ზოოპარკის მფლობელობაში აღება, მითუმეტეს, რომ იგი ერთობ არახელსაყრელ ადგილას — თბილისის საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვეს მდებარეობს.**

გარდა ამისა, თქვენ მიერ შემოთავაზებული შენობა, თავისი არქიტექტურითა და სპეციფიკით, **მხოლოდ გველების ტერარიუმზეა გათვლილი,** მე კი ფაუნის წარმომადგენელთა შორის ქვეწარმავლები ყველაზე ნაკლებად მიზიდავს და მაინტერესებს.

ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ **პოლიტიკური ზოოპარკი ჩემი ინტერესის სფეროსთან ახლოსაც აღარ დგას მას შემდეგ, რაც პოლიტიკას ჩამოვშორდი.**

ასე რომ, ბატონო ლევან, **ნურც თქვენ და ნურც თქვენი უფროსები მსგავსი შემოთავაზებებით თავს ნუღარ შეიწუხებთ!**

მომიკითხეთ თქვენი პატიმარი ბელადი — მიხეილ სააკაშვილი და გაახსენეთ მის მიერ 2013 წელს გაკეთებული განცხადება: **„მე ივანიშვილის ზებრა კი არ ვარ, რომ დამიჭიროს და გალიაში ჩამსვას“.**

მშვიდობით ბრძანდებოდეთ!“

მოკლედ, ყველაფერი ნათელია — **ბიძინა ივანიშვილი ლევან ხაბეიშვილის შეთავაზებაზე უარს ამბობს და არ აპირებს, პოლიტიკური ზოოპარკის შენობა გადაიფორმოს!**

ასე რომ, ხაბეიშვილის პატრონებს — **მერაბიშვილსა და კეზერაშვილს** მოუწევთ, სააკაშვილის პატიმრობაში დასატოვებლად სხვა უფრო მახვილგონივრული ხერხები მოიფიქრონ!

**მათ ახლა პატიმარ სააკაშვილის გათავისუფლება და ძლივს ხელში ჩაგდებულ პოლიტიკურ ზოოპარკში შფოთის შეტანა ყველაზე ნაკლებად აწყობთ!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**სააკაშვილს** სიმაღლეში ოფიციალურად აპატარავებენ, **1.94 მეტრია და უწერენ 1.92-ს,** რადგან წონით ქვემოთ მოდის და ზღვარს სცილდება. **ხელები მიემტვრევა, ვინც პრეზიდენტი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ კონკრეტულ დოკუმენტაციას აყალბებს.**

„პირველი არხი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელო საქართველოსთვის“ წევრი*



**ივანიშვილმა** თუ რამე სწორი გააკეთა ამ ქვეყანაში, იყო ის, რომ მაშინვე არ დაერია თანამდებობაზე დარჩენილ ნაციონალებს. **სააკაშვილი** კიდევ ერთი წელი იყო პრეზიდენტი. **გიგი უგულავა** კიდევ ორი წელი იყო თბილისის მერი და **კოტე კუბლაშვილი** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო იმდენი ხანი. **დიახ, არ გავყარეთ ჩვენ ისინი. ნელ-ნელა უნდა გაგვეშვა და გავუშვით.** ეს იყო ამოცანა.

„პირველი არხი“

**გიორგი ბოტკოველი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



უნდა ვიყოთ ნაციონალური მოძრაობის და არა **ხაბეიშვილის ანმელის** გუნდის წევრები — ბრძოლის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ბევრი საქმე, რაშიც **საპროტესტო აქციებიც** იგულისხმება.

„ინტერპრესნიუსი“

**მიხეილ დაუშვილი**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*



ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში გაიმარჯვა **ბიძინა ივანიშვილმა,** ეს რეალობაა.

„პირველი არხი“

**ჰერმან საბო**
*„გირჩის“ წევრი*



**მიშამ** „დალოცა“ **ხაბე** და მისი გუნდი და ამით სიგნალი გაუშვა, რომ **კმაყოფილია იმ შედეგით, რაც დადგა.** რაღაცნაირი შეთანხმების სუნი ჟონავს.

„TV იმედი“

# გენერალისიმუსი

**№10 (178) ★ 2023 წლის 6 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან**

***2 თებერვალს ზუსტად 80 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მთელი მსოფლიოსთვის ცხადი გახდა, რომ ძლევამოსილი „მესამე რაიხი“ — ადოლფ ჰიტლერის მრისხანე და ყოვლისშემძლე სამხედრო მანქანა მეორე მსოფლიო ომში კისერს მოიმტვრევდა!***

მეისტორიენი, რომლებიც საქართველოში **თემურ-ლენგის** გამანადგურებელ ლაშქრობებს აღწერენ, ძირითადად თანხმდებიან იმაში, რომ სამარყანდელმა სოციოპათმა, რომელმაც ქვეყნები და ხალხები შეაზანზარა, წალეკა და უამრავი სისხლი დაღვარა, თავისი სიკოჭლე სწორედ საქართველოში იგრძნო. სწორედ ასე, **სტალინგრადი ის ქალაქია, სადაც ფაშისტური ვერმახტი ხერხემალში გადატყდა და თვით ჰიტლერმაც კი იგრძნო, რომ ომს ვერ მოიგებდა.** სტალინგრადთან განცდილი საშინელი კატასტროფის შემდეგ გაცინებულ გერმანელ ოფიცერს ძნელად თუ შეხვდებოდით. **თურქეთმა, იაპონიამ, იტალიამ და ჰიტლერის სხვა მოკავშირეებმა სტალინგრადთან ნაწვნევი გამანადგურებელი მარცხის შემდეგ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტიური სამხედრო მოქმედების დაწყება ველარ გაბედეს!**

ჰიტლერს სტალინგრადის ხელში ჩაგდება ბევრი მიზეზის გამო სურდა. პირველ რიგში, მას უნდა გაენადგურებინა **სტალინის სახელობის ქალაქი,** რომელიც უმნიშვნელოვანესი სავაჭრო და სამდინარო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა. **სტალინგრადის დაჩოქებით ფაშისტები ხელში ჩაიგდებდნენ სტრატეგიულ ინიციატივას და აუცილებლად დაეუფლებოდნენ გროზნოსა და ბაქოს, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის მთავარი ნავთობარტერია იყო.** გარდა ამისა, სტალინგრადის განადგურებით ჰიტლერს გზა ეხსნებოდა სრულიად კავკასიისაკენ, რომლის წინააღმდეგაც მან საუკეთესო გერმანული არმიები ჯერ კიდევ 1942 წლის 23 ივლისს დაძრა.

**საკმარისი იყო, ფიურერს სტალინგრადი აეღო, რომ თურქეთის კბილებამდე შეიარაღებული 26 დივიზია მაშინვე დაიწყებდა შეტევას სამხრეთიდან და მთელი საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი თურქი ასკერებით გაივსებოდა.**

საბედნიეროდ, სტალინგრადი გადარჩა, როგორც სტალინის საბჭოთა კავშირის უძლეველობის სიმბოლო. **რუსი ისტორიკოსები სავსებით სამართლიანად შენიშნავენ, რომ სტალინგრადი რუსეთის დაუმორჩილებლობისა და გაუტეხლობის სიმბოლოა. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ სტალინგრადთან განადგურდა მტრის ხუთი არმია, მათ შორის, ორი გერმანული, ორი რუმინული და ერთი იტალიური.**

სტალინგრადის ბრძოლა **1942 წლის 17 ივლისიდან 1943 წლის 2 თებერვალამდე** გაგრძელდა. მთელი ორასი დღის განმავლობაში ქალაქის თითოეული ქუჩისა და სახლის ხელში ჩასაგდებად ბრძოლები არ ცხრებოდა. იყო მომენტი, როცა ფაშისტები ქალაქის 90 პროცენტზე მეტსაც კი აკონტროლებდნენ, მაგრამ ისინი ცოცხალი თავით ვერ ახერხებდნენ მდინარე ვოლგის მეორე ნაპირზე გადასვლას... **მამაის ყორღანი ნამდვილ ცოდვის კალოდ იქცა, სადაც ათასების სიცოცხლე გაილეწა. სტალინგრადის ბრძოლა მიმდინარეობდა დაახლოებით 100 ათას კვადრატულ კილომეტრზე, რაც დღევანდელი საქართველოს ფართობს თითქმის ორჯერ აღემატება.** სხვადასხვა ეტაპზე სტალინგრადის ბრძოლაში მონაწილეობდა **2 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 26 ათასი ქვემეხი, 2 ათასამდე ტანკი და 2 მილიონზე მეტი ადამიანი.**

სტალინგრადის ბრძოლის კულმინაცია გახლდათ **1943 წლის 30 იანვარი,** როცა ადოლფ ჰიტლერმა მეექვსე გერმანული არმიის სარდალს, **გენერალ-პოლკოვნიკ ფრიდრიხ პაულუსს** ფელდმარშლის უმაღლესი სამხედრო წოდება მიანიჭა. ფიურერი იმედოვნებდა, რომ აწ უკვე **ფელდმარშალი პაულუსი** არ უღალატებდა ძველისძველ გერმანულ ტრადიციას, რომლის თანახმადაც ფელდმარშლები ტყვედ არასოდეს ბარდებოდნენ და თავს მოიკლავდა. **ჰიტლერისდა სამწუხაროდ, 1943 წლის 31 იანვარს პაულუსის 90-ათასკაციანი არმია ჩაბარდა... მეექვსე გერმანული არმია, რომელიც, ძირითადად, ბერლინელი ახალგაზრდებისგან იყო დაკომპლექტებული, ფაქტობრივად, განადგურდა... იმ 90 ათასი კაციდან უდიდესი უმრავლესობა ტყვეობაში დაიხოცა, მხოლოდ 6 ათასმა კაცმა შეძლო სამშობლოში დაბრუნება...**

**იაკობ კედმიმ,** რომელიც ისრაელის თავდაცვის მინისტრი იყო, სოლოვიოვის გადაცემაში სავსებით სამართლიანად შენიშნა, რომ **ქალაქი სტალინგრადი, რომელიც რუსეთის დიადი გამარჯვების სიმბოლოა, რუსეთში მოსპეს და არცერთ სხვა ქვეყანაში თავიანთ ისტორიასა და გმირებს ისე უპატიებლად არ ეპყრობიან, როგორც რუსეთში.**

**იაკობ კედმისაც** რომ არაფერი ეთქვა, ფაქტია, რომ სტალინის სახელისადმი დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება მართლაცდა მანიაკური და სამარცხვინოა. **აი, მაგალითად, ცნობილია, რომ დღევანდელი ვოლგოგრადის მცხოვრებთ, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, წელიწადში ცხრა დღის განმავლობაში** — 2 თებერვალს, 23 თებერვალს, 8 მაისს, 9 მაისს, 22 ივნისს, 2 სექტემბერს, 23 აგვისტოს, 9 დეკემბერს და 19 ნოემბერს, **როცა წითელმა არმიამ მთელი სტალინგრადის ფრონტზე უმძლავრესი კონტრშეტევა დაიწყო, უფლება აქვთ, ვოლგოგრადს უწოდონ სტალინგრადი.**




# სტალინგრადის 80 წელი

**ფაქტობრივად, ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი, აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და ქალაქს დაუბრუნდეს დიდი სტალინის სახელი, რომლის დროშითაც რუსმა ერმა დანარჩენ მოკავშირე ერებთან ერთად კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი და სისხლისმღვრელი ომი მოიგო.**

**ვოლგოგრადის მცხოვრებლებმა შარშან, 19 ნოემბერს, ამ მოთხოვნის სისრულეში მოსაყვანად პერმანენტული მოძრაობაც კი დაიწყეს. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ, 2023 წლის 2 თებერვალს, მოსახლეობამ ქალაქის აბრა, რომელზეც „ვოლგოგრადი“ ეწერა, „სტალინგრადით“ შეცვალა.** ყველას იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლება მოქალაქეთა სურვილს შეიწყნარებდა და, ბოლოს და ბოლოს, ქალაქს სახელს შეუცვლიდა, მაგრამ გამოვიდა პუტინის ადმინისტრაციის პრესსპიკერი **დიმიტრი პესკოვი** და კატეგორიულად განაცხადა — **ვოლგოგრადისთვის სახელის შეცვლა და სტალინგრადის დარქმევა არ იგეგმებაო!** არადა, რუსეთი, რომელიც უკრაინის მიწაზე მრისხანე და დაუნდობელ ომშია ჩაბმული, უცილობლად საჭიროებს გმირს, ხატებას, რომელიც იმპერიის მოსახლეობას დეზერტირად კი არ გადააქცევს და საქართველოსკენ კი არ გამოაქცევს, არამედ ნაციას ზუსტად ისე შეკრავს, როგორც ეს დიდმა **სტალინმა** შეძლო 1941 წლის 16 ოქტომბერს, როცა კრემლში **ლავრენტი ბერიასთან** ერთად მარტოდმარტო დარჩა და თავის ნახევარძმას, „ენკავედეს“ გენერალ **ალექსანდრე ეგნატაშვილს** სულ მკვდარი და ცოცხალი ამოუტრიალა — **ჩემს წიგნებს ხელი არ ახლო და კაბინეტიდან არ გაიტანო, იცოდეს ყველამ, რომ სტალინი კრემლიდან არ გადის!** ნახევარ საათში ეს ამბავი მთელმა მოსკოვმა იცოდა, ნახევარ საათში ქალაქში პა-

*გაგრძელება მე-2 გვერდზე*




**ისტორიის ქარი ★**

# სტალინგრადის 80 წელი




### დასაწყისი პირველ გვერდზე

ნიკა შეწყდა და მოსახლეობა საცხოვრებელ სახლებს დაუბრუნდა, რადგან ყველამ ირწმუნა — **რაკი სტალინი კრემლში იყო, ე.ი. მოსკოვი არ დაეცემოდა!**

აი, ასეთი კაცი, რომელსაც თეირანის კონფერენციაზე **ჩერჩილმა** სტალინგრადთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების გამო უზარმაზარი ხმალი აჩუქა, მოკვეთეს, მოიძულეს და საფლავი ნაგვით აუვსეს. **სამაგიეროდ, გააღმერთეს და გააფეტიშეს გიორგი ჟუკოვი, რომელსაც მოსკოვში უზარმაზარი ძეგლი დაუდგეს და „მარშალ პობედი“ უწოდეს!** არადა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ჟუკოვი სინამდვილეში „მარშალ პობედი“ კი არა, „მარშალ ბედი“, ანუ „უბედურების მარშალია“, რადგან, რასაც ის დაცემულ და განადგურებულ ბერლინში კადრულობდა, როცა მაროდიორობდა და ბრილიანტებსა და ანტიკვარებს იპარავდა, არათუ მარშლისთვის, არამედ რიგითი ჯარისკაცისთვისაც კი შეუფერებელი და უპატიებელი საქციელია.**

სხვათაშორის, თეირანის კონფერენციაზე, 1943 წლის 29 ნოემბერს, როცა **დიდი ბრიტანეთის მეფის გეორგ მეექვსის** სახელით **პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა** სტალინგრადთან მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნად სტალინს ხმალი აჩუქა, ბელადი ხმალს ეამბორა და ჩერჩილს თითქმის ჩურჩულით მოახსენა — **მამაცი სტალინგრადელების სახელით მადლობა მის უდიდებულესობა მეფე გეორგ მეექვსეს!** ამის შემდეგ სტალინმა ეს ბრწყინვალე ხმალი **რუზველტს** გადასცა დასათვალიერებლად. რუზველტმა საუკეთესო ბრიტანელი ოსტატების მიერ სამი თვის განმავლობაში გამოჭედილი და ნაწრთობი ხმალი მოსინჯა, დააკვირდა და თქვა — **სტალინგრადელებს მართლაც რკინის გული აქვთ!** ამერიკის პრეზიდენტმა ხმალი ისევ სტალინს დაუბრუნა, რომელმაც იშვიათი მახვილი **მარშალ ვოროშილოვს** გადასცა. კლიმენტი ვოროშილოვს, რომელსაც არასოდეს არცერთი ბრძოლა არ მოუგია და მთელი ცხოვრება სტალინი დაათრევდა, ხმალი ხელიდან გაუვარდა, რის გამოც ისედაც ჩია ტანის კაცი კიდევ უფრო დაპატარავდა. **სტალინგრადის ხმლის დარბაზში დავარდნაზე ყველას უსიამოვნოდ გააჟრჟოლა... როგორც იქნა, ხმალი პატივით მიაბრძანეს დარბაზიდან და მეზობელ ოთახში გაიტანეს!**

მთელი ეს ისტორია იმიტომ გავიხსენეთ, რომ **ვოროშილოვი და მისთანა მედროვეები,** რომლებიც ნაჩუქარ ხმალსაც კი ვერ იჭერდნენ ხელში, საოცრად თავდაჭერილი და ენაზე კბილდაჭერილი აღმოჩნდნენ 1956 წლის 25 თებერვალს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი გამოვიდა, სტალინს ძვლები ამოუბრუნა და თუ რამ სიბინძურე და სისაძაგლე არსებობდა, ყველაფერი დააბრალა!

**ეს ტენდენცია რუსეთის ხელისუფლებაში დღემდე გრძელდება... აი, მაგალითად, 2023 წლის 2 თებერვალს, სტალინგრადის ტრიუმფის დღეს, ქალაქში ჩავიდა პუტინი, რომელმაც დაღუპულთა მემორიალთან ყვავილები მიიტანა და დაესწრო სტალინის ბიუსტის გახსნას, მაგრამ არცერთი სიტყვა სტალინის ღვაწლსა და დამსახურებაზე არ დასცდენია. თითქოს სტალინი არც არსებობდა, თითქოს ჰიტლერი მხოლოდ ამერიკიდან გამოგზავნილმა „ლენდ-ლიზმა“ დაამარცხა, რომლის პროცენტებსაც საბჭოთა კავშირის მოსახლეობა ლამის 80-იანი წლების მიწურულამდე იხდიდა!**

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს კრემლში დიდი ხანია, მიხვდნენ, რომ როგორც რუსეთის, ისე მსოფლიოს ისტორიაში სტალინის როლისა და დამსახურების გააზრების გარეშე, **პეტრე პირველის** მიერ 1721 წელს შექმნილი იმპერიის მართვა სულ უფრო და უფრო გაძნელდება! **ამიტომაც ეტორღიალებიან და ეპოტინებიან სტალინის სურათებს და დგამენ მის ახალ-ახალ ძეგლებს, მაგრამ თითქოს ისიც ფაქტია, რომ ამ ყველაფერს კრემლში ვერ ხვდებიან და მზად არიან, ყოველ წუთსა და წამს გააგრძელონ ბელადის მკვლელობა, რომელიც 1956 წლის 25 თებერვლიდან გრძელდება!**

სწორედ სტალინგრადის ცაზე გაიბრწყინა საბჭოთა კავშირის გმირის **ჟიჟიკო ბენდელიანის** ოქროს ვარსკვლავმა. ალბათ, **გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძეც,** რომელმაც სტალინგრადში იშვიათი მხედართმთავრული ნიჭი გამოავლინა, აუცილებლად გახდებოდა საბჭოთა კავშირის მარშალი, ისევე როგორც **კონსტანტინე ლესელიძე,** მაგრამ ჩანჩიბაძეს სტალინმა მეგობრის ყოფილ ცოლზე დაქორწინება არ აპატია, ხოლო **ლესელიძეს** ვერაგმა სიკვდილმა უყელა და მეორე მსოფლიო ომში გამორჩეული ერთ-ერთი უდიდესი სარდალი, ისე აღესრულა, ვერც გამარჯვებას მოესწრო!

**სანამ რუსეთის ჭეშმარიტი ისტორია არ დაიწერება და სტალინის სახელი შესაფერისი დიდებით არ შეიმოსება, მანამდე ვერც პუტინი და ვერც რასპუტინი რუსეთის იმპერიას ვერ შეკრავენ, რადგან სტალინის გარდა არ არსებობს იდეა და ავტორიტეტი, რომელიც ყაზანელ თათარს, ბაშკირს, ჩუვაშს, კალმიკს, ბურიატს, მოსკოველსა და პეტერბურგელს რუსეთის დიდებისათვის აბრძოლებს!**

სხვათაშორის, სანამ საქართველოს ნამდვილი ისტორია არ დაიწერება და ხაზგასმით არ ითქმება, რომ აფხაზეთი, სამაჩაბლო და დავითგარეჯის მიმდებარე მიწები **ედუარდ შევარდნაძემ და მისმა გარყვნილმა შვილობილმა სააკაშვილმა** ჩააბარეს და გაყიდეს, ვერც საქართველო აღიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას!

**დიტო ჩუბინიძე**



**ისტორიის ქარი**

# სტალინის



ხებდა. ბელადს ძალიან უყვარდა რაჭული და ლეჩხუმური ღვინოები, მაგალითად, უსახელაური და ხვანჭკარა, არც კახურ ღვინოზე ამბობდა უარს, მაგრამ არაერთი მოგონებიდან დასტურდება, რომ, ფაქტობრივად, არ სვამდა. აი, მაგალითად, 1942 წლის ზაფხულში **უინსტონ ჩერჩილი** კრემლში დიდხანს სტუმრობდა ბელადს. მასთან დიდხანს დარჩა **მაო ძედუნიც,** მაგრამ არასოდეს არავის სტალინი მთვრალი არ უნახავს, განსხვავებით ჩერჩილისაგან, რომელიც კრემლში ისე თვრებოდა, თავის ხალხს ვერ ცნობდა. ბელადს თამადობა ძალიან კარგად გამოსდიოდა და სადღეგრძელოებსაც სიამოვნებით წარმოთქვამდა. ცნობილია, რომ იგი ქართული ხელოვნებისა და მეცნიერების კორიფეებთან ერთად დიდებულ საღამო-

## სვიმონ მასხარაშვილი:

# 1945 წელს სტალინის მოულოდნელმა ინსულტმა ყველა პოლიტიკური პროცესი გაყინა და წითელი არმია თურქეთში ველარ შეიჭრა!

***ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 5 მარტს, 21:50 საათზე, გარდაიცვალა პროლეტარიატის დიდი ბელადი და ხალხთა მამა, ფაშიზმის დამსამარებელი გენერალისიმუსი სტალინი. იმავე ოფიციალური ვერსიით, 1953 წლის 1 მარტს კუნცევოს აგარაკის დაცვის ერთ-ერთმა თანამშრომელმა სტალინი მცირე ოთახის სასადილო დარბაზში იატაკზე დაწოლილი შეამჩნია და მაშინვე განგაში ატეხა... ეს ყველაფერი ქმნის საფუძვლიან ეჭვს, ვივარაუდოთ, რომ ბელადი 1953 წლის 28 თებერვალს უკვე ცუდად იყო და ინსულტის შედეგად გონება და მოძრაობის უნარი დაკარგული ჰქონდა... პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი აცხადებს, რომ ასეთი რამ ბელადს პირველად არ დამართნია და 1945 წლის სექტემბრიდან 1950 წლამდე სტალინმა სამი ინსულტი გადაიტანა:***

— საერთოდ, **თებერვალი** რთული თვეა... ძველი რომაული კალენდრით, მე-12 თვე სწორედ **თებერვალი** იყო, ნიკოლოზ მეორე **თებერვალში** დაამხეს, ბოლშევიკებმა საქართველო **თებერვალში** დაიპყრეს და სტალინის მკვლელობაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ მაინც **თებერვალში** გადაწყდა, თუმცა, არაერთხელ გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ კრემლი ბელადის მკვლელობას დღესაც აგრძელებს!

**— ბატონო სვიმონ, სტალინი მოკლეს თუ ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა? მოგეხსენებათ, ამ საკითხზე უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ვერსია არსებობს!**

— სანამ რუსეთის სახელმწიფო არქივის ყველაზე უფრო დამალული და დაფარული სექციები არ გაიხსნება, ჩვენ, ალბათ, ამ შეკითხვაზე ზუსტი პასუხი არ გვექნება, მაგრამ სტალინის დაღუპვა რომ აშკარად პროვოცირებული იყო, ამას წყალი არ გაუვა. არც იმას გამოვრიცხავ, რომ სტალინის დაღუპვაზე შესაძლოა, იმ დაფარული არქივების გახსნამაც არაფერი გვითხრას, რადგან, **ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით, 1954 წლის 13 მარტიდან 1958 წლის 8 დეკემბრამდე საბჭოთა კავშირის კაგებეს შეფმა, გენერალმა ივან სეროვმა და მისმა ხროვამ საბჭოთა არქივები მთლიანად გამოშიგნეს და ყველა ის დოკუმენტი გაანადგურეს, სადაც კი სტალინისა და ბერიას მოღვაწეობის შესახებ რეალური ინფორმაცია იყო დაცული.**

**— რამდენად ჯანმრთელი იყო სტალინი?**

— სტალინი ახალგაზრდობიდანვე მიდრეკილი იყო ჰიპერტონიისკენ, მაღალი წნევა აწუხებს აწყობდა, მაგრამ, ფაქტობრივად, არ სვამდა. სტალინი ღვინოს მხოლოდ თუ მოწრუპავდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მაღალი წნევისადმი მიდრეკილების გამო ბელადისთვის დალევა არ შეიძლებოდა. 1945 წლის სექტემბრიდან 1950 წლამდე სტალინმა სამი ინსულტი გადაიტანა!

**— ეს საიდან დასტურდება?**

— ეს ჩანს სამედიცინო მონაცემებიდან და ამის შესახებ ხაზგასმით წერენ მეტ-ნაკლებად წესიერი რუსი ისტორიკოსები, მათ შორის, **სპიცინი** და **იური ჟუკოვი.** აი, ამ ინსულტების დროს არამარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში პოლიტიკური პროცესები გაჩერდა და გაიყინა!

**— მაინც რა პროცესებზეა საუბარი?**

— საქმე ის გახლავთ, რომ **1945 წლის აგვისტოში სტალინს ყველაფერი ჰქონდა მომზადებული იმისათვის, რათა მილიონიანი საბჭოთა არმია გერმანიის მოკავშირე თურქეთის ტერიტორიაზე შეჭრილიყო.** სტალინის მოთხოვნა ყველასთვის ცნობილი და გასაგები გახლდათ — **საქართველოსა და სომხეთს უნდა დაბრუნებოდა თურქეთის მიერ მიტაცებული ისტორიული ტერიტორიები და საბჭოთა კავშირს ბოსფორის სრუტეში, მარმარილოს ზღვაში, ერთ-ერთ კუნძულზე დაეფუძნებინა უძლიერესი სამხედრო-საზღვაო ბაზა!**

**— თურქეთის სახელმწიფოს განადგურებას და კონსტანტი-**

**ისტორიკოსის თვალით**

# უკანასკნელი თებერვალი

**ნოპოლის აღდგენას სტალინი მიზნად არ ისახავდა?**

— არა, ეს მიზნები ბელადს არ ჰქონია! თურქეთის სახელმწიფო თავის ადგილზე უნდა დარჩენილიყო და არც სტამბოლს ეხებოდა ვინმე, მაგრამ მას უნდა დაეთმო საქართველოსგან მიტაცებული **ტაო-კლარჯეთი და ძველი სომხური მიწები.** ეს ამბავი იმდენად გადაწყვეტილი იყო, თურქეთი შიშისაგან კანკალებდა, ხოლო სტალინს ტრაპიზონში, ოლთისსა და ართვინში რაიკომის მდივნები უკვე გამზადებული ჰყავდა დასანიშნად. პოეტმა **გრიგოლ აბაშიძემ** ლექსიც კი მიუძღვნა ამ პროცესს, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა. მოკლედ, ეს უზარმაზარი სამხედრო ძალა, რომლის გამჩერებელიც დედამიწაზე არავინ იყო, თურქეთში უნდა შეჭრილიყო, მაგრამ 1951 წლის სექტემბერში სტალინს ინსულტი მოუვიდა და პროცესი გაიყინა... კრემლში სტალინის გარეშე კაციშვილმა ვერ გაბედა პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღება და არმიისთვის შეტევაზე გადასვლის ბრძანების მიცემა. ის, რომ თურქეთს მიტაცებული ქართული და სომხური მიწები უნდა დაებრუნებინა, სტალინმა ეს მოთხოვნა პირველად 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე გააჟღერა.

**— მოკლედ, თქვენ ფიქრობთ, რომ თურქეთი 1945 წელს სტალინის ინსულტმა გადაარჩინა და არა 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ამერიკელების მიერ ატომური ბომბების ჩამოგდებამ, რამაც მაშინ მსოფლიოში ძალთა ბალანსი აშკარად ამერიკის სასარგებლოდ შეცვალა?**

— მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სტალინს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ბრიტანეთში იმდენი მხარდამჭერი ჰყავდა, ჰიტლერის დამარცხების ფონზე, ჰიტლერის მოკავშირე თურქეთის დაცვის მიზნით, ამერიკასა და ბრიტანეთს საბჭოთა კავშირისთვის რომ ომი გამოეცხადებინა, ამას ლონდონსა და ვაშინგტონში რევოლუციები მოჰყვებოდა. ეს ნაძირალა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** მოიგონა, თითქოს სტალინს ამერიკელების მიერ იაპონიაში ჩამოგდებული ატომური ბომბების შეეშინდა და მარმარილოს ზღვაში სამხედრო-საზღვაო ბაზა იმიტომაც ვერ შექმნა. ვინც ასე ფიქრობს, ის ისტორიულ პროცესს საერთოდ ვერ იაზრებს... **1945 წელს სტალინი ისეთი ძლევამოსილი იყო, მის 13-მილიონიან არმიას შეიარაღებაში მხოლოდ ჯოხები რომ ჰქონოდა, მსოფლიოში ნებისმიერ ქვეყანას მაინც დაამარცხებდა.** ხაზგასმით ვაცხადებ: სტალინს იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, ძალიან მეეჭვება, რომ თუნდაც მხოლოდ ავტორიტეტის გამო მას ვინმე დაპირისპირებოდა. სტალინს მთელი მსოფლიო უყურებდა როგორც ღმერთს. მეტსაც გეტყვით, გენერალი **ჯორჯ პატონი,** რომლის მსგავსი სამხედრო მოღვაწე და მებრძოლი მხედართმთავარი ამერიკელებს არასოდეს ჰყოლიათ, ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდებდა, რომ ჰიტლერის განადგურების კვალდაკვალ ბერლინის მიმართულებით აუცილებლად შეეტიათ საბჭოთა კავშირისთვის. ამ პოზიციის გამო ჯორჯ პატონი არმიიდან საერთოდ დაითხოვეს და სამხედრო ხელმძღვანელობას ჩამოაცილეს. პატონი გერმანიაში ნადირობის დროს ძალიან საეჭვო ვითარებაში დაიღუპა, მას მანქანა გადაუბრუნდა. გენერალმა პატონმა მოასწრო მოგონებების წიგნის გამოცემა, სადაც პირდაპირ დაწერა — **სტალინისა და საბჭოთა კავშირის სიძულვილის გამო მომხსნეს!** გავიხსენებ ერთ ფაქტს: ომის დროს გერმანული სამხედრო ნაწილები ავსტრიასა და ჩეხოსლოვაკიაში გენერალ პატონს უბრძოლველად ჩაჰბარდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ეიზენჰაუერი სტალინს დაჰპირდა, საბჭოთა საოკუპაციო ზონაში დატყვევებულ ყველა გერმანელს გადმოგცემთო, ამერიკელებმა ეს ბრძოლისუნარიანი სამხედრო ნაწილები, რომელთა გამოყენებასაც პატონი საბჭოთა კავშირის შესაკავებლად გეგმავდა, მთლიანად რუსებს ჩააბარეს. ამის გამო პატონსა და ეიზენჰაუერს შორის დიდი დაპირისპირება მოხდა... აი, ასეთი განწყობა სუფევდა შეერთებული შტატების უმაღლეს სამხედრო-პოლიტიკურ ელიტაში და ვინ გაბედავდა სტალინთან დაპირისპირებას?

მოკლედ, 1945 წელს სტალინის მოულოდნელმა ინსულტმა აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური პროცესი გაყინა და წითელი არმია თურქეთში ვერ შეიჭრა, არადა, ყველაფერი გამზადებული იყო! არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ დროს ჩრდილოეთ ირანში წითელი არმია უკვე იდგა. ერთი სიტყვით, მოხდა იმ მილიონიანი არმიის მთლიანად დემობილიზაცია და საბჭოთა კავშირმა ირანიდანაც კი დაიწყო ჯარის გამოყვანა.

## „არც ალექსანდრე მაკედონელს, არც ცეზარს, არც დავით აღმაშენებელსა და არც სტალინს პოლიტიკური მოსავლის მომკა არ დასცალდათ!“









კრემლში პოლიტიკური პროცესები მხოლოდ 1946 წლის გაზაფხულზე დაიქოქა, როცა ბელადი მომჯობინდა, თორემ მთელი 1945 წლის შემოდგომა-ზამთარი ისე გავიდა, რომ სტალინი ინსულტის გამო გათიშული იყო და მკურნალობდა. აი, ამის შემდეგ სტალინს 1951 წლამდე კიდევ ორი ინსულტი მოუვიდა...

**— ესეც დოკუმენტურად დასტურდება?**

— დიახ, დასტურდება! 1946 წელს, როგორც კი სტალინი გონზე მოვიდა, ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც მაშინვე აგორდა, გახლდათ **„ავიატორების საქმე“,** რასაც **ნოვიკოვი და შახურინი** შეეწირნენ. სტალინს ამ საქმეზე არავინ დაუხვრეტია, უფრო მეტიც, 1947 წელს მან საბჭოთა კავშირში დახვრეტა საერთოდ გააუქმა, მაგრამ **„ავიატორების საქმემ“** დაამტკიცა, რომ თუ არა საავიაციო მრეწველობის აბსოლუტურად ყველა რგოლში გამეფებული საშინელი კორუფცია, მეორე მსოფლიო ომს საბჭოთა კავშირი ბევრად ნაკლები ადამიანური და მატერიალური მსხვერპლით დაასრულებდა. მოგეხსენებათ, **გიორგი მალენკოვი,** როგორც დარგის კურატორი, „ავიატორთა საქმის“ გამო მწარედ დაისაჯა და სტალინმა ის გვარიანად ჩააჩოჩა, მაგრამ 1949 წელს, „ლენინგრადის საქმის“ კვალდაკვალ, როგორც ეს წინა ინტერვიუში აღვნიშნეთ, მალენკოვმა თავისი სტატუსის აღდგენა შეძლო. როგორ და რატომ მოხდა ეს? მალენკოვის „მეორედ მოსვლა“ 1949-1950 წლებში სტალინის მესამე ინსულტს ემთხვევა, როცა ბელადი ისევ ქმედუუნარო გახდა და გაითიშა...

**— მეორე ინსულტი ბელადს როდის მოუვიდა?**

— ამის დაზუსტება ჭირს, მაგრამ, როგორც ამბობენ და როგორც რუსი ისტორიკოსები წერენ, ეს უნდა მომხდარიყო 1947-1948 წლებში. ეს შედარებით მსუბუქი ინსულტი იყო და ბელადი მალე მოკეთდა. მესამე ინსულტი სტალინისთვის, როგორც ეტყობა, მძიმე აღმოჩნდა, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში რეაბილიტაციას გადიოდა. კერძოდ, ცნობილია, რომ 1951 წელს ბელადი ჩამოვიდა საქართველოში, ისვენებდა გაგრაში, წყალტუბოში, ბორჯომში... არსებობს მოგონებები იმის შესახებ, რომ სტალინი გენერალ **ნიკოლაი ვლასიკთან** ერთად სეირნობდა, ბავშვებს ჩუქნიდა კანფეტებს, მერე მწვადის შესაწვავად სადღაც გავიდნენ და ა.შ. მოკლედ, აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ბელადი აბსოლუტურად მოწყვეტილი იყო. ცხადია, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ ეს იყო მკაცრ სამედიცინო კონტროლს დაქვემდებარებული სარეაბილიტაციო პროცესი. მოვლენათა ანალიზი ცხადყოფს, რომ სტალინისა და ბერიას მკვლელობა სწორედ ამ პერიოდში მომზადდა!

**— დააკონკრეტეთ!**

— შეთქმულებმა, უპირველეს ყოვლისა, იერიში მიიტანეს „კაგებეს“ მინისტრის **ვიქტორ აბაკუმოვის** წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა უშიშროებას 1946 წლის 7 მაისიდან 1951 წლის 14 ივლისამდე ხელმძღვანელობდა. მოგეხსენებათ, **აბაკუმოვი** მოხსნეს, მაშინვე დააპატიმრეს და ხრუშჩოვის დროს, 1954 წლის დეკემბერში, დახვრიტეს. აბაკუმოვს შესაძლოა, ბევრი შეცდომა ჰქონდა, მაგრამ ის ერთგული სტალინელი იყო და ბელადის ღალატს გულში არ გაივლებდა. აბაკუმოვის დაპატიმრების შემდეგ კაგებეს მინისტრად დანიშნეს მალენკოვის კადრი **სემიონ იგნატიევი.** ამის შემდეგ იერიში მიიტანეს სტალინის უახლოეს ადამიანებზე — **ალექსანდრე პოსკრებიშევსა და ნიკოლაი ვლასიკზე.** ერთი სტალინის აპარატის უფროსი იყო, ხოლო მეორე — პირადი დაცვის უფროსი. ორივეს შეუკერეს საქმე და ბელადი დაარწმუნეს, რომ თითქოს ერთიც და მეორეც დაბერდა და გამოყეყეჩდა... მოკლედ, სტალინის გარშემო, რომელიც ინსულტის შემდეგ ხანგრძლივ რეაბილიტაციას გადიოდა და ძირითადად საქართველოში ისვენებდა, საშიში მარყუჟი შეიქმნა — კაგებეს მინისტრი და მალენკოვის მონა **სიმეონ იგნატიევი** მაშინ, როცა **ბერია** ჩამოშორებული იყო უშიშროებას და სტალინის დავალებით მთლიანად სტრატეგიულ პროექტებზე გახლდათ გადართული, ბელადს უერთგულეს თანამშრომლებს აცლიდა. ამ ყველაფერს ისტორიულ პლანში თუ განვსჯით, მაშინ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ არც ალექსანდრე მაკედონელს, არც ცეზარს, არც დავით აღმაშენებელსა და არც სტალინს პოლიტიკური მოსავლის მომკა არ დასცალდათ! **მაკედონელი** სრულიად ახალგაზრდა — 33 წლისა ჩავიდა სამარეში; **ცეზარი** ისე მოკლეს, თავის დაცვაც კი არ უცდია, არადა, საფრთხის შესახებ აფრთხილებდნენ; **აღმაშენებელი** ძალიან ახალგაზრდა — 52 წლისა აღესრულა, არადა, გარშემო უკვე ყველა დამორჩილებული და დახარკული ჰყავდა, ხოლო **რომ არა ის საბედისწერო ინსულტები, სტალინი მსოფლიოს აუცილებლად შეცვლიდა!** არადა, მან დროს გაუსწრო და, ეტყობა, ღმერთმა არ დაუშვა ის, რაც ბელადს ჩაფიქრებული ჰქონდა!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## „სტალინი ახალგაზრდობიდანვე მიდრეკილი იყო ჰიპერტონიისკენ, მაღალი წნევა აწუხებდა!“

# გიორგი ბეზირგანის პასუხები მკითხველს ★

## გვაინტერესებს ძალაუფლების მწვერვალისკენ ბერიას აღმასვლის ისტორია. იგი ძველი ბოლშევიკი არ ყოფილა, პარტიაში რევოლუციის შემდეგ შევიდა და ჩეკისტობიდან უცებ გააკეთა ნახტომი ჯერ საქართველოს, შემდეგ კი მთელი საბჭოთა კავშირის მმართველის ტახტისკენ. ვინ შეუწყო ამაში ხელი?



ლავრენტი ბერია და ნიკიტა ხრუშჩოვი

**ბერია ბოლშევიკთა პარტიაში მართლაც 1919 წელს, ქ. ბაქოში, 20 წლის ასაკში შევიდა,** თუმცა, მის სიცოცხლეში ოფიციალურ ბიოგრაფიებში **1917 წლის მარტი** იყო მითითებული (თვეს აქ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა და რევოლუციამდელ სტაჟს მიუთითებდა). **ბერია**ს პირველი მფარველი გახლდათ **მირ ჯაფარ ბაგიროვი, ბაქოს ჩეკას მაშინდელი ხელმძღვანელი, შემდგომში კი აზერბაიჯანის კპ ცკ-ის პირველი მდივანი. ბერია** მასთან თავიდან რიგით თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა, **ბაგიროვმა** მალე დააწინაურა თავის მოადგილედ. **ლავრენტი ბერიამ ბაგიროვს** სიკეთე არ დაუვიწყა და მასზე მაღალ საფეხურზე ასული ყველანაირად მფარველობდა, სტალინის გარდაცვალების შემდეგ კი პოლიტბიუროშიც შეიყვანა წევრობის კანდიდატად. თუმცა, მირ ჯაფარს ბერიასთან მეგობრობა ძვირად დაუჯდა. იგი დახვრიტეს, როგორც „ხალხის მტრის თანამზრახველი.“

ბერიას შემდეგი მფარველი, უხეშად რომ ვთქვათ, „მიმწოლი“ სერგო ორჯონიკიძე გახლდათ. მან შეიტყო ბაქოში მომუშავე ახალგაზრდა ქართველი ჩეკისტის ბრწყინვალე შესაძლებლობების შესახებ და იგი ტფილისში გადმოიყვანა ამიერკავკასიის ჩეკას თავმჯდომარის მოადგილედ. ამ თანამდებობაზე ბერიამ საკმაოდ დიდხანს, 1931 წლამდე იმუშავა. სტალინთან მისი პირველი შეხვედრა სწორედ ამ წელს მოხდა წყალტუბოში, სადაც ბელადი ისვენებდა, ბერია კი მის დაცვას უზრუნველყოფდა. ამ შეხვედრის შემდეგ მალე იგი — ამიერკავკასიის გპუ-ს ხელმძღვანელი, 1931 წლის ნოემბერში კი საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის პირველი მდივანი და ამიერკავკასიის პარტიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი (1932 წლიდან — პირველი) ხდება.

როგორ მოხდა ეს? 1931 წლის შემოდგომაზე მოსკოვში პოლიტბიუროზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ანგარიშებს ისმენდნენ. ბოლოს სტალინმა მოულოდნელი წინადადება წამოაყენა: **„რა იქნება, რომ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი ასე ჩამოვაყალიბოთ: პირველი მდივანი — ქართველიშვილი, მეორე — ბერია, რომელიც ამავე დროს საქართველოს ცეკას პირველი მდივანი გახდება.“** ძველმა ბოლშევიკმა ლავრენტი ქართველიშვილმა მყისვე ადგილიდან წამოიძახა: **„მაგ ჩეკისტთან ერთად არ ვიმუშავებ“.** სტალინმა არაფერი შეიმჩნია. რამდენიმე დღის შემდეგ საკითხი „სამუშაო წესით“ გადაწყდა. ამიერკავკასიის პირველი პირი მამია ორახელაშვილი გახდა, მეორე — ბერია. სულ მალე მამია მოსკოვში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს და ბერიამ მისი ადგილი დაიკავა.

ნახტომი მართლაც თავბრუდამხვევი გახლდათ. გარდა პირველი შეხვედრისას ბელადზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენისა, ბერიას აღმასვლაში დიდი როლი შეასრულეს რეკომენდატორებმა — სერგო ორჯონიკიძემ და აფხაზეთის ხელმძღვანელმა ნესტორ ლაკობამ, სტალინთან მეტად დაახლოებულმა პიროვნებამ. რა თქმა უნდა, ბერიასთვის რეკომენდაციის გაწევისას ორივე საკუთარი მიზნებისთვის იღვწოდა. ორჯონიკიძე, რომელიც კრემლში ამიერკავკასიის ფარულ კურატორად ითვლებოდა, ფიქრობდა, რომ ბერიას მართვა უფრო გაუადვილდებოდა, ვიდრე ძველი პარტიელებისა, რომელთა უმრავლესობასთან (ორახელაშვილი, მდივანი, მახარაძე და სხვები) საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მდიდარი რევოლუციური წარსულის მქონე ამ ამბიციური ხალხის მბრძანებლობა ძნელი იქნებოდა. ახალგაზრდა ენერგიული ბერია კი სერგოს ყოველ სიტყვას ჰაერშივე იჭერდა. ნესტორ ლაკობას კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასიაში უმაღლეს პოსტზე პრეტენზია ვერ ექნებოდა და გულუბრყვილოდ მიაჩნდა, რომ აფხაზეთის მკვიდრი ბერიას ხელში (რომელიც მას უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა) აფხაზეთის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდებოდა და მხოლოდ კრემლს დაემორჩილებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ორივე შეცდა. სხვათაშორის, უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო პოსტებზე ჩეკისტების წამოწევა შემდგომშიც გაგრძელდა. უკვე ჩვენს დროს და ჩვენ თვალწინ აზერბაიჯანის მთავარი ჩეკისტი ჰეიდარ ალიევი თავის რესპუბლიკას ჩაუდგა სათავეში, ხოლო მისი თბილისელი კოლეგა, შინაგან საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს.



იოსებ სტალინი, ლავრენტი ბერია, სტალინის ქალიშვილი სვეტლანა

## სტალინისა და ტროცკის მოსისხლე მტრობაზე, პრაქტიკულად, ყველაფერი ვიცით, მაგრამ ბოლომდე არ მესმის, რაში მდგომარეობდა მათი კონფლიქტის არსი, რით დაიწყო იგი, რომელ საკითხებში განსხვავდებოდა კარდინალურად მათი პოზიციები?



**„ცკ-ის ორ გამოჩენილ ბელადს“ (ლენინის გამოთქმა) შორის მტრობა სათავეს ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებიდან იღებს. გარდა პირადი ანტიპათიისა, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაქტმა, რომ ყოფილი მენშევიკი, ლენინისა და ბოლშევიკების უმოწყალო ოპონენტი ტროცკი 1917 წლის აგვისტოში მათ მიეტმასნა და ცკ-ში მყისვე ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა. ბუნებრივია, სტალინს — ორთოდოქს კომუნისტს, რომელსაც „კავკასიელ ლენინს“ უწოდებდნენ, ეს არ მოეწონებოდა.** მას ბოლშევიზმისადმი **ტროცკის** ერთგულებისა არ სჯეროდა და თვლიდა, რომ ადამიანი, რომელმაც რწმენას ერთხელ უღალატა, ამას კიდევ ბევრჯერ გააკეთებს. უნდა ითქვას, რომ **ტროცკის** თავად **ლენინიც** უნდობლად ეპყრობოდა, მაგრამ მისი ნიჭი გამოიყენა და **ტროცკის** მომხრეთა ხარჯზე პარტია გაზარდა და განამტკიცა. ვფიქრობ, ეს ტაქტიკური მანევრი და, ამდენად, დროებითი მოვლენა გახლდათ. **ლენინი** უთუოდ მოიშორებდა **ტროცკის** თავიდან, მაგრამ ამას მისმა სიკვდილმა შეუშალა ხელი. **ილიჩი** ანდერძშიც კი **„არაბოლშევიზმს“** უკიჟინებდა **ტროცკის.**

**ლენინის** გარდაცვალების შემდეგ ორი **„გამოჩენილი ბელადის“** ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. **ტროცკიმ** ღიად უწოდა **სტალინს „გენიალური უფერულობა“,** რომელიც ძალაუფლების უზურპაციას პარტაპარატის მეშვეობით ახდენდა. **სტალინმა** კი **ტროცკი „ყალბ კუნთებთან მებრძოლად“** მონათლა, რომელმაც **ლენინს** და რევოლუციას უღალატა.

რაში განსხვავდებოდა **ტროცკისა** და **სტალინის** პოზიციები? პრაქტიკულად, ყველა საკვანძო საკითხში. **სტალინი** ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინისეულ თვალსაზრისს იცავდა, **ტროცკი** კი უარყოფდა მას და **„პერმანენტული“** (უწყვეტი) რევოლუციისკენ, პრაქტიკულად, მისი ექსპორტისა და მსოფლიო ომის გაჩაღებისაკენ მოუწოდებდა, რომლის ცეცხლში **„მუშათა და გლეხთა მსოფლიო სახელმწიფო“** დაიბადებოდა. **სტალინი** სამართლიანად თვლიდა, რომ მსგავსი ექსპანსია სსრკის დაღუპვას გამოიწვევდა. საშინაო პოლიტიკაში **ტროცკი** ცხოვრების ყველა სფეროს გასამხედროებას, სავალდებულო შრომით ბეგარას, მუშათა და გლეხთა შრომითი არმიების შექმნას ემხრობოდა. იგი ვერ ხედავდა განსხვავებას კულაკსა და საშუალო გლეხს შორის და ერთი ძროხის მფლობელიც კი კლასობრივ მტრად მიაჩნდა. რაღა თქმა უნდა, ეს, თავისი არსით პროვოკაციული პოლიტიკა, განხორციელების შემთხვევაში მთელ ქვეყანას დამხობის ზღვარზე მიიყვანდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, ამ ორთაბრძოლაში ტროცკის გამარჯვების შემთხვევაში რა ანარქიასა და ქაოსში ჩაიძირებოდა სახელმწიფო.

მაგრამ, როგორც ვიცით, **„ყალბ კუნთებთან მებრძოლის“** ფიზიკურ განადგურებამდე (1940 წელს) **„გენიალურმა უფერულობამ“** იგი პოლიტიკურად გააკრა ბეჭებზე (1927 წელს).



## როგორი იყო სტალინი თავის გარემოცვასთან ურთიერთობაში? ზოგი წყაროს მიხედვით, იგი უხეში იყო და შეკამათებას ვერ იტანდა. დანარჩენების თანახმად კი, პირიქით, ყურადღებით უსმენდა ყველას და ხმას არასოდეს იმაღლებდა. სად არის სიმართლე? ამასთან, გვინდა, ვიცოდეთ, უახლოესი თანამოაზრეებიდან ვინ მიმართავდა სტალინს „შენობით“?

მოდით, **სტალინის** უახლოეს თანამოსაგრეს მოლოტოვს დავუჯეროთ, რომელიც ფელიქს ჩუევთან საუბარში ამბობდა, რომ **სტალინი** ურთიერთობაში უცვლელად **„უბრალო, მეტად ყურადღებიანი და გულითადი გახლდათ.“** გარდა ამისა, არსებობს უამრავი სხვა მოწმე. გადაშალეთ **ჟუკოვის, როკოსოვსკის, ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევის,** შეიარაღების მინისტრ **უსტინოვის** და სხვათა მოგონებები. უკლებლივ ყველა იუწყება, რომ ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობისას **სტალინი** თითოეულ დამსწრეს უსმენდა და მხოლოდ შემდეგ იწყებდა საუბარს. იგი ძალიან იშვიათად აწყვეტინებდა ვინმეს ლაპარაკს, ხანდახან დასაზუსტებლად კითხვებს უსვამდა. თანაც (და ამას ყველა მემუარისტი უსვამს ხაზს), ვერ იტანდა ვრცელ მონოლოგებს, მოითხოვდა, რომ საკითხი მოკლედ და არსებითად მოეხსენებინათ. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: მძიმე მომენტში, როცა თვით მისი ძალაუფლებაც კი თითქოს ბეწვზე ეკიდა, **სტალინი** მუდამ ხუმრობდა, აბსოლუტურად მშვიდი იყო და გარშემომყოფებსაც ამხნევებდა. მაგალითად, ასეთი დაამახსოვრდათ იგი **1941 წლის შემოდგომის** საშინელ დღეებში, როდესაც გერმანელები მოსკოვიდან რამდენიმე კილომეტრში იმყოფებოდნენ. და, პირიქით, როდესაც საქმეები კარგად მიდიოდა, იღუშებოდა და შარიანობდა, თუმცა, ხმას არასოდეს უწევდა. მხოლოდ თვალებზე თუ შეატყობდით, რომ რაღაცით უკმაყოფილო იყო.





სტალინი და მფრინავი ჩკალოვი. 1937 წელი

როგორც უცხოებს, ისე ახლობლებს **სტალინი** მხოლოდ **„თქვენობით“** მიმართავდა, რამდენიმე უახლოესი თანამოაზრის გამოკლებით **(ორჯონიკიძე, მოლოტოვი, ვოროშილოვი),** ხოლო, თუკი ვინმე სხვას **„შენ“**-ო — ეტყოდა, ეს მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშანი გახლდათ.

შესაბამისად, სამი დასახელებული პიროვნებაც **სტალინს „შენობით“** მიმართავდა. ასევე მიმართავდა **ბელადს სერგო ქავთარაძე,** მისი რევოლუციური ახალგაზრდობის მეგობარი, რომელიც **სტალინმა** პატიმრობიდან გაათავისუფლა და ჯერ — საგარეო საქმეთა სახკომის მოადგილედ, შემდეგ კი რუმინეთში საბჭოთა ელჩად დანიშნა. დაბოლოს, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, **სტალინს „შენობით“ მიმართავდა სახელგანთქმული მფრინავი ვალერი ჩკალოვი. მისი მეორე პილოტი ბაიდუკოვი** ყვება, რომ ჩრდილოეთ პოლუსის გავლით ამერიკაში გადაფრენის შემდეგ მოწყობილ სამთავრობო მიღებაზე **ჩკალოვი სტალინთან** მივიდა და უთხრა: **„ამხანაგო სტალინ! ენა არ მიბრუნდება, „თქვენობით მოგმართო. მოდი, ვახტანგურად დავლიოთ“.** გარშემომყოფნი აღელდნენ, მაგრამ **სტალინმა** გაიღიმა და თქვა: **„მოდი, დავლიოთ!“** მათ ვახტანგურად დალიეს და იმ დღიდან დიდი მფრინავის ავიაკატასტროფაში დაღუპვამდე ერთმანეთს **„შენობით“** მიმართავდნენ.

2023 წლის 6 თებერვალი. № 10 (178)

საredაქციო კოლეგია

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com
ფეისბუქი: www.facebook.com/Asavali.com გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან.

# გული - კიევში, უკანალი - გორში, საოხრე - ჭიაბერაშვილის ან თ. ჭყონიას ეზოში!



***დიდმა პოლონელმა კომპოზიტორმა ფრედერიკ შოპენმა, რომელიც 1849 წლის 16 ოქტომბერს პარიზში გარდაიცვალა, სიკვდილის წინ დაიბარა — ჩემი გული, რომელიც პოლონეთს ეკუთვნის, ვარშავაში დამარხეთო! პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, ლუიჯი კერუბინისა და ბელინის საფლავებს შორის, ახლაც განისვენებს შოპენი, რომლის გვამსაც, ანდერძის თანახმად, გული ამოაცალეს და ვარშავაში, წმინდა ჯვრის სახელობის ეკლესიაში დაასვენეს! შოპენი ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსია, რომლის უკვდავი ჰანგებიც არასოდეს დაბერდება... მას უყვარდა პოლონეთი და პოლონელმა ხალხმაც სათუთად ჩაიხუტა გენიალური მუსიკოსის გული, მაგრამ საინტერესოა, სააკაშვილის გული კიევში რა დამსახურებისთვის უნდა დაიმარხოს?***

საქართველოს მაოხრებელმა ცქირმა, რომელიც ციხიდან გამოსახსნელად ნებისმიერ სიბინძურესა და პროვოკაციაზე აწერს ხელს, წინა კვირას სასამართლო პროცესზე ვიდეოჩართვისას უკრაინულად განაცხადა: **„მოგესალმებით ყველას... ჩემ მიმართ განხორციელდა წამება, მე ვიყავი მოწამლული... მადლობა ყველა უკრაინელს ყურადღებისთვის. მე დარწმუნებული ვარ უკრაინის გამარჯვებაში, მაგრამ, თუ ვერ ვიცოცხლებ უკრაინის გამარჯვებამდე, რომელიც ძალიან ახლოსაა, ჩემი გული უნდა იყოს დამარხული კიევში, ის ეკუთვნის უკრაინას... სიკვდილი ჩვენს მტერს!“**

ამის შემდეგ სააკაშვილმა თითქმის გაიხადა თეთრი მაისური, რომელზეც ინგლისურად ეწერა — **„მე უკრაინელი ვარ“,** ჰაერი ღრმად შეისუნთქა და მოსამართლესა და სასამართლოს მუცელი და გვერდები მიუშვირა. **მოკლედ, რაკი წინა სასამართლოზე სააკაშვილმა გაიხადა, მომდევნო სასამართლოზე უსათუოდ ჩაიხდის და როგორც შალვა ხაჭაპურიძესა და ვალერი გელბახიანს, ისე მთელ პროკურატურასა და ქვეყანას „ატოცურ თაიგულს“ მიუშვერს!**

**პოლიგრაფე გიულის ძე „საბაკაშვილი“,** რომელიც დღეს „ვივამედშია“ წამოპლაკული, ვიღაცის უჩინარმა ხელმა ისევ **„საბაკად“,** ანუ **შარიკად** აქცია, თუმცა, მეტყველების უნარი დაუტოვა... ჰოდა, ეს ჩვენი ცოდვით სავსეც გაიძახის — **ჩემი გული კიევში დამარხეთო!**

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს წინაშე სააკაშვილის დამსახურება დიდზე დიდია, **წინადადება შემოგვაქვს, აძაღლების შემთხვევაში, უგულოდ დარჩენილი სააკაშვილის სხეულის სხვადასხვა ნაწილები მაინც დავუტოვოთ ნაცსექტას, რათა ისინი კონკრეტულ მისამართებზე დაასაფლავონ!** ასე, მაგალითად, გორში, მეჯვრისხევის ქუჩაზე, იქ, სადაც აგვისტოს ომის დროს რუსის თვითმფრინავის გამოჩენაზე სააკაშვილმა ცხვირით მიწა მოხნა, წესით, უნდა დასაფლავდეს მისი უკანალი, რომელსაც მთელი სახელმწიფო დაცვა და ნაზირ-ვეზირები გადაეფარნენ, რათა 150 ქართული სოფელი ჩაებარებინათ, ხოლო სააკაშვილის საოხრე უნდა დაიფლას **ცნობილი ფალოსოფოსის ზურაბ ჭიაბერაშვილის ანდა „კოკა-კოლას“ უსტაბაშის თ. ჭყონიას ეზოში.**

საჯიშე ბიჭების ქუჩაში დამხვრეტს და ქართული მიწების გამჩუქებელ-ჩამბარებელს საქართველოზე გული აყრილი რომ ჰქონდა, ვიცოდით, მაგრამ, თუ საქვეყნოდ იმას იტყოდა, რაც სასამართლოზე გამოაცხადა, არ გვეგონა!

1908 წელს ნიკო ლორთქიფანიძემ დაწერა ნოველა-შედევრი — **„გული“...**

უცხოობაში გარდაცვლილ ქართველ პატრიოტს პროფესორი გაკვეთს, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, გულს ვერ იპოვის! **პაწაწკინტელა ნოველის ეპილოგში ვგებულობთ, რომ, თურმე, ქართველის გული იმ რუკასა და სურათს დაუჭკნია და გაუქრია, რომლებზეც სამშობლო და უახლოესი ადამიანი იყო გამოსახული... ჯერჯერობით არაძაღლებულ სააკაშვილს ძაღლის გული რომ არ ჰქონოდა, რა უბედურებაც საქართველოს დააწია, გული ისევე უნდა გასკდომოდა, როგორც საქართველოსთვის თავდადებულ პოლკოვნიკ სერგო თეთრაძეს, როცა ნაცსექტის 35-ლარიანი არაკაცები დაესივნენ და გაუხეთქეს!**

მაგრამ სააკაშვილი ჯერჯერობით ცოცხლად იწოდება.

***დიტო ჩუბინიძე***







# 1 მეტრი და 94 სმ

# ლევან ხაბე და მიხეილ ხუბე

***2023 წლის 29 იანვარს, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ნაცსექტის თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილი გახდა, კლინიკა „ვივამედში“ წამოკოტრიალებულმა მიხეილ სააკაშვილმა გამარჯვებულ კანდიდატს წერილი გაუგზავნა, რომლის შინაარსიც ერთობ დამაფიქრებელია.***

წერილში ვკითხულობთ: **„გილოცავ ძმა, გვთვლი ჩემს უახლოეს ადამიანად და ძალიან დიდი პოტენციალის მქონე პოლიტიკოსად. მე საქართველოში არ ვაპირებ არანაირ პოლიტიკურ საქმიანობას, მაგრამ შენ ყოველთვის დაგიჭერ უკრაინიდან და სხვა ადგილებიდან მხარს. გეხვევი!“**

ეს წერილი ოთხი რამის გამოა მნიშვნელოვანი!

**პირველი და სავალალო** — ამ წერილის წამკითხველს თავში პირველად ის აზრი მოუვა, რომ აუცილებლად უსაყვედუროს ძვირფას ქალბატონს — **ინესა იამანიძეს,** რომელმაც სააკაშვილს ქართულ წერაში „ფრიადი“ დაუწერა და კაცს, რომელსაც გრამატიკული პირისა და რიცხვის ნიშნები აქვს არეული, სკოლიდან ოქროს მედალი გაატანა!

**მეორე და საყურადღებო** — ამ წერილით, რომელიც მართლაცდა ჩიქორთულითაა დაწერილი, სააკაშვილმა საქართველოს ხელისუფლების ბოსტანში კენჭი ისროლა და ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ელიტას მიანიშნა — **„საქართველოში არანაირ პოლიტიკურ საქმიანობას არ ვაპირებ“, გამომიშვითო!** მაგრამ საქართველოში ბავშვმაც კი იცის, რომ როგორც კი მიხეილი საქართველოდან მოხევს, მაშინვე მთელ თავის საძაღლეთს შემოიკრებს და საქართველოს ჯანჯღარს ცოცხალი თავით არ შეწყვეტს. **ვინ დაიჯერებს იმას, რომ პატიმრობაში მყოფი მაოხრებელი ცქირი, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების დასამხობად მილიონებს ხარჯავს, როცა გათავისუფლდება, ამ შავბნელ განზრახვაზე ხელს აიღებს და იმ დღიდანვე „ქართული ოცნების“ სადიდებლად გადაიტყავებს მუხლებს?**

**მესამე და დამაფიქრებელი** — სააკაშვილი, რომელიც ხაბეიშვილს **„ძალიან დიდი პოტენციალის მქონე პოლიტიკოსად“** მიიჩნევს, ხაბეს ჰპირდება, რომ უკრაინიდან და „სხვა ადგილებიდან“ მხარს დაუჭერს. კაცმა რომ თქვას, ამ დანაპირებს სააკაშვილი უკვე ასრულებს... მართლაც, ქვეყნის მაოხრებელი ცქირი უკრაინაში არ იმყოფება, მაგრამ, **სამაგიეროდ, სხვა ადგილას, კერძოდ, უკანალში ნამდვილად არის, საიდანაც ხაბეს მხარდამჭერი წერილი გაუგზავნა და გამარჯვება უკვე მიულოცა.** ეს კი პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ სააკაშვილი ხაბეს **სხვა ადგილიდანაც** ეხმარება.

**მეოთხე და უმთავრესი** — წინამდებარე წერილი ადასტურებს იმას, რომ **ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის** ხელმძღვანელობით, ნაცსექტაში მომხდარი გადატრიალება, რასაც **ნიკანორ მელიას** ჩამოლაბორანტება და **ლევან ხაბეიშვილის** აღზევება მოჰყვა, სინამდვილეში სააკაშვილთან შეთანხმებული და დაზუსტებული სპეცოპერაცია გახლდათ! აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ინსინუაციები და მკითხაობა იმაზე, რომ თითქოს **მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა** სააკაშვილს პარტია აახიეს, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ცხადია, ამას მელიაც ხვდება და ამიტომ იყო, რომ ხაბეიშვილს გამარჯვება მიულოცა თუ არა, მაშინვე გამოაცხადა — **როგორც კი ქვეყნის მესამე პრეზიდენტი გათავისუფლდება, ადამიანების გარკვეულ ჯგუფთან ერთად პოლიტიკური ბრძოლის რა პლატფორმასაც ავირჩევ, გამოჩნდებაო!**

თავის მხრივ, მიხეილ სააკაშვილის წერილს **ლევან ხაბეიშვილი** ფეისბუქში ასე გამოეხმაურა: **„ტყვეობასა და უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, მესამე პრეზიდენტის წერილი ... მადლობა პრეზიდენტს, მხარდაჭერისთვისა და კეთილგანწყობისთვის. მზად ვარ მიშას, ნიკას, პოლიტიკური პატიმრებისა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისთვის უკომპრომისო, ურთულესი ბრძოლისთვის!“**

წინამდებარე წერილი ჰიპოთეტური სათაურით — **„ლევან ხაბეს პასუხი მიხეილ ხუბეს!“** — ძალიან გვაგონებს იმ მოხსენებით ბარათებს, რომელსაც **ლეონიდ ბრეჟნევს ედუარდ შევარდნაძე** უგზავნიდა... **შევარდნაძემ პოლიტბიუროსა და კრემლში სწორედ მსგავსი შინაარსის წერილებით, კრემლში ჩამწკრივებული მდივან-რეფერენტი ქალებისთვის შოკოლადების ჩამორიგებით, ხოლო საქართველოში ჩამოსული მაღალი თანამდებობის პირებისათვის ფულისა და სამუზეუმო ექსპონატების გადაცემით დაიმკვიდრა თავი...** ლევან ხაბეიშვილს ამის რესურსი არა აქვს, ამიტომ პატრონების წინაშე თავის გამოსაჩენად და დასამკვიდრებლად მან უმოკლესი გზა აირჩია — **გამოქანება და სააკაშვილის გასათავისუფლებლად „ვივამედის“ კედელზე თავით შენარცხება!**

როგორც წესი, მსგავსი ატროვება ყოველთვის კეთილად არ სრულდება და გამომქანებელი ფიზიკურად ძალიან ზიანდება და მერე იტანჯება ხოლმე!

მოკლედ, ვნახოთ ვინ რას — **ხაბეიშვილი კედელს თუ კედელი — ხაბეიშვილს!**

ცხონებული **სოლიკო ხაბეიშვილი** ცოცხალი რომ იყოს, **ლევან ხაბეს** აუცილებლად ჭკუას დაარიგებდა — **თავს ნუ გვჭრიო!** — მაგრამ შევარდნაძემ ისიც მოკლა და თან ორჯერ — **პირველად 1985 წელს,** როცა კრემლში გადაბარგების წინ **შოთა გორგოძე** დაიბარა და მიანიშნა — **ჩემ შემდეგ ხაბეიშვილი არ უნდა მოვიდესო,** ხოლო მეორედ 1995 წლის 20 ივნისს, **როცა სახლიდან გამოსული შევარდნაძის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი ნიღბიანებმა ჩაცხრილეს!**

მოკლედ, **ლევან ხაბე დარჩენილია ჭკუის დამრიგებლის გარეშე და მიერეკება და მიერეკება... მაგალითად, ამასწინათ კლინიკა „ვივამედის“ ექიმები ლამის შარაგზის ყაჩაღ პროკრუსტეს შეადარა და თქვა — სააკაშვილს ექიმები სიმაღლეშიც კი აპატარავებენ, 1 მეტრი და 94 სანტიმეტრია პრეზიდენტი და უწერენ, რომ 1 მეტრი და 92 სანტიმეტრიაო!**

ამის გაგონებაზე მიხეილ სააკაშვილის **„მამა-ძიას“ — გიორგი ჩალაძეს,** რომელიც ხაბეიშვილის უკან იდგა, სახეზე უცნაურმა ღიმილმა გადაჰკრა და შევატყვე, გადახარხარებას არაფერი ერჩივნა, მაგრამ რაღაც მანქანებით თავი შეიკავა.

მოკლედ, **ჩვენც ვურჩევთ ლევან ხაბეს, რომ გამოექანოს და თავით შეასკდეს „ვივამედის“ კედელს!**

შედეგი ორიდან ერთი იქნება — **ხაბე ან სულ გააფრენს ან დაჭკვინდება და მთელი ეს კლოუნადა ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება!**

***დიტო ჩუბინიძე***

## ცხონებული სოლიკო ხაბეიშვილი ცოცხალი რომ იყოს, ლევან ხაბეს აუცილებლად ჭკუას დაარიგებდა - თავს ნუ გვჭრიო!

*ლეგენდარული ქართველი კომიკოსისა და სატირიკოსის თენგიზ ჩანტლაძის ერთ სკეტჩში, რომელიც ქართული ენის ბარბარიზმებითა და ჟარგონებით წაბილწვას განაქიქებს, სასამართლო კოლეგიის წევრი ამბობს — „იმდენი „იბლატავეს“, სანამ „სროკი“ არ „დაიადეს“!*

# იმდენი «იბლატავეს», სანამ მერაბიშვილი არ «დაიადეს!»

**ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის არაფორმალური მმართველობის დამყარებით ნაციონალურ მოძრაობაში ყველაზე ბნელი, ყველაზე სასტიკი და ყველაზე დანაშაულებრივი წარსული დაბრუნდა!**





**ნაციონალებმა იმდენი იძახეს — საქართველოში ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა დამყარდაო, ბოლოს თავიანთ პარტიაში მიიღეს ნამდვილი არაფორმალური მმართველობა!**



ჰოდა, ნაციონალურ მოძრაობაშიც თითქმის ასე დაემართათ — **იმდენი „იბლატავეს“, სანამ „ნასროკალი“ მერაბიშვილი არ „დაიადეს“!**

ცხადია, ვგულისხმობთ ნაცსექტაში ახლახან ჩატარებულ შიდა არჩევნებს, რომელშიც **ნიკანორ ანზორის ძე მელია ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის ჩუჩელამ — ლევან ხაბეიშვილმა** დაამარცხა.

უკანასკნელი ბრიყვისთვისაც ნათელია, რომ **„ნასროკალმა“ მერაბიშვილმა** და **დაუსწრებლად „გასროკილმა“ კეზერაშვილმა** დღევანდელი ქართული პოლიტიკის ყველაზე კომიკური და მარგინალური წარმომადგენელი **ლევან ხაბეიშვილი** ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარის სკამზე დადეს, ვითარცა ქვევრი, რომელიც იმას ამოიძახებს, რასაც ჩასძახებენ!

**ხაბეიშვილი იქნება გაწვრთნილი ნაგაზი, რომელსაც მერაბიშვილი და კეზერაშვილი შესძახებენ — „ფას!“ — და ისიც უმალ აუეფდება,** კბილებს დაკრეჭს, უკანა ფეხებზე შედგება და ვისკენაც მიუთითებენ, იმას ეცემა!

**ამიერიდან მერაბიშვილი და კეზერაშვილი განსაზღვრავენ** პარტიის სამოქმედო ტაქტიკასა და სტრატეგიას!

**ამიერიდან მერაბიშვილი და კეზერაშვილი გადაწყვეტენ,** ვინ ჩასვან პარტიის საარჩევნო სიაში საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნებისათვის!

**ამიერიდან მერაბიშვილი და კეზერაშვილი შეარჩევენ,** ვინ უნდა იყოს ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე!

**ამიერიდან მერაბიშვილი და კეზერაშვილი განკარგავენ** იმ 2 000 000 ლარსაც, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა, როგორც კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად იღებს!

მოკლედ, **მერაბიშვილი და კეზერაშვილი იქნებიან** ნაციონალური მოძრაობის რეალური ბატონ-პატრონები, ანუ არაფორმალური და ჩრდილოვანი მმართველები!

ბედის ირონიაც ამას ჰქვია: **ნაციონალებმა იმდენი იძახეს — საქართველოში ივანიშვილის არაფორმალური მმართველობა დამყარდაო, ბოლოს თავიანთ პარტიაში მიიღეს ნამდვილი არაფორმალური მმართველობა!**

იმდენი „იბლატავეს“ სააკაშვილის პარტიის წევრებმა — ქვეყანაში ივანიშვილის ჩრდილოვან მმართველობას დავასრულებთო, რომ ახლა თვითონვე უწევთ მერაბიშვილისა და კეზერაშვილის ჩრდილოვანი მმართველობის ქვეშ ყოფნა!

არადა, ნაცები, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, რამდენს ეცადნენ, თავიანთი სისხლიანი და კრიმინალური წარსულისაგან როგორმე დისტანცირებულიყვნენ! რამდენჯერ ატეხეს ფიცი-მტკიცი პარტიული ტელევიზიების ეთერში — წარსულში დაშვებული შეცდომები გავაანალიზეთ, ყველაზე მძიმე ბიოგრაფიის მქონე ხალხი პარტიიდან მოვიშორეთ, ახალი სახეები მოვიყვანეთ და ახლა სულ სხვა „თამროები“ ვართო!

საწყალ მელიას სულ „პარტიის რებრენდინგი“ ეკერა პირზე და ბოლო, წინასაარჩევნო კამპანიისას თავის სარეკლამო-სააგიტაციო მასალებზე „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასაც“ აღარ წერდა, მხოლოდ 5-იანს იყენებდა საარჩევნო ნომრად!

ნაცთაგან სწორედ მელია იყო პირველი, ვინც ციხიდან ახალგამოსულ მერაბიშვილს საჯაროდ გაემიჯნა და განაცხადა — იმ პოლიტიკურ გაერთიანებაში, სადაც იგი იქნება, ჩემ თავს ვერ ვხედავო!

„სროკმოხდილ“ ვანოს ცალკე სააკაშვილმა გამოუწერა საგზური — ვურჩევ, პოლიტიკას აღარ დაუბრუნდეს, დაისვენოს, სამოგზაუროდ წავიდესო!

ის კი არა, სააკაშვილმა ნაცმოძრაობაში შიდაპარტიულ არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრეც სცადა, მერაბიშვილისათვის სარმა გამოედო, როცა გერმანულ „შპიგელთან“ ინტერვიუში განაცხადა — შევცდი, რომ გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან არ გადავაყენეო!

მერაბიშვილისათვის თავში ჩაკაკუნებას ემსახურებოდა იმავე „შპიგელთან“ პატიმარ სააკაშვილის ნათქვამი — **არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინიდან საქართველოში ჩემი დაბრუნება რუსეთის აგენტების მიერ იყო ორგანიზებულიო!**

საქმე ის არის, რომ სააკაშვილს საქართველოში შემოპარვას ყველაზე აქტიურად სწორედ **ვანო მერაბიშვილი** უჩიჩინებდა, ხოლო „ბოროტას“ მეტსახელით ცნობილი **გია ლორთქიფანიძე,** რომელმაც არაჟნებიან ტრაილერში სააკაშვილის ჩასმა და უკრაინიდან გამოპარება უზრუნველყო, მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე და „მარჯვენა ხელი“ გახლავთ.

მოკლედ, **„სროკზე“ მყოფი ნაცბელადი, მის ხელთ დარჩენილი რესურსებით, ბოლო წუთამდე ცდილობდა, ნაცმოძრაობა „ნასროკალ“ მერაბიშვილს არ „დაეადებინა“, მაგრამ ამაოდ — „სროკმოხდილმა“ ვანომ შურისძიება შეძლო, მელია ხაბეიშვილის ხელით მოაცურა და სააკაშვილის პარტია „დაიადა“!** რა თქმა უნდა, კეზერაშვილთან ტანდემში!

მოგეხსენებათ, კეზერაშვილს დიდი **„მაყუთი“** აქვს, რადგან ხელისუფლებაში ყოფნისას ბევრი ბიზნესი **„დაიადა“** და 2008 წლის ომის დროს ქართულ ჯარს მილიონები **„მოუტეხა“,** მერაბიშვილს კი დიდი **„შანტრაპა“** ჰყავს იმ ყოფილი ძალოვნების სახით, რომლებსაც ერთი სული აქვთ, ქართველი ხალხის **„დაჩმორების“,** დარბევის, იარაღისა და ნარკოტიკის ჩადების, უკანონო ფარული თვალთვალისა და მოსმენის საშუალება აღიდგინონ, ანუ ის კარგი დრო დაიბრუნონ, როცა, ვანო **„სერგეევიჩის“** წყალობით, მათთვის ყველაფერი ნებადართული იყო.

დიდხანს რომ არ გავაგრძელოთ, **ვანო მერაბიშვილისა და დავით კეზერაშვილის არაფორმალური მმართველობის დამყარებით ნაციონალურ მოძრაობაში ყველაზე ბნელი, ყველაზე სასტიკი და ყველაზე დანაშაულებრივი წარსული დაბრუნდა!**

თუ ნაცმოძრაობაში მელიას თავმჯდომარეობის დროს ვინმეს ოდნავი ილუზია მაინც ჰქონდა — გველმა გველობა მოიშალაო, მერაბიშვილისა და კეზერაშვილის ჩრდილოვანი მმართველობის დამყარებით ყველასათვის ცხადი გახდა, რომ „გველივე ჰშთება გველად!“

**ნაციონალური მოძრაობა და ვანო მერაბიშვილი ყოველთვის იმსახურებდნენ ერთმანეთს!**

**ვანო მერაბიშვილისა და ნაციონალური მოძრაობის დროებითი განშორება უსამართლობა იყო!**

კარგია, რომ სამართლიანობა აღდგა და მერაბიშვილმა და ნაცმოძრაობამ ერთმანეთი „დაიადეს“!

**ამდენ ხანს ტყუილად არ „უბლატავიათ“!**

*ჯაბა ხუბუა*

## კვირგვინოსნები



**გოგა ხაინდრავა**

*კინორეჟისორი*

10 წელია, ვამბობ, რომ რუსების სამსახურში იდგნენ **სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი,** სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანია.** გამოძიება სხვა მიმართულებით წავიდა, თორემ **ეგენი სამშობლოს ღალატისთვის სისხლისსამართლის პასუხისგებაში უნდა ყოფილიყვნენ მიცემული.** მაინცდამაინც სააკაშვილს უნდა ეთქვა, რომ ნათელი გამხდარიყო, მერაბიშვილი ვის ემსახურებოდა? **ისეთი ლობირება რუსულ პრესაში, როგორც მერაბიშვილს ჰქონდა, მგონი, ბრეჟნევს არ ჰქონდა.**

„ახალი თაობა“



**ვახტანგ მეგრელიშვილი**

*„გირჩის“ ყოფილი ლიდერი, პარლამენტარი*

ნაციონალური მოძრაობა **ბელადზე ორიენტირებული ორგანიზაციაა** — როგორც პოლიტიკური ძალა, **იმდენად არის დეგრადირებული,** რომ აღარ უნდა გაითვალისწინო.

„პალიტრანიუსი“



**არმაზ ახვლედიანი**

*ოპოზიციონერი პარლამენტარი*

**სააკაშვილის** გადარჩენა მესამე ფლანგზე გადავა, თუ დასავლურ ორბიტას მოვწყდებით. **საქართველოს უმთავრესი გასაჭირი** დღეს არის კანდიდატის სტატუსის საკითხი.

„პალიტრანიუსი“

*ნაციონალებს ახალი ბელადი ჰყავთ — მერაბიშვილ-კეზერაშვილის ხელისბიჭი ხაბეიშვილი, რომლის არჩევასაც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. დადგა თუ არა ქვეყანა დესტაბილიზაციის საშიშროების წინაშე და, ზოგადად, რა პოლიტიკურ მოცემულობაში ვართ დღეს? — ამის შესახებ პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი* ***რამაზ საყვარელიძე*** *გვესაუბრება:*

**რამაზ საყვარელიძე:**

# ხაბეიშვილის ნაციონალების თავმჯდომარედ არჩევით უფრო მეტად გამყარდა „ქართული ოცნების“ პოზიცია!






**„თუ მან დესტაბილიზაცია მოაწყო, რუსეთის ბუნებრივი პარტნიორი გახდება!“**

**„ნაციონალური მოძრაობის მომხრეებიდან უკვე ბევრს რცხვენია იმის გამხელა, რომ ამ პარტიას უჭერს მხარს!“**

— ნაცების ახალი თავმჯდომარის ეგრეთ წოდებულმა არჩევნებმა ერთი რამ დაგვანახა — ნაციონალური მოძრაობა აღარ არის განსაკუთრებული პარტია! 2020 წელს თუ 20 პროცენტი ჰქონდა მხარდაჭერა, დღეს რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, 2 პროცენტზე მეტს ვერ აიღებს, ანუ დაახლოებით 10-ჯერ შემცირდა ამომრჩეველთა რიცხვი, რისი მიზეზიც **აკვიატებული რადიკალიზმია!** სავარაუდოდ, ცოტა ხანში ეს 2-პროცენტიანი მხარდაჭერაც აღარ ექნებათ, რადგან მათ სათავეში უარესი რადიკალი მოვიდა. **ნაციონალური მოძრაობის მომხრეებიდან უკვე ბევრს რცხვენია იმის გამხელა, რომ ამ პარტიას უჭერს მხარს.**

სამაგიეროდ, ხაბეიშვილის ნაციონალების თავმჯდომარედ არჩევით უფრო მეტად გამყარდა „ქართული ოცნების“ პოზიცია. მართალია, სააკაშვილის სახით მოაკლდა საფრთხობელა, მაგრამ მის ნაცვლად გაჩნდა ორი ფიგურა — **მერაბიშვილი და კეზერაშვილი,** რომელთა გაძლიერებაც ქართულ პოლიტიკურ ოლიმპზე მოსახლეობისთვის კიდევ უფრო დაუშვებელია.

**— რატომ?**

— 2008 წლის შემდეგ ისმის ვერსია, რომ ვანო მერაბიშვილი რუსეთთან არის შეკრული. ვის აწყობს დღეს დესტაბილიზაცია საქართველოში? რუსეთს, რადგან ჩინეთიდან და ინდოეთიდან წამოსული ტვირთები, რაც ადრე რუსეთზე გადიოდა, ახლა საქართველოზე და აზერბაიჯანზე გადის. ცხადია, რუსეთის ინტერესებში შედის კავკასიის გზაზე ფეთქებადი სიტუაცია, რომ ჩინეთმა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებმა ისევ რუსეთთან თანამშრომლობაზე იფიქრონ. გარდა ამისა, ქვეყანა, სადაც სტაბილური სიტუაცია არ არის, როგორც წესი, არალეგალური ტვირთების ტრანზიტი ხდება. კეზერაშვილზე ევროპაშიც არის ეჭვები, რომ მას არალეგალური ტვირთების ბიზნესი აქვს.

**— გამოდის, ხაბეიშვილის არჩევით, არამხოლოდ კეზერაშვილ-მერაბიშვილის, არამედ რუსეთის საქმეც გაკეთდა?**

## „მერაბიშვილ-კეზერაშვილის გამარჯვებით დესტაბილიზაციის საფრთხემ კიდევ უფრო მოიმატა!“

— დარწმუნებული ვარ, ნაციონალების დღევანდელი ლიდერი რუსეთის აგენტი არ არის, არცერთი სპეცსამსახური არ დახარჯავს მასზე ფულს, მაგრამ, თუ მან დესტაბილიზაცია მოაწყო, რუსეთის ბუნებრივი პარტნიორი გახდება.

**ღმერთმა შემინდოს თუ ვცდები, მაგრამ ეს ჯგუფი, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით, „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეა, მის თამაშს თამაშობს!** ბოლოს და ბოლოს, სააკაშვილს ბიძა ჰყავს უშიშროების მაღალჩინოსანი. საერთოდ, რაღაზე ვლაპარაკობთ?! 2008 წლის ომი რუსეთისთვის საჩუქარი იყო! ასე რომ, **მერაბიშვილ-კეზერაშვილის გამარჯვებით დესტაბილიზაციის საფრთხემ კიდევ უფრო მოიმატა.**

**— რას ფიქრობთ მათ მიერ დაანონსებულ აქციაზე — შეძლებენ 24 თებერვალს ქვეყანაში არეულობის გამოწვევას?**

— არა მგონია, ამ აქციამ დიდი მასშტაბები შეიძინოს, რადგან კიდევ უფრო ცოტანი იქნებიან, თუმცა, დესტაბილიზაციის გამოწვევის ბევრი ფორმა არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი უკვე იყო ნახსენები — **უკრაინაში მებრძოლი ბიჭები იარაღით მოვლენ და წესრიგს დაამყარებენო.** უკრაინაში მებრძოლი ქართველები უმეტესად დაქირავებულნი არიან. არ არის გამორიცხული, ასეთი დაქირავებული რაზმები საქართველოშიც შექმნან პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად. ფინანსური კუთხით მათ არ უჭირთ.

დღეს თუ ვინმეს აწყობს ქვეყანაში არეულობა, მათ შორის, სააკაშვილის პოლიტიკურად დასამარება, ეს მერაბიშვილ-კეზერაშვილის ჯგუფია! სამწუხაროა, რომ სააკაშვილი მისმა ახლობლებმაც გაიმეტეს დემენციისთვის.

**— თქვენ არ ფიქრობთ, რომ სააკაშვილს დემენცია აქვს?**

— კამო გერმანიის ციხეში რომ ჩასვეს, გადაწყვიტა, ექიმები დაერწმუნებინა, რომ ფსიქიკურად შეურაცხადი იყო და დემენცია ჰქონდა. ისეთ რამეს ჭამდა, რის მიმართაც ზიზღის გრძნობა უნდა ჰქონოდა. როგორც წესი, ამ დაავადების მქონე ადამიანებს ზიზღის გრძნობა უქრებათ. გერმანელმა ექიმებმა მართლაც დაიჯერეს, რომ ის ავად იყო. ხომ არ გეცნობათ ეს სურათი? მაგ უბედურს დემენცია არა აქვს და სიმულანტობს. რა განცხადებებსაც სააკაშვილი აკეთებს, ეს დემენციანი ადამიანის განცხადებებს არ ჰგავს!

**— მაგრამ ამას ხომ უცხოელი ექსპერტები ადასტურებენ?!**

— **უცხოელობა არ არის გარანტია იმისა, რომ ანაზღაურების ფასად დაკვეთას არ შეასრულებენ.** თუ ევროკავშირშია კორუფცია, ფსიქიატრებში, ექიმებში რატომ არ შეიძლება იყოს?! ნაციონალებიც მშვენივრად ხვდებიან, რომ ამ დიაგნოზზე პედალირებით სააკაშვილს პოლიტიკურად კლავენ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, კეზერაშვილ-მერაბიშვილის ჯგუფს აწყობს მისი პოლიტიკური სიკვდილი.

**— ის ხომ ფაქტია, რომ 68 კილოგრამს იწონის?**

— თუ არ შეჭამს, კიდევ უფრო გახდება. და, საერთოდ, თუ ადამიანმა შეიქმნა ფსიქოლოგიური განწყობა შიმშილობისთვის, მერე რომც მოუნდეს ჭამა, საკვებს ვეღარ მიიღებს, გულისრევა დაეწყება. ამას როგორც ფსიქოლოგი გეუბნებით. ვფიქრობ, მას როგორც ანორექტიკს, უნდა უმკურნალონ!

**— როგორც ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილის მრჩეველი, რას ურჩევთ ქვეყნის ამჟამინდელ მეთაურს ირაკლი ღარიბაშვილს?**

— გაიხსნას თაროზე შემოდებული საქმეები, დაწყებული შეპირებული დავითგარეჯით, დამთავრებული იმ საქმეებით, რომლებიც თქვენს კითხვებსაც გასცემს პასუხს, მაგალითად, რა პროცესებშია გარეული მერაბიშვილი და ა.შ. **ხელისუფლება ვალდებულია, ამ ქვეყნის მოქალაქეებს შეუქმნას განცდა, რომ სახელმწიფოში ცხოვრობენ!** კიდევ ერთხელ ვამბობ, ქვეყანაში დიდია დესტაბილიზაციის საშიშროება და განსაკუთრებული მობილიზება სჭირდება ხელისუფლებას!

## „ეს ჯგუფი, მიხეილ სააკაშვილის ჩათვლით, „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული რუსეთის ბუნებრივი მოკავშირეა, მის თამაშს თამაშობს!“

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**მეგი გოცირიძე**
*სააკაშვილის მხარდამჭერი*



როგორ და ვის გამოა, რომ **10 წელი დასრულებით გვემუქრება „ოცნება“,** ვერ დაგვასრულა და **10 წელია, დასრულებით ვემუქრებით „ოცნებას“** და ვერ დავასრულეთ? ერთმანეთი ვაცოცხლეთ და ქვეყანა გადავაყოლეთ! ერთმანეთი რატომ ვაცოცხლეთ? იმიტომ, რომ ერთნაირები ვართ!

„ალია“

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი*



**ეს პარტია უნდა დაიშალოს!** ნაციონალურ მოძრაობას ცოდვებმა უწია. **სააკაშვილიც პრორუსია,** მანაც რუსული სტილის სახელმწიფო ააშენა — სამართლიანი მართლმსაჯულება ჰქონდა, ობიექტური სასამართლო თუ დემოკრატია?! **რით განსხვავდებოდა პუტინის რუსეთის პრინციპებისგან ის, რასაც სააკაშვილი აკეთებდა?!** აქედან გამომდინარე, ან ყველას რუსეთუმე უნდა ვუძახოთ, ან უკეთესი საბაბი უნდა მოვიგონოთ ურთიერთბრალდებებისთვის.

„კვირის პალიტრა“

**ანა ნაცვლიშვილი**
*პარტია „ლელოს“ წევრი*



ნაციონალურ მოძრაობაში **გაიმარჯვა წარსულმა და არა — მომავალმა,** ვერ ვხედავ თანამშრომლობის მიზანს პარტიასთან, რომელიც წარსულში ბრუნდება.

„პირველი არხი“

**ნონა მამულაშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობის კანდიდატი*



არჩევნების შედეგები არ მაძლევს ქვეყნისთვის საჭირო პროცესის დაწყების იმედს, **ფულმა და არაფორმალურმა გავლენებმა გაიმარჯვა** პოლიტიკაზე.

„პირველი არხი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, **ასე იდეალურად უხდებიან ერთმანეთს** ნაციონალური მოძრაობა და მისი თავმჯდომარე.

„პირველი არხი“

***„საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს ციხეში აწამებენ!“ — ასეთმა ცრუ ინფორმაციამ კვლავ მოიარა მსოფლიო, ხოლო უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბრიფინგზე „ნაწამები“, სინამდვილეში კი, გახდომის მიზნით კუჭის დაპატარავების ოპერაციის შედეგად ოდნავ შეფერთხილი და საავადმყოფოს ვიპ-პალატაში წამოპლაკული თაღლითის ფოტოები ააფრიალა. სააკაშვილი აშარჟებს ცნებას „წამება“, როცა საკუთარ თავს წამებულად იხსენიებს. ქართველმა საზოგადოებამ კი კარგად იცის ამ ცნების მნიშვნელობა, რადგან ამ ნაძირალას ციხეებში საკუთარ თავზე გამოსცადა! დღეს პატიმრების წამების ნაკლებად ცნობილი ფაქტების შესახებ გიამბობთ, რომლებიც რეჟიმის პირობებში სახალხო დამცველის იმდროინდელმა, სოზარ სუბარისეულმა აპარატმა აღმოაჩინა, თუმცა, არც ამ სისასტიკის ჩამდენთა უმრავლესობას და არც დამკვეთს პასუხი არ უგიათ:***



# პატიმარო სააკაშვილო! ეს წაიკითხე და გაიხსენე, რა მდგომარეობაში ამყოფებდი პატიმრებს!

● **ქუთაისის №-2 საპყრობილეში 2005 წლის 20 დეკემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმი შეიჭრა.** ასზე მეტმა პატიმარმა სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო. პატიმარი **მალხაზ სერგინავა** მოგვიანებით დაიღუპა. გამოძიებამ დაადგინა, რომ სპეცდანიშნულების რაზმი ახორციელებდა კანონით მინიჭებულ უფლებას პატიმართა ჯგუფის უკანონო ქმედების აღსაკვეთად და აქედან გამომდინარე, უარი ეთქვა სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრაზე.

● **ბათუმის №3 საპყრობილეში 2006 წლის 24 იანვარს ჩხრეკა-დათვალიერება ჩატარდა.** სპეცრაზმელები პატიმრებს ურტყამდნენ დერეფანში ისე, რომ მათი მხრიდან წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. წინასწარი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ დაწყებულა.

● **მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2006 წლის 15 აგვისტოს სასტიკად სცემეს პატიმარი გიორგი მიქიაშვილი.** პატიმარს სხეულის სხვადასხვა ნაწილზე აღენიშნებოდა სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები; ასევე შუბლის ძვლის მარჯვენა მიდამოში, თავის თმოვან ნაწილში აღენიშნებოდა ტრავმის შედეგად განვითარებული ბორცვისებური წარმონაქმნები.

● **რუსთავის №6 საპყრობილის კარცერში 2006 წლის 13-15 სექტემბერს და 28 ოქტომბერს სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფმა შიშველი პატიმრები — გენადი წურწუმია, იმედა ბუთხუზი, ბადრი ქეცბაია, ვაჟა გეგენავა, რუდიკ ოვაკინიანი აღმოაჩინა.** პატიმრებმა განაცხადეს, რომ ციხის ადმინისტრაციამ კარცერში ჩამწყვდევისას მათ ტანსაცმლის გახდა დამცირების მიზნით აიძულეს. ამ დანაშაულის ჩამდენი არცერთი პირი პასუხისგებაში არ მიუციათ.

● **რუსთავის მე-16 დაწესებულებაში 2010 წლის 1 ივნისს საერთო და მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების ახალი კორპუსი გახსნეს, რომელშიც პატიმრები ფიზიკური ძალის გამოყენებით და ცემა-ტყეპით გადაიყვანეს. ეს ფაქტი რეაგირების გარეშე დარჩა.**

● **მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 2010 წლის 20 ივნისს მსჯავრდებულ მ.წ.-ს ფიზიკურად გაუსწორდნენ.** მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები: შუბლის ზედა მარცხენა მხარეს ნაჭდევი, მარჯვენა წარბის ზემოთ ზოლების სახით სამი ნაჭდევი, მარჯვენა და მარცხენა თვალბუდის არეში ჰემატომები, მარჯვენა და მარცხენა თვალბუდის ქვემოთ ნახეთქი ჭრილობა, ცხვირზე ნაჭდევები და შესიება, მარჯვენა და მარცხენა მკლავის ზედა ადგილებში გვერდიდან და უკანა მხრიდან ჰემატომები. გამოძიებამ „ვერ დაადგინა“ იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც მ.წ.-ს მიმართ განახორციელეს უკანონო ქმედებები.

● მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში სახალხო დამცველის მონიტორინგების შედეგად ჩამოყალიბდა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, **„მსჯავრდებულები ხშირ შემთხვევაში ერიდებიან წერილობით დადასტურებას და ფაქტების გასაჯაროებას. ბევრი მათგანი აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაშიც კი აღარ სურს სამკურნალო დაწესებულებაში დაბრუნება იქ არსებული ზედმეტად მკაცრი რეჟიმის გამო. ხშირ შემთხვევაში პატიმრები საკუთარი განცხადებით ტოვებენ სამკურნალო დაწესებულებას, ადმინისტრაციის აგრესიულ დამოკიდებულებას იწვევს პატიმრების საჩივრები ევროპის სასამართლოში, რის გამოც ავადმყოფ პატიმრებს „სამშობლოს მოღალატეს“ და „ინტრიგანს“ უწოდებენ. იყო შემთხვევები, როდესაც პატიმრები მორგში ჩაიყვანეს და სცემეს“.**

● **გეგუთის №8 დაწესებულებაში 2010 წლის 26 თებერვალს კარცერში გამომწყვდეული პატიმარი გიორგი კვანტრიშვილი გარდაიცვალა.** წამების შედეგად ადამიანის დაღუპვის გამო პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. პატიმრების მშვიდობიანი პროტესტის აღკვეთის მიზნით 28 თებერვალს კოლონიაში საღამოს საათებში სწრაფი რეაგირების სპეციალური დანიშნულების რაზმი შევიდა. მოშიმშილე პატიმრებს ატარებდნენ სპეცრაზმელთა ე.წ. „კორიდორში“, რა დროსაც მათ დაუნდობლად სცემდნენ.

● **ქსნის მე-15 დაწესებულებაში 2010 წლის 19 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმი შეიჭრა.** მსჯავრდებულები გაატარეს სპეცრაზმელთა მიერ მოწყობილ „კორიდორში“, რა დროსაც სცემდნენ ხელკეტებით. შემდეგ პატიმრები შეაბრუნეს კედლისკენ, გააშიშვლეს და გააგრძელეს მათი ცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა. პატიმრების წამებაში მონაწილეობდნენ **დაწესებულების დირექტორის მოადგილე გიორგი კოხრეიძე** და **რეჟიმის უფროსი ლევან ლეჟავა.** ფაქტიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მსჯავრდებულები გადაიყვანეს №6 რუსთავის ციხეში და მათი წამება იქ გაგრძელდა.

● **ქსნის მე-15 დაწესებულებაში განთავსებული 161 მსჯავრდებულის კოლექტიური განცხადების თანახმად,** 2010 წლის 1 ოქტომბერს დაწესებულების თანამშრომლები **ქიტესა გულისაშვილი, ლევან ლეჟავა, გელა იოსავა, ვინმე ლექსო, კახა, ნიკა და ლევანი** — კოლონიაში შესახლებისას მსჯავრდებულებს აყენებდნენ მუხლებზე, აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში სცემდნენ, ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, კარცერში მოთავსებასთან ერთად, მათ ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფდნენ. იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები გამოხატავდნენ სახალხო დამცველთან დაკავშირების სურვილს, რათა ინფორმაცია მიეწოდებინათ ფაქტების შესახებ, დაწესებულებაში ითიშებოდა ტელეფონები და ემუქრებოდნენ სასჯელის დამატებით. წინასწარი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ დაწყებულა.

● **ქსნის მე-15 დაწესებულებაში 2010 წლის 6 ოქტომბერს დაწესებულების თანამშრომლებმა სცემეს მსჯავრდებულები: შ.ფ.; ნ.ა.; ო.კ. და გ.მ. ლებაში შეყვანისას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ გადაპარსეს თავები.**

2010 წლის 24 სექტემბერს კი სცემეს მსჯავრდებულები **მ.ჭ. და კ.ფ.** მსჯავრდებულ **კ.ფ.**-ს ზურგზე, მარცხენა მხარეს აღენიშნებოდა დაახლოებით 10 სმ დიამეტრის სისხლნაჟღენთი, ასევე კისერსა და მთელ ზურგზე სისხლჩაქცევები, ორივე ზედა კიდურზე ნაჭდევები. მსჯავრდებული განმარტავდა, რომ აღნიშნული დაზიანებები მიიღო ქამრით ცემის შედეგად. მსჯავრდებულ **მ.ჭ.**-ს კისერთან და მარცხენა მხარეს, ზურგზე, აღენიშნებოდა მოწითალო ფერის სისხლჩაქცევები.

● **ქსნის მე-15 დაწესებულებაში 2010 წლის 30 სექტემბერს არასრულწლოვანთა დაწესებულებიდან გადმოყვანილ მსჯავრდებულებს: გ.ბ.-ს, ვ.ხ.-ს და ჯ.მ.-ს დაწესებულებაში შეყვანისას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ გადაპარსეს თავები.**

● **ქსნის მე-15 დაწესებულებაში 2010 წლის 16 დეკემბერს მსჯავრდებულებმა გ.ო.-მ და შ.ნ.-მ გამოაცხადეს შიმშილობა და ამოიკერეს პირი, ვინაიდან არ ეძლეოდათ მედიკამენტები.** მათ თანამშრომლებმა დაწესებულების დირექტორის კაბინეტში სცემეს, ძალის გამოყენებით გაუხსნეს ამოკერილი პირი. მსჯავრდებულ **შ.ნ.**-ს. გარეგნული დათვალიერებით აღენიშნებოდა ორივე ზედა კიდურზე და ზურგზე ექსკორიაციები, ტუჩების არეში — ნახვრეტი ჭრილობები. მსჯავრდებულ **გ.ო.**-ს აღენიშნებოდა ტუჩების არეში ნახვრეტი ჭრილობები. მარცხენა ზედა კიდურზე, შუბლსა და მაჯის არეში ექსკორიაციები და მარცხენა მკლავის იდაყვთან — სიყვითლე.

● **გლდანის მე-8 დაწესებულებაში 2011 წლის 5 სექტემბერს სცემეს პატიმარი მიხეილ ი. სამედიცინო ექსპერტთან შეხვედრისას, რომელსაც პატიმრის სხეულზე დაზიანებები უნდა აღეწერა,** მსჯავრდებულმა განაცხადა, რომ „არ ახსოვდა“, თუ რა ახსნა-განმარტება მისცა სახალხო დამცველის რწმუნებულს და მოითხოვა, რომ სახალხო დამცველის დახმარებას აღარ საჭიროებდა და მის ახსნა-განმარტებას რეაგირება არ მოჰყოლოდა (!!!). ამ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა (!).

● **ქუთაისის №2 დაწესებულებაში 2011 წლის 9 სექტემბერს მსჯავრდებულებმა დავით მ.-მ, გიორგი ს.-მ, გოგიტა ზ.-მ და იაკობ ხ.-მ წერილობით დაადასტურეს ფაქტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების რაზმის დაწესებულებაში შესვლისა და პატიმრების გარკვეული ნაწილის ცემის შესახებ,** რაშიც მონაწილეობდნენ დაწესებულების დირექტორი **დიმიტრი ჯიჯონაია,** სოციალური სამსახურის უფროსი **ირაკლი ჯიშკარიანი,** დაწესებულების თანამშრომლები: **რომან რობაქიძე, აჩიკო ტაბატაძე, მიშა გიგაური** და ვინმე **მამუკა.** წინასწარი გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ დაწყებულა. ამავე დღეს **გოგიტა ზ. და გიორგი ს.** გამოიყვანეს საკნიდან, ადმინისტრაციის თანამშრომელმა **რომან რობაქიძემ** დაუწყო ცემა, შემდეგ ცემით ჩაიყვანეს „ბოქსებში“, სადაც **შიშველ მდგომარეობაში 7 საათი გააჩერეს, აიძულებდნენ მუხლებზე დადგომას, რომან რობაქიძე** კი ხელს ურტყამდა თავში, რის შემდეგაც კვლავ ცემით გაატარეს ე.წ. „კორიდორში“.

● **ქუთაისის №2 დაწესებულებაში 2011 წლის 25 ივლისს ახმედ ა.-ს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მას შემდეგ, რაც შიმშილობა გამოაცხადა, როცა კანონით კუთვნილი გასეირნების მოთხოვნაზე უარი უთხრეს.** დაწესებულების თანამშრომლები ასევე შეეხნენ მის **ეთნიკურ წარმომავლობას** და ამ ნიადაგზეც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. აიძულებდნენ დაჩოქებას, რაზეც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა. მას კვლავ სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა ზურგის არეში დაახლოებით 10-15 სმ-ის სამი სისხლნაჟღენთი, გულმკერდისა და კისრის მიდამოებში მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები, ორივე ფეხის მუხლზე ფუფხით დაფარული ნაჭდევები, ორივე ხელის მაჯაზე ჰიპერემია და ნაჭდევი, შეშუპება თავის არეში, რაც სასამართლო ექსპერტიზით დადასტურდა.



● **ქუთაისის №2 დაწესებულებაში 2011 წლის 22 ივლისს პატიმარ შალვა ყ.-ს დაწესებულების სამორიგეო ნაწილში განთავსებისთანავე ცემა დაუწყო რამდენიმე თანამშრომელმა.** სცემდნენ წაქცეულ მდგომარეობაში და აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ცემის შემდეგ საკანში შეიყვანეს, სადაც ხელბორკილებით 2 დღე ამყოფეს. მას სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანებები აღმოაჩნდა: მარჯვენა თვალბუდის მარცხენა მიდამოში — სისხლნაჟღენთი, მარჯვენა თვალბუდის ქვედა მიდამოში — მოწითალო ფერის წერტილოვანი სისხლნაჟღენთი, მარჯვენა და მარცხენა მხრების მიდამოში — ექსკორიაციები, ზურგის მიდამოში — მრავლობითი ექსკორიაციები.

● **ქუთაისის №2 დაწესებულებაში სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგად გამჟღავნდა კოლექტიური დასჯის მეთოდები — ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია.** დაწესებულების საცხოვრებელ კორპუსზე მდებარე საკნებში ადმინის-

# ნაცთა რეჟიმის მიერ ადამიანების წამების გაუხმაურებელი ფაქტები, რომლებიც სულ უნდა გვახსოვდეს!





ტრაცია პატიმრებს აიძულებს მორიგეობის დაწესებას, ხოლო მორიგე პატიმარს თავისი მორიგეობის დროს პასუხი მოეთხოვება სხვა პატიმრების ქმედებებზეც. მორიგეობაზე უარის თქმა, თავის მხრივ, ფიზიკური შეურაცხყოფის ან დასჯის მიზეზი ხდება.

**სამარტოო საკნებში დამცირების მიზნით ყოველი დილის შემოწმებისას პატიმრებს გაშიშვლებას აიძულებენ. კარანტინის საკნის გაღებისას პატიმრები თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში დგებოდნენ სახით ფანჯრისკენ.** რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, რომ მათ დღეში დაახლოებით სამ-ოთხჯერ უწევდათ ამ მდგომარეობაში სარკმელთან განთავსება, რაც ზოგჯერ შესაძლოა, ნახევარი საათიც კი გაგრძელებულიყო. მათი თქმით, **საწოლიდან წამებში არ ან ვერწამოდგომის შემთხვევაში მათ დაწესებულების თანამშრომლები სჯიან.** პატიმართა ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ კარანტინში ყოფნისას დილის შემოწმებაზე მათ ადმინისტრაციის თანამშრომლები აყენებდნენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. დაწესებულებაში გამეფებულ შიშის სინდრომზე მეტყველებს, რომ პატიმრების თქმით, ისინი უკიდურესი საჭიროების შემთხვევაშიც კი ერიდებიან სამედიცინო დახმარების მოთხოვნას. ერთ-ერთი პატიმრის თქმით, იგი მანამ ერიდებოდა ექიმის დაძახებას, სანამ მდგომარეობა არ გაურთულდა და სასწრაფოდ საოპერაციო არ გახდა (!!!).

● **ზუგდიდის №4 დაწესებულებაში შესამჩნევი იყო პატიმართა დაძაბულობა საკნის კარის გაღების დროს: ყველა მათგანი სასწრაფოდ ზურგზე ხელებდაწყობილი დგებო- და ფანჯარასთან და ასეთივე მდგომარეობაში მონიტორინგის ჯგუფის შეკითხვებს პასუხობდა ერთხმად, რომ დაწესებულებაში ყველაფერი „იდეალურად“ იყო.** სახალხო დამცველმა იქ არსებული პირობების გამო ლიკვიდაციის რეკომენდაცია გასცა.

● **ქუთაისის №2 დაწესებულებაში 2011 წლის 31 ოქტომბერს პატიმარი მურმან კალანდია გარდაიცვალა. ის იყო ძალიან ცუდად, თუმცა, დაწესებულების ექიმმა მისცა მხოლოდ ვალიდოლი.** სხვა მსჯავრდებულმა მიმართა ექიმს, რომ კალანდია იყო უგონოდ და ესაჭიროებოდა დახმარება, რაზეც ექიმმა მისცა „რჩევა“ — **„გაულაწუნე და გამოფხიზლდება, ტუზმა ასე იცისო“.** მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ **მურმან კალანდია** ცოტა ხანში გარდაიცვალა. აღნიშნულს ადასტურებენ მსჯავრდებულები **შ. კ. და გ. ო.** სახალხო დამცველის განცხადების თანახმად, მურმან კალანდიას მდგომარეობაში მყოფი პირისთვის „ბოქსის“ პირობებში ყოფნა აბსოლუტურად დაუშვებელი იყო, რის შედეგადაც ლეტალური შედეგი დადგა. გამოძიებით დადგინდა, რომ „მსჯავრდებულ მურმან კ.-ს სიკვდილის უშუალო გამომწვევი მიზეზი არის ტუბერკულოზური ინტოქსიკაცია, განვითარებული ფილტვების ორმხრივი ტუბერკულოზის შედეგად და მისი გარდაცვალების ფაქტი დაკავშირებული არ არის სხვა პირის ბრალეულ ან არამართლზომიერ ქმედებასთან“. გამოძიება შეწყდა „სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის“ (!!!) საფუძველზე.

● **№18 სამკურნალო დაწესებულებაში 2011 წლის 30 მაისს მსჯავრდებული მ.ს. სცემეს და სასჯელის დამატებით დაემუქრნენ იმის გამო, რომ მან ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს სარჩელით მიმართა.** ადმინისტრაციის თანამშრომლები უწოდებდნენ „ინტრიგანს“ და „საქართველოს მოღალატეს“, არ აძლევდნენ მედიკამენტებს და უზღუდავდნენ ტელეფონით, გასეირნების და აბანოთი სარგებლობის უფლებას. ჩამოართვეს საწერი კალამი და ფანქარი.

● **2011 წლის 1 დეკემბერს სცემეს და შეურაცხყოფა მიაყენეს პატიმარ გიორგი ონიანს,** დაემუქრნენ დაინვალიდებით იმის გამო, რომ მან ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სარჩელით მიმართა.

● **2011 წლის 28 ნოემბერს მსჯავრდებული კახაბერ ბ. ჩაიყვანეს დაწესებულების მორგში და სასტიკად სცემეს. თანამშრომელი გიორგი ავსაჯანიშვილი მას დაემუქრა გაუპატიურებით.** შემდეგ იგი დაახლოებით 30-40 წუთის მანძილზე ხელებზე ბორკილდადებული მუცლით იწვა მორგის იატაკზე. მოგვიანებით **გ. ავსაჯანიშვილმა** მუქარითა და გინებით დააწერინა, რომ დაზიანებები, რომლებიც მსჯავრდებულს აღენიშნებოდა, მან თავად მიიყენა და რომ №18 დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიმართ პრეტენზია არ გააჩნდა.

● **თბილისის №7 დაწესებულებაში 2011 წლის 16 მარტს პატიმარ გაიოზ ზ.-ს მოსთხოვეს, ხელი მოეწერა რაღაც დოკუმენტზე, რაზეც პატიმარმა უარი განაცხადა.** ამის გამო მას სცემეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. პატიმარს დაუდგინდა დაზიანებები: ზედა ტუჩის მარჯვენა ნაწილში — მცირე ზომის სისხლნაჟღენთი, მარცხენა ყბის არეში — შეშუპება, შუბლის არეში მარჯვენა მხარეს — ექსკორიაცია, მარცხენა თვალბუდის არეში — სისხლნაჟღენთი. პატიმარი უჩიოდა თავბრუხვევას, პირღებინების შეგრძნებას, სიმძიმის შეგრძნებას თავის არეში, განსაკუთრებით თავის მარცხენა ნაწილში, მოვლით ტკივილებს თავში. მას უჭირდა მარცხენა თვალის სრულყოფილად გახელა, დარღვეული ჰქონდა კოორდინაცია, რის გამოც ექმნებოდა პრობლემები გადაადგილებისას.

● **მე-15 დაწესებულებაში 2011 წლის 12 აგვისტოს პატიმარ ნუგზარ თ.-ს სცემეს დაწესებულების თანამშრომლებმა, თან დაემუქრნენ, რომ, თუ არ გამოიტანდა მის მიერ დაწერილ ყველა საჩივარს, მოხდებოდა მისი ლიკვიდაცია.** 2011 წლის 23 და 24 ოქტომბერს მას კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდებულს გარეგნული დათვალიერებით აღენიშნებოდა მარჯვენა ბარძაყის არეში დიდი ზომის სისხლჩაქცევა და ექსკორიაციები, მარცხენა ფეხზე — ექსკორიაციები, მარცხენა მკლავზე — სისხლჩაქცევა, ბეჭებზე და მარჯვენა მკლავზე — ექსკორიაციები.

● **გლდანის №8 დაწესებულებაში, სახალხო დამცველის დასკვნის თანახმად, რთული მდგომარეობაა. პატიმრები მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის წერილობითი დადასტურებისგან თავს იკავებენ, თუმცა, დაწვრილებით ყვებიან მათ ან სხვა პატიმრების მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.** ყველაზე ხშირად სახელდებოდა ვინმე **„ანზო“, „ხონსკი“,** ქერა, ცისფერთვალება თანამშრომელი **ვინმე ოლეგი** (სარეჟიმო განყოფილების უფროსი **ოლეგ ფაცაცია**). დაწესებულებაში პატიმრების მიმართ მოქმედებს განსაკუთრებული წესები: **პატიმრებს დღის განმავლობაში აღარც საწოლის პირველ სართულზე წამოწოლის უფლება აქვთ, ასევე არა აქვთ უფლება, საკანში მოწიონ სიგარეტი, რის გამოც ისინი რიგრიგობით ეწევიან საპირფარეშოში, აუცილებელია, ყველა პატიმარმა ყოველ დილით გაიპარსოს წვერი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია, ისინი დაისაჯონ.** როგორ ცუდადაც არ უნდა იყოს პატიმარი ექიმთან გასვლის დროს, მან ხელები ზურგზე უნდა დაიწყოს და სირბილით გადაადგილდეს. დაწესებულებაში შესვლისას მათ აიძულებენ, შეიჭრან თმა ძალიან მოკლედ და რადგანაც დაწესებულებაში არ არის ხელმისაწვდომი საპარიკმახერო მომსახურება, უმეტეს შემთხვევაში, იძულებულნი არიან, სამართებლით გადაიპარსონ თავი. მონიტორინგების შედეგად გაირკვა, რომ დღის განმავლობაში მათ არ ჰქონდათ ძილის უფლება, ეკრძალებოდათ ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე წამოწოლაც კი. მიუხედავად აუტანელი სიცხისა, მათ არა აქვთ უფლება, საკანში ყოფნის დროს გაეხადათ მაისური, მოესმინათ რადიოსთვის საშუალო ხმაზე მაინც და ეთამაშათ ნარდი ისე, რომ კამათელი გაეგორებინათ ხის დაფაზე, ვინაიდან, ადმინისტრაციის აზრით, ეს იწვევდა ზედმეტ ხმაურს, რაც დასჯის მიზეზი ხდებოდა. შთამბეჭდავი იყო ის ფაქტიც, რომ გლდანის დაწესებულებაში, რომელიც 3500 კაცზე მეტს იტევს, საოცარი სიჩუმე იდგა, რამაც ასევე მიიპყრო წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ყურადღება 2010 წელს განხორციელებული ვიზიტის დროს.

● **ქუთაისის №2, ასევე გლდანის №8 დაწესებულებებში გამოიყენება კოლექტიური დასჯის მეთოდები: ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯება მთელი საკანი, რაც ადმინისტრაციისთვის ზეწოლის დამატებითი მექანიზმია — პატიმარი თავისი ქმედებებით პასუხისმგებელი ხდება თავისი თანასაკნელების მიმართ და ამავე დროს პასუხს აგებს თანასაკნელების მიერ ჩადენილ გადაცდომებზეც.** პატიმრები აცხადებდნენ, რომ ზემოაღნიშნული უმკაცრესი წესების ელემენტარული დარღვევის შემთხვევაშიც კი ისინი სასტიკად ისჯებოდნენ — მათ ან სცემდნენ, ან დასჯის მიზნით გადაჰყავდათ დაწესებულების კარანტინში, რაც ასევე უკანონოა, რადგან საკარანტინე საკანი არ არის დასჯისთვის განკუთვნილი, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების კარანტინში განსაკუთრებით აუტანელი პირობები იყო, დასჯის ეს მეთოდი რეგულარულად გამოიყენებოდა. პატიმრების ნაწილი აღნიშნავს, რომ საკუთარი სურვილით აცხადებს უარს სეირნობაზე და 24 საათს ატარებს საკანში, ვინაიდან პატიმრებს აიძულებენ, სირბილით გადაადგილდნენ სასეირნო ეზომდე და ნებისმიერი შეფერხება თანამშრომლების მხრიდან შეურაცხყოფის, უხეშობისა და დამცირების მიზეზი ხდება. გარდა ამისა, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ნევროლოგიური პრობლემების მქონე პატიმარი, რომელსაც გადაადგილება ძალიან უჭირდა, არ დადიოდა სასეირნოდ, რა მიზეზითაც, იმის გამო, რომ ერთი კაცის დარჩენა საკანში აკრძალულია, მთელი საკანი მოკლებული იყო სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობას.

● **გლდანის №8 დაწესებულებაში სახალხო დამცველის დასკვნის თანახმად, მოქმედებს არაერთი წესი და მოთხოვნა, რასაც „პატიმრობის შესახებ“ კოდექსი არ ითვალისწინებს და სრულიად უკანონოა, თუმცა, პატიმრები ხმის ამოუღებლად უნდა დაემორჩილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დასჯიან:**

**1.** დღის ნებისმიერ დროს, როდესაც დაწესებულების თანამშრომელი შემოიხედავს კარის სათვალთვალოში, პატიმრებმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საქმიანობა, ადგნენ ფეხზე სახით კარისკენ.

**2.** თუ კარი გაიღო, უნდა დადგნენ მწკრივში სახით კედლისკენ.

**3.** შემოწმების წინ ზედმიწევნით უნდა დაალაგონ საკანი ისე, რომ არანაირი ნივთი ან ტანსაცმელი არ იდოს არც ტუმბოზე და არც საწოლზე, კარის გაღებისთანავე უნდა დადგნენ მწკრივში, ამჯერად — სახით კარისკენ და პირველმა მათგანმა ხელში უნდა დაიჭიროს ნაგვის პარკი.

**4.** რადიოს უსმენენ მაქსიმალურად დაბალ ხმაზე, ერიდებიან ნორმალურ ხმაზე ლაპარაკს ან სიცილს, ვინაიდან ნებისმიერი ხმა, რომელიც საკნიდან გავა, აღიქმება ხმაურად და გამოიწვევს მათ დასჯას.

ამის დასტური 500-ზე მეტი ჩანაწერია სამარტოო საკნის (კარცერი) ჟურნალში, რომელშიც გადაცდომის სახედ ყველგან მითითებულია „ხმაური საკანში“.

**5.** პატიმრებს ნებადართული აქვთ ტანსაცმლის გარეცხვა საკანში, თუმცა, არა გაშრობა, რის გამოც ისინი ტანსაცმელს აშრობენ ღამით, ხოლო დღის განმავლობაში ნახევრად სველს მალავენ ტუმბოებში.

**6.** პატიმრებს აკრძალული აქვთ კარებზე დაკაკუნება, მორიგის გამოსაძახებელი ზარი არ მუშაობს და არც არასოდეს უმუშავია, რის გამოც გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესი გაუარესების გამო, პატიმრები იძულებული არიან, კართან „ჩაუსაფრდნენ“ კონტროლიორს და ჩავლისას ხმადაბლა უხმონ.

**7.** თუ კონტროლიორმა გააღო საკნის კარის სარკმელი და უხმო რომელიმე პატიმარს, იგი ასახელებს გვარს, ხოლო კართან მისული პატიმარი პასუხობს თავისი სახელისა და მამის სახელის დასახელებით. როგორც ქუთაისის, ასევე გლდანის დაწესებულებაში მოქმედებს „მორიგეობის“ სისტემა, რაც, საბოლოო ჯამში, უტოლდება ერთი პატიმრის პასუხისმგებლობას სხვის მიერ ჩადენილ ნებისმიერ გადაცდომაზე.

**8.** 22 სთ-ზე, სინათლის ჩაქრობის შემდეგ, აკრძალულია ფეხზე დარჩენა და ნებისმიერი გადალაპარაკება. საუბარიც ზედმეტია წიგნის წაკითხვაზე ან სხვა რაიმე, თუნდაც უხმაურო აქტივობაზე.

## ბოლოთქმა

ადამიანების წამების აქ ჩამოთვლილი უტყუარი ფაქტების გამო სისხლიანი რეჟიმის ჩამოშლის შემდეგ იშვიათ შემთხვევებში **პასუხისმგებლობა დაეკისრათ მხოლოდ პატიმრების წამებაში უშუალოდ მონაწილე თანამშრომლებს,** ხოლო **შენთვის, ამ სასტიკი რეჟიმის დამფუძნებელო სააკაშვილო — პასუხი ჯერ არ მოუთხოვიათ!** ალბათ, ამ გარემოების შედეგია, რომ მსოფლიოს კეთილი ნების საზოგადოება უტიფრად შეგყავს ცდომილებაში, როდესაც საკუთარ თავს წამების მსხვერპლად მოიხსენიებ, მაგრამ ასე დიდხანს ვერ გაგრძელდება და ბუნებაში არსებული კანონზომიერების თანახმად, აუცილებლად მოგიწევს ზღო ყველა იმ ბოროტების გამო, რაც შენმა შექმნილმა რეჟიმმა ადამიანებს მოუტანა!

*მოამზადა* ***ზაზა დავითაია***

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მას შემდეგ, რაც **სააკაშვილმა** აღიარა, როგორ აფინანსებდა სოროსი „ვარდების რევოლუციას“ საზღვარზე გადმოტანილი კონტრაბანდული „შავი ფულით“, იმასაც იხსენებს, როგორ შეჯდა ნაცრევოლუციური ხელისუფლება სოროსის დაფინანსებულ ხელფასებზე:

***„როდესაც „ვარდების რევოლუციამ“ გაიმარჯვა, სოროსს შევხვდით დავოსში. რა თქმა უნდა, ძალიან თბილად მოგვიკითხა, მოგვილოცა გამარჯვება.***

***სოროსმა შეგვახვედრა გაეროს განვითარების ფონდის თავმჯდომარე მალკოლმ ბრაუნს და შესთავაზა მას, გამოეყოთ ფული საქართველოს მთავრობის თანამშრომლებისთვის ხელფასების გასაცემად. სოროსმა უთხრა, რომ ის ჩადებდა თვითონ პირველ ორ მილიონს და მოუწოდა, „ივენტიბის“, ჩაედო დანარჩენი, 10-ჯერ მეტი. მალკოლმ ბრაუნმა ეს შეასრულა და ჩვენ მივიღეთ პირველი 22 მილიონი დოლარი ჩვენი ჩინოვნიკების ხელფასებისთვის“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 326).*

ამის შემდეგ მემუარისტი სოროსისადმი აშკარად უკმაყოფილო ტონით იწყებს თავის მართლებას, აქაოდა, მთლად **სოროსი** კი არ გვიხდიდა ხელფასებსო:

***„რა თქმა უნდა, ეს სოროსის ინიციატივა იყო, მაგრამ მისი ფული აქ იყო მხოლოდ 10%, თუმცა, მან მთელ მსოფლიოს მოსდო, რომ სწორედ ის აფინანსებდა და ის უხდიდა ხელფასებს საქართველოს მთავრობის წევრებს და შემდეგ იგივე გაიმეორა პუტინმა მრავალგზის, თავის გამოსვლებში. სოროსი არ უარყოფდა ამას და მგონი სიამოვნებდა კიდეც, რომ პუტინი მასზე ამდენს ლაპარაკობდა“*** *(იქვე, გვ. 326).*

სოროსმა რატომაც მოსდო მსოფლიოს, სააკაშვილის მთავრობას ხელფასებს მე ვუხდიო, ეს გასაგებია — ამით ის თავის ძლევამოსილებას ამტკიცებდა — აი, მთელი საქართველოს ხელისუფლება ჯიბეში მიზისო! მაგრამ თავად სააკაშვილი რატომ იჯდა ჩუმად თავლაფდასხმული და რატომ არ განმარტავდა მთელი მსოფლიოს გასაგონად, სოროსი კი არა, გაეროს განვითარების ფონდი გვიხდის ხელფასებსო!

თუმცა, რა უნდა ეთქვა, როდესაც რევოლუციაც კი **სოროსმა** დაუფინანსა და ამიტომაც იყო გასუსული!

ამის შემდეგ **სააკაშვილი** იხსენებს, რომ იქვე, დავოსის ყოველწლიურ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, სოროსმა დაუფარავად დაიწყო საქართველოს ხელისუფლების საქმეებში ჩარევა:

***„ამ შეხვედრიდან ორ დღეში კიდევ მოითხოვა, შეგვხვედროდა და გვითხრა, დაუყოვნებლივ დაგვენებებინა თავი ბონდე ნილსენისთვის. ბონდე ნილსენი იყო დანიელი, რომელიც ასლან აბაშიძესთან ერთად კონტრაბანდულ ნავთობს ეზიდებოდა ბათუმის პორტიდან. ეს იყო მთლიანად შავი ოპერაცია და მას შემდეგ, რაც ასლანს ჩვენთან პრობლემები შეექმნა, ბუნებრივია, ბონდე ნილსენსაც შეექმნა პრობლემები ქართულ სახელმწიფოსთან და, ჩემდა გასაკვირად, მისი მხარდამჭერი აღმოჩნდა სწორედ სოროსი“*** *(იქვე, გვ. 327).*

მემუარისტი იქვე იხსენებს კიდევ ერთ შემთხვევას, როდესაც სოროსი კვლავ ჩაერია საქართველოს მთავრობის საქმეში:

***„მეორედ, დაახლოებით ორი თვის შემდეგ დავოსის შეხვედრიდან, მე ვიყავი ციურიხში, როცა სოროსმა დამირეკა და მითხრა — გავიგე, რომ აქ ხარ და მინდა შენთან ჩამოფრენაო. ასევე მითხრა, რომ რამდენიმე დღის წინ შეხვედრია ოქუაშვილს, „ომეგას“ დამფუძნებელს, რომელიც ძალიან მოსწონს და მისი მოთხოვნა იყო, რომ ოქუაშვილისთვის ყველანაირად შეგვეწყო ხელი და თავი დაგვენებებინა. მანამდე ოქუაშვილის მთავარი პარტნიორი იყო ჩვენთან დაპირისპირებული ასლან აბაშიძე“*** *(გვ. 327).*

ამის შემდეგ სააკაშვილი ყვება, როგორი გმირია, რადგან თვითონ **ჯორჯ სოროსს** არ დაემორჩილა:

***„ამგვარად, ნილსენის შემთხვევაში, ჩვენ ვერ შევეგუებოდით, რომ ბათუმის პორტში გაგრძელებულიყო ეს შავი ოპერაციები. ამგვარად, სოროსს ეგრევე მოვუჭერი უარი, ოქუაშვილის შემთხვევაში რამდენიმე თვე დასჭირდა მასთან ურთიერთობების დალაგებას და შემდეგ მასთან განაგრძო მუშაობა. მაგრამ სოროსისთვის ჩემი უარი წარმოუდგენელი იყო და მაშინ უკვე ჩვენზე ძალიან გაბრაზდა“*** *(იქვე, გვ. 327).*

ჰოდა, მემუარისტი დაუნანებლად ასხამს ტალახს ჯორჯ სოროსს:

***„დაახლოებით ამ დროიდან მან დაიწყო ლაპარაკი, რომ საქართველოში ის ძალა არ მოვიდა, რაც მას სურდა, რომ რეალურად საქართველოში არის კორუფცია. მე კიდევ სოროსის ქმედებებში დავინახე მისი პირადი ინტერესი და ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ ადამიანი, რომელიც მეგონა იდეალისტი, რომელსაც მხოლოდ მაღალი იდეალები აინტერესებდა და შესაბამისად მოქმედებდა, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი მის ფინანსურ მაქინაციებზე, იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა, როგორც ამბობდნენ, ბრიტანეთის ბანკის გატანა, ბრიტანეთის ფუნტის მკვეთრი დასუსტება ერთ დღეში და ამაზე ბევრი ფულის გაკეთება, აგრეთვე მალაიზიური ვალუტის დასუსტება, ყოველივე ამის მიუხედავად, მიმაჩნდა, რომ იყო სოროსის მეორე მხარეც, იდეალისტური, რომელსაც არასოდეს შეერეოდა ფინანსური ინტერესები. მაგრამ მას შემდეგ, რაც ის დაგვეხმარა ჩვენი საარჩევნო კამპანიის დროს, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ ჩვენც უნდა გაგვეთვალისწინებინა მისი ფინანსური ინტერესები, კერძოდ, ამ ორ ქართულ ეკონომიკურ სუბიექტთან დაკავშირებით და როდესაც ჩვენგან და პირადად ჩემგან ამაზე ცივი შხაპი მიიღო, იმ მომენტიდან ჩვენი ურთიერთობები მკვეთრად გაცივდა“*** *(იქვე, გვ. 327).*

დაბოლოს, სააკაშვილი ასე აჯამებს სოროსის თემას:

***„ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, სოროსი, რა თქმა უნდა, არის ძალიან საინტერესო ფიგურა. მას არც შევადარებ რუს ოლიგარქებს, მაგრამ წლების გადმოსახედიდან შემიძლია, ვთქვა, რომ ის არ არის ბოლომდე დადებითი ფიგურა, რადგან ეს არის ადამიანი, რომელიც, ყველა თავის ფილანთროპიულ აქტებთან ერთად, არ ივიწყებს თავის კომერციულ ინტერესებს და საეჭვო გარიგებებში მონაწილეობს. მას მტაცებლის ინსტინქტი ერთი წუთითაც არ უჩლუნგდება, რადგან საქმე ეხება შანსს, რომ დიდი მოგება ნახოს.***

***ამაში დავრწმუნდი საქართველოს მაგალითზე, დავრწმუნდი 2014 წლის შემდეგ, როდესაც ის ცდილობდა, იაცენიუკის მთავრობასთან ერთად ფული ეკეთებინა უკრაინაში“*** *(იქვე, გვ. 330).*

**გიორგი გიგაური**

**გაგრძელება იქნება**

## მიხეილ სააკაშვილი: სოროსმა მომთხოვა, თავი დაგვენებებინა ზაზა ოქუაშვილისთვის!



ზაზა ოქუაშვილი

49

## სააკაშვილმა ჯორჯ სოროსი მტაცებლობასა და ფინანსურ მაქინაციებში ამხილა!



## კვირგვინოსნები



**ვანო მთვრალაშვილი**
*„გლობალური სავაჭრო ჯგუფის“ ხელმძღვანელი*

საწვავის გაძვირება გამორიცხულია. **საწვავის გაიაფება და ლარის გამყარება** ბოლო თვეების განმავლობაში შეუქცევადად მიმდინარეობს და უახლოეს მომავალშიც გაგრძელდება.

„რეზონანსი“



**ირაკლი როსტომაშვილი**
*კომპანია „არხის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

გაიხსენეთ, **რამდენ ლიფტში ხართ ნამყოფი, ღილაკები რომ სიგარეტითაა ამომწვარი და სალეჭი რეზინებია მიკრული.** მაგას ვინ აკეთებს, მერიის თანამშრომლები? ისევ ისინი აკეთებენ, ვინც ლიფტით სარგებლობენ და მე გავურემონტო?! **ვიღაცა რომ თავის ლიფტს აფუჭებს, შიგნით შარდავს და ბლოკებს ეზიდება, ის ლიფტი რომ გაფუჭდება, მე გავურემონტო?**

„კვირის პალიტრა“



**ოთო აბესაძე**
*ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი*

საშუალოდ **30 პროცენტით გაძვირდება უძრავი ქონება** და, მათ შორის, ცხადია, ბინები. მიწა ყოველთვის გამოირჩევა ფასების მზარდი ტენდენციით. **სასოფლო თუ არასასოფლო დანიშნულების მიწები,** ყოველწლიურად, საშუალოდ, **10-15 პროცენტით** იზრდება. ამჯერად ეს ზრდა იქნება 30 პროცენტი.

„ალია“



**კახა კვაშილავა**
*ისტორიის დოქტორი*

30 სექტემბერს სეპარატისტები **„გამარჯვების დღეს“** აღნიშნავენ. დაღუპული აფხაზი სეპარატისტების მემორიალთან მიჰყავთ ქართველი მოწაფეები. **ქართველი ბავშვები პატივს მიაგებენ მათ, ვინც მათ ბებია-ბაბუებს, მშობლებს აწიოკებდნენ.**

„კვირის პალიტრა“



„ევოლუციის ხანგრძლივმა და მილიონობით წელზე გათვლილმა პროცესმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ 45-50 წლის ასაკიდან კაცის ორგანიზმი პასიურ, ანუ დასვენების რეჟიმში გადადის!“



კახა საბახტარიშვილი:

# რა უნდა ვიცოდეთ მამაკაცის კლიმაქსის შესახებ

***მამაკაცთა კლიმაქსი ურთულესი დაავადებაა, რომლის ხარისხსაც ორგანიზმში ძირითადად სასქესო ჰორმონის — ტესტოსტერონის დონე განსაზღვრავს. ქართველი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი მიიჩნევს, რომ კლიმაქსის თავიდან აცილება შეუძლებელია, მაგრამ ცხოვრების სწორი წესით მისი გადავადება და მართვა დასაშვებია:***

— მამაკაცების დიდ ნაწილს, რომელსაც ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე ჰქონდა, ორმოცდაათ წელთან მიახლოების კვალდაკვალ შესაძლოა, დაეწყოს: გულისცემის აჩქარება, ანუ ტაქიკარდია, არტერიული წნევის ცვალებადობა, ჰაერის უკმარისობა, თავბრუხვევა, წამოხურება, ოფლიანობა და მოვლითი ტკივილები გულმკერდის მარცხენა ნაწილში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადგილი აქვს ძლიერ სტრესს. **ბარდა ამისა, ორმოცდაათ წელს მიღწეული მამაკაცები შესაძლოა, უჩიოდნენ:** ადვილად დაღლას, მეხსიერების დაქვეითებას, დღისით ძილიანობას, მოუსვენრობას, გაღიზიანებადობას და აზროვნების კონცენტრაციის შემცირებას. ამ ასაკში მამაკაცებს შესაძლოა, ხასიათიც კი შეეცვალოთ და გახდნენ უფრო დეპრესიულები ან პირიქით — აღგზნებული და გაღიზიანებულები. ასეთ დროს, არცთუ იშვიათად, წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე შარდსასქესო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, მაგალითად, ხშირი შარდვა, ასევე ერექციისა და ქალისადმი სქესობრივი ლტოლვის, ანუ ლიბიდოს დაქვეითება. ამ პრობლემებით შეწუხებული მამაკაცები, რომლებსაც ვერ გაურკვევიათ, რა დაემართათ, ათასნაირ გამოკვლევას იტარებენ, ძვირადღირებულ წამლებს სვამენ და ნაირგვარ დიეტას იცავენ, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. **პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ორმოცი წლის ზემოთ მამაკაცის ორგანიზმში იწყება გარდაუვალი ბუნებრივი პროცესი, რასაც მამაკაცთა კლიმაქსი ეწოდება!**

**— მაინც რა იწვევს მამაკაცთა კლიმაქსს?**

— მოგეხსენებათ, მამაკაცის ორგანიზმი გამოიმუშავებს მამაკაცთა სასქესო ჰორმონ ტესტოსტერონს. ამ ჰორმონის როლი კაცის ცხოვრებაში დიდზე დიდია და სქესობრივ არეალს სცდება. ტესტოსტერონი განაპირობებს ძვლის სიმაგრესა და სიმკვრივეს, ძლიერი კუნთების განვითარებას, ცხიმების თანაბარ განაწილებას, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გამართულ მუშაობას, გავლენას ახდენს თავის ტვინის ფსიქოემოციურ ფუნქციებზე, კაცის ხასიათსა და მრავალ სხვა ნიუანსზე. სწორედ ტესტოსტერონი განსაზღვრავს მამაკაცის ქალისადმი ლტოლვას და ერექციას, რომლის გარეშეც სქესობრივი ურთიერთობა ყოვლად წარმოუდგენელია.

35 წლის შემდეგ ტესტოსტერონის გამომუშავება წელიწადში საშუალოდ 2 პროცენტით მცირდება, ხოლო სტრესის დროს — ათჯერ. საქმე ის გახლავთ, რომ სტრესი იწვევს ჰორმონ **კორტიზოლის** გამომუშავებას. **იქ, სადაც ბევრი კორტიზოლია, ტესტოსტერონი მცირეა, რადგან კორტიზოლიც და ტესტოსტერონიც, ფაქტობრივად, ერთი და იგივე მასალისგან იქმნება.**

„ძლიერი სტრესის შემდეგ მამაკაცს ქალთან ნორმალური სქესობრივი თანაცხოვრება უჭირს!“




„ის, რაც ევოლუციამ დააკანონა, ადამიანი ვერ შეცვლის, მაგრამ არსებობს შანსი, რომ კლიმაქსის დადგომა გადავავადოთ!“

სწორედ ამიტომ არის, რომ ძლიერი სტრესის შემდეგ მამაკაცს ქალთან ნორმალური სქესობრივი თანაცხოვრება უჭირს.

სწორედ ტესტოსტერონის შემცირებით არის გამოწვეული ყველა ის მოვლენა, რომელიც **მამაკაცთა კლიმაქსის** განუყრელი თანამგზავრია და რომელიც ზემოთ ასე დაწვრილებით აღვწერეთ! ტესტოსტერონის შემცირების შედეგად ადამიანი წონაში მატულობს, გვერდებში ცხიმი უგროვდება, ხოლო ამ ცხიმში არსებული ფერმენტი **არომატაზა** ტესტოსტერონს ქალთა სასქესო ჰორმონად — **ესტროგენად** გარდაქმნის! მამაკაცები, რომლებსაც ქალთა სასქესო ჰორმონები — **ესტროგენები** ჭარბად აქვთ, ქალისთვის დამახასიათებელ ნიშნებს იძენენ — **უდიდდებათ მკერდი, უმსხვილდებათ ბარძაყები, სახეზე თმა უმეჩხრდებათ და თეძოები უმრგვალდებათ.** ამიტომ ყველა მამაკაცს ვურჩევ, ორმოცი წლის შემდეგ აუცილებლად შეიმოწმოს ტესტოსტერონის დონე. როგორც წესი, ტესტოსტერონი 3,0-დან 33,0-მდე ნანომილი/ლიტრზე უნდა იყოს. გვაქვს თუ არა ტესტოსტერონი კრიტიკულად დაბალი, შეგვიძლია, შემდეგი ტესტით განვსაზღვროთ: **ხელები გავშალოთ მხრის დონეზე, დავხუჭოთ თვალები და შევეცადოთ, ცალ ფეხზე დახლოებით 30 წამის განმავლობაში გავჩერდეთ.** თუ გამოცდა წარმატებით ჩავაბარეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კუნთები და სისხლძარღვოვანი სისტემა, რომლის მდგრადობასაც მნიშვნელოვანწილად სწორედ ტესტოსტერონის მაღალი დონე განაპირობებს, მწყობრშია, ხოლო, თუ გამოცდა ვერ ჩავაბარეთ, აუცილებლად უნდა ვიზრუნოთ ტესტოსტერონის მომატებაზე.

**— ტესტოსტერონის დონის ასაწევად რა უნდა გაკეთდეს?**

— ტესტოსტერონის პირველი მტერი ჭარბი წონაა. ამიტომ, პირველ რიგში, წონა უნდა დავარეგულიროთ! ტესტოსტერონის დონეს ამაღლებს ფიზიკური აქტივობა და ალკოჰოლსა და სიგარეტზე უარის თქმა. **ტესტოსტერონის დონე შესაძლოა, ავამაღლოთ საკვებითაც. მაგალითად, მოხარშული კვერცხი, ბროწეული, კოჟა, ისპანახი, ნიახური, ზეითუნის ზეთი, ხახვი, ნიორი, ლობიო, ოსპი, ფრინველის ხორცი, ცხიმიანი თევზი, ხილი, ნიგოზი ტესტოსტერონს მაღლა სწევს.**

როცა ექსპერიმენტში მონაწილე მამაკაცებს მთელი ორი კვირის განმავლობაში ბროწეულის წვენს აძლევდნენ, ტესტოსტერონის რაოდენობამ 24 პროცენტით მოიმატა. საკვებთან ერთად სამი თვის განმავლობაში **კოჟას, ანუ ჯანჯაფილის** მიღებამ კი ის შედეგი გამოიღო, რომ ტესტოსტერონის რაოდენობა 18 პროცენტით გაიზარდა. სხვათაშორის, ჩემი სამედიცინო პრაქტიკიდან გამომდინარე, ერთ უტყუარ დასკვნამდე მივედი — **პაციენტებს, რომლებიც პროსტატასთან დაკავშირებული პრობლემებით მომართავენ, თითქმის ყველას დაუდგინდა ტესტოსტერონის დაბალი დონე.** როგორც კი პაციენტებმა მკურნალობის შედეგად ტესტოსტერონის დონე მაღლა ასწიეს, პროსტატის ადენომამ და პროსტატის ანთებამ უკან დაიხია! ეს გასაკვირი არ არის, რადგან, როცა ბიჭი იბადება, მაშინვე გამოუმუშავდება ტესტოსტერონი, რომელიც სასქესო ორგანოებისა და პროსტატის ჯირკვლის განვითარებასა და ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

**— შესაძლებელია თუ არა, მამაკაცმა კლიმაქსი თავიდან აიცილოს, ანდა უკიდურეს შემთხვევაში მისი მოახლოება გადაწიოს?**

— **მამაკაცთა კლიმაქსის თავიდან აცილება შეუძლებელია, რადგან ეს ევოლუციური პროცესია.** მამაკაცის ფუნქციაა, ბავშვი ჩასახოს, გაზარდოს და დაიცვას. **ორმოცდახუთი-ორმოცდაათი წლის ასაკში მამაკაცს თავისი ფუნქცია ოჯახის, საზოგადოებისა და გვარის წინაშე, ძირითადად, შესრულებული აქვს. მისი შვილები უკვე თავად არიან ბრძოლისუნარიანნი და მამისგან დაცვა არ სჭირდებათ.** შესაბამისად, ევოლუციის ხანგრძლივმა და მილიონობით წელზე გათვლილმა პროცესმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ 45-50 წლის ასაკიდან კაცის ორგანიზმი პასიურ, ანუ დასვენების რეჟიმში გადადის. ასე რომ, **ის, რაც ევოლუციამ დააკანონა, ადამიანი ვერ შეცვლის, მაგრამ არსებობს შანსი, რომ კლიმაქსის დადგომა გადავავადოთ!**

**— რა არის ამისთვის საჭირო?**

— პირველ რიგში, ამისთვის საჭიროა, ადამიანის სქესობრივი ცხოვრება იყოს მდგრადი, წონა იყოს ნორმაში, ხოლო საკვები — ჯანსაღი. არ უნდა მოვწიოთ, არ უნდა გავეკაროთ არაყს, შაქრიან ღვინოს, ნატურალური ღვინო დოზირებულად მივირთვათ, ვიკვებოთ ჯანსაღი საკვებით, ხშირად ვიბანაოთ და ყოველდღიურად, სულ მცირე, 2 კილომეტრი მაინც ფეხით ვიაროთ!

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

„პაციენტებს, რომლებიც პროსტატასთან დაკავშირებული პრობლემებით მომართავენ, თითქმის ყველას დაუდგინდა ტესტოსტერონის დაბალი დონე!“

## კვირგვინოსნები

**გია სურამელაშვილი**
*მომღერალი*



ახლახან ბაკურიანში შემიყვანეს კუბდარის საჭმელად. **ვიღაცამ თქვა, ერთი გაიცინოსო და რომ გავიცინე, 300 ლარი გამომიგზავნა! 300 ლარი ერთ სიცილში!** ასე რომ, წერონ, რამდენიც უნდათ, მეფეს ვერ ჩამოაგდებენ ტახტიდან! ჭიანჭველები უნდა არსებობდნენ!

„სარკე“

**ხათუნა ხოფერია**
*ყოფილი პარლამენტარი*



გავრცელებული აზრია — **თუ გვერდით მამაკაცი არ გყავს, სრულფასოვან ქალად ვერ იგრძნობ თავსო.** მე ასეთი განცდა არ მქონია. ჩემი მეუღლისგან მივიღე ყველა ის ბედნიერება, რისი მიღებაც შეიძლებოდა, პირველ რიგში, **სიყვარული და პატივისცემა.** როცა ასეთი მაღალი გრძნობა განცდილი გაქვს, შემდეგ ძნელია, ანალოგიური იპოვო, ამიტომ არც მიძებნია.

„სარკე“

**გიორგი ბახუტაშვილი**
*მსახიობი*



**ყველაფერი მითამაშია, სადაც რამის მოგება შეიძლება.**

„თბილისელები“

**ასმათ ტყაბლაძე**
*მსახიობი*



შემეძლო, **პარიზში მდიდარ კაცზე გავთხოვილიყავი,** მაგრამ ჩემს ქვეყანას კარგ საჭმელსა და ლამაზ კაბებზე არ გავცვლიდი.

„თბილისელები“



# დასავლეთის ნდობა არ შეიძლება! საქართველო დასავლეთისგან მობოდიშებას ელის!

**არნო ხიდირბეგიშვილი**

# პუტინმა და ლავროვმა ისეთი სიმართლე თქვეს, რისი თქმაც აქამდე ვერავინ გაბედა!

***ბოლო დღეების მოვლენები, პირველად მრავალი წლის განმავლობაში, მაძლევს საფუძველს, რომ ჩემს თანამემამულეებს სასიხარულო ამბავი ვაუწყო — საქართველო უკვე დაადგა აყვავების გზას, რომელიც მისი გამთლიანებით დასრულდება, თუკი, რა თქმა უნდა, არ ატყდება ბირთვული ომი არაპროგნოზირებადი შედეგებით.***

*სააკაშვილის ნეონაცისტური რეჟიმის მიერ საქართველოს 30-წლიანი ოკუპაციის შემდეგ მტერი დამარცხდა — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი დანამატები რადიკალური ოპოზიციიდან სრულიად გამოაშკარავდნენ და ამიერიდან მხოლოდ უცხოეთში ემიგრაციაზე უნდა იფიქრონ.* ***ხოლო პუტინმა და ლავროვმა გასულ კვირაში ხალხს უთხრეს ისეთი სიმართლე, რომელზე ლაპარაკიც აქამდე ვერავინ გაბედა და ეს სიმართლე ძალიან ბევრს მწარედ ეხება, მათ შორის, რუსეთის ხელმძღვანელობას!***

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ **25 იანვარს პუტინმა პირველად უწოდა გერმანიაში საბჭოთა ჯარებს ოკუპაციური.** ***„მოგეხსენებათ, გერმანია დაყოფილი იყო ოთხ სექტორად — ამერიკულ, ბრიტანულ, ფრანგულ და საბჭოთა სექტორად. ჰოდა, საბჭოთა კავშირმა გააფორმა ამ საოკუპაციო სტატუსის შეწყვეტა, მაგრამ აშშ-მა — არა. ამიტომ ამერიკული ჯარები გერმანიაში იურიდიულად და ფაქტობრივად რჩებიან საოკუპაციო ჯარებად“,*** — განაცხადა **პუტინმა** სტუდენტებთან საუბრისას.

დავამატებ, რომ **საბჭოთა (შემდგომში რუსული) საოკუპაციო ჯარები** გერმანიაში შეიყვანა **ქართველმა სტალინმა** და იქიდან გამოიყვანა ასევე **ქართველმა შევარდნაძემ,** რაც შეცდომა იყო, რადგან **ამერიკული საოკუპაციო ჯარები გერმანიაში დარჩნენ და დღეს ევროპაში ყველაზე დიდი ამერიკული ჯარი — შვიდი გარნიზონიდან ხუთი — გერმანიაშია. ამის გამო,** როგორც **პუტინმა** სტუდენტებს იმავე შეხვედრისას შეახსენა, **გერმანელი პატრიოტები — თვალსაჩინო პოლიტიკოსები — აცხადებენ, რომ მათი სამშობლო — გერმანია — დღემდე ოკუპირებულია.** როგორც **ქართველი ხიდირბეგიშვილი** დავამატებ, რომ **ოპერაცია „ბარბაროსას“** დაწყებიდან 82 წლის შემდეგ გერმანული სვასტიკიანი „ლეოპარდები“ კვლავ უკრაინაში შეღწევას ლამობენ. **გარდა იმისა, რომ შევარდნაძემ ცალმხრივად გაიყვანა რუსული ჯარი გერმანიიდან** (ამერიკელების რუსებთან ერთად გერმანიის დატოვების მოთხოვნის გარეშე), **მან დაიჯერა თავისი დასავლელი მეგობრების — კოლების, გენშერების, შრედერებისა და ბუშების სიტყვიერი დაპირებები და არ მოსთხოვა ხელწერილი, რომ გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ ისინი იღებენ ვალდებულებას, არ გააფართოონ ნატო აღმოსავლეთით.**

დღეს, გერმანიის გაერთიანებიდან 29 წლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ **სტალინი,** რომელიც არ ენდობოდა დასავლელ მოკავშირეებს, მართალი იყო, **შევარდნაძე** კი ცდებოდა. **იმ შეცდომის შედეგად ევროპასა და უკრაინაში ნაციზმი აღორძინდა, ხოლო ნატო გაფართოვდა აღმოსავლეთით ხუთ ტალღად: 1999 წელს** ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი მიიღეს, **2004 წელს** — ბულგარეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესტონეთი, **2009 წელს** — ალბანეთი და ხორვატია, **2017 წელს** — ჩერნოგორია, **2020 წელს** — ჩრდილოეთ მაკედონია.

რაც შეეხება საქართველოს: **თუ პუტინი 49 წლის განმავლობაში** (1945 წლიდან 1994 წლამდე) **გერმანიაში მყოფ რუსულ ჯარს ამერიკულივით ოკუპაციურად მიიჩნევს, არის თუ არა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსული ჯარებიც საოკუპაციო?**

დიახ, რა თქმა უნდა! მაგრამ **შევარდნაძის საბედისწერო შეცდომის გახსენებით, მოსკოვი დღეს თბილისისგან ელის ხელწერილს აფხაზეთში ძალის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ არ ენდობა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, პუტინი სტალინივით არ ენდობა დასავლეთს, განსაკუთრებით გასული წლის თებერვლიდან, უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების შემდგომ.** სად არის გარანტია, რომ, როცა რუსული ჯარები დატოვებენ აფხაზეთს და ე.წ. სამხრეთ ოსეთს, როგორც უწინ რუსულმა ჯარებმა დატოვეს ავსტრია და გერმანია, ნატოს საოკუპაციო ჯარები საქართველოში არ შემოვლენ, როგორც 1918 წელს შემოვიდნენ გერმანული საოკუპაციო ჯარები ქართველი მენშევიკების — **სალომე ზურაბიშვილის** წინაპრების თხოვნით, რომლებიც მოგვიანებით საფრანგეთში გაიქცნენ საქართველოს ოქროს მარაგითურთ?!

და რაკიღა ასეთი გარანტია არ არსებობს და შეუძლებელია დასავლეთის სიტყვაზე ნდობა, როგორც **შევარდნაძე** ენდობოდა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ღარიბაშვილი** გვთავაზობს საერთაშორისო ურთიერთობების ახალ პრინციპს — **„არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“,** ნაცვლად ძველი ფორმულისა — **„ენდე, მაგრამ გადაამოწმე“.** კარგი, მეტად ნუ შევაწუხებთ აწ განსვენებულ **შევარდნაძეს,** მითუმეტეს, რომ იმ შეცდომებზე პასუხისმგებლობას სრულად იზიარებენ აწ განსვენებული **გორბაჩოვიც** და **იაკოვლევიც...** მაგრამ

**როგორ უნდა ენდო დასავლეთს დღეს, როცა საქართველოს არ მოუსმენია ბოდიში იმისათვის, რომ ნატოში არ მიიღეს, თუმცა, მოტყუებით აბრძოლეს ერაყსა და ავღანეთში?! როცა საქართველოს, რომელმაც სააკაშვილის ნაცისტური რეჟიმი დაამხო, არ მიანიჭეს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, სამაგიეროდ, მიანიჭეს უკრაინას, რომელსაც დღეს ზელენსკის ნაცისტური რეჟიმი მართავს?!**

როცა საქართველოს ჯერ „ჯაველინები“ მიჰყიდეს და ახლა მოითხოვენ, რომ ისინი უკრაინას აჩუქოს და თავად გახსნას „მეორე ფრონტი“ რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსულ ბაზებზე თავდასხმით?!

**ქართველ ხალხს ჯერ არ მოუსმენია ვაშინგტონისგან ბოდიში მათი მარიონეტი სააკაშვილის გამო, რომლის წყალობითაც საქართველომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი თუნდაც დროებით დაკარგა!** როგორ უნდა ენდო დასავლეთს მას შემდეგ, რაც **ნაქებმა შვეიცარიულმა ბანკმა მიითვისა ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი 600 მილიონი დოლარი, რადგან ის, თურმე, „რუსი ოლიგარქია“, ხოლო საქართველოს არ სურს რუსეთის წინააღმდეგ „მეორე ფრონტის“ გახსნა?!**

„არ ენდო, მაგრამ ითანამ-

**თუ პუტინი გერმანიაში მყოფ რუსულ ჯარს ამერიკულივით ოკუპაციურად მიიჩნევს, არის თუ არა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში მყოფი რუსული ჯარებიც საოკუპაციო?**



ვლადიმერ პუტინი და სერგეი ლავროვი



ჰანს-დიტრიხ გენშერი და ედუარდ შევარდნაძე

**შევარდნაძემ დაიჯერა თავისი დასავლელი მეგობრების — კოლების, გენშერების, შრედერებისა და ბუშების სიტყვიერი დაპირებები და არ მოსთხოვა ხელწერილი, რომ გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ ისინი იღებენ ვალდებულებას, არ გააფართოონ ნატო აღმოსავლეთით!**



მიხეილ სააკაშვილი და ჯორჯ ბუში უმცროსი

# ქართველ ხალხს ჯერ არ მოუსმენია ვაშინგტონისგან ბოდიში მათი მარიონეტი სააკაშვილის გამო, რომლის წყალობითაც საქართველომ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი თუნდაც დროებით დაკარგა!

**ფრონტი“ — ღარიბაშვილის ფორმულაა.** დიახ, საქართველო კვლავაც შეეცდება, მაქსიმალურად ითანამშრომლოს ყველასთან, თავისი დღევანდელი სტატუს-კვოს უპირატესობებით, ანუ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, და მეორე მხრივ — ვაჭრობისა და რუსეთის მოქალაქეებისთვის უვიზო რეჟიმის გამოყენებით **(ივნისში ვიზები გაუუქმდებათ საქართველოს მოქალაქეებსაც, უახლოეს მომავალში კი — რუსეთთან პირდაპირი ავიამიმოსვლა აღდგება).**

საქართველოს სურს, დარჩეს მიმზიდველ ბიზნეს-პლატფორმად ყველასთვის, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეებისთვის და მიაწოდოს თავისი პროდუქცია რუსეთის ბაზარზე. **საქართველოს სულაც არ სურს, უარი თქვას რუსეთიდან ფულად გზავნილებზე, მილიონიან ქართულ დიასპორაზე და ასევე უარი თქვას რუსეთზე, როგორც მარცვლეულისა და ენერგომატარებლების მომწოდებელზე, რა არის აქ გასაკვირი?!**

არა, მოსკოვში აშკარად მიდგომები შეიცვალა და პუტინის კვალდაკვალ **ლავროვმაც** გაგვაოცა! მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მას თბილისელ სომხად, გვარად **„კალანტაროვი“,** მოიხსენიებენ, მან განაცხადა, რომ ***„მრავალი წლის განმავლობაში სომხეთი ახდენდა აზერბაიჯანის შვიდი რეგიონის ოკუპაციას და აზერბაიჯანმა დაიბრუნა მისი კუთვნილი მიწები“.*** სომეხიც მასეთი უნდა — **ლავროვი** სომხეთს — **ოკუპანტად,** ხოლო სომხურ ჯარს **ოკუპაციურად** მოიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი რუსეთის ოფიციალური მოკავშირეა, აზერბაიჯანი კი — არა... უფრო მეტიც, **ლავროვმა შეახსენა ერევანს, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელსაც საფუძვლად 1991 წლის ალმა-ატის დეკლარაცია უდევს, ანუ რომელიც აღიარებს რესპუბლიკების საბჭოთა დროინდელ საზღვრებს!** არადა, **მთიანი ყარაბაღი,** იმ საზღვრების მიხედვით, **აზერბაიჯანის,** ხოლო **აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს** შემადგენლობაში შედიოდა, რაც ლავროვმა მშვენივრად იცის!

უფრო მეტიც, **ლავროვი** იხსენებს, როგორ მოატყუა **სააკაშვილმა** კრემლი, როდესაც ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსული ბაზების გაყვანის სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ გახსნიდა **ერთობლივ რუსულ-ქართულ ანტიტერორისტულ ცენტრს** საქართველოში, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, რის გამოც **პუტინმა** გადამგდები უწოდა და თავის ქვეშ მდგომებს მასთან საქმის დაჭერა აუკრძალა! თურმე, **სააკაშვილს თავისი დაპირება რომ შეესრულებინა, ბათუმში მხოლოდ 100 რუსი ოფიცერი — ანტიტერორის სპეციალისტი დარჩებოდა და არა ახალი რუსული სამხედრო ბაზა, როგორც ამას ნაცები ირწმუნებიან.**

მაგრამ საბჭოთა უშიშროების თანამშრომლებისა და აგენტების ოჯახში **აღზრდილ კაგებეს ეფრეიტორ სააკაშვილს, როგორც ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე 100 რუსი ოფიცერი ეცოტავა და რუსული საოკუპაციო ჯარები მოიწვია:** მე-7 რუსული სამხედრო ბაზა გუდაუთაში 4000 ჯარისკაცით და მე-4 რუსული სამხედრო ბაზა ჯავაში, ასევე 4000 ჯარისკაცით! ისევე, როგორც ქართველმა მენშევიკებმა 102 წლის წინათ თავისი უგუნური მოქმედებით საქართველოში მე-11 წითელი არმია შემოაგრიალეს.

ასეა თუ ისე, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ სიმართლის თქმა დაიწყო. მრავლისმთქმელია გასულ ხუთშაბათს სააკაშვილის პარტიული ტელევიზიის მიერ გავრცელებული **კარასინისა და აბაშიძის სატელეფონო საუბარიც, რომელშიც ისინი კმაყოფილებით აღნიშნავენ საქართველოსა და რუსეთის სატრანსპორტო უწყებათა თანამშრომლობას, რამაც ნაცები და აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი შოკში ჩააგდო.** მაგრამ საიდან „გლავკანალს“ ეს ჩანაწერი?! ცხადია, ან — აშშ-ის საელჩოდან, რომელიც საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას რუსეთუმედ მიიჩნევს, ან ვანო მერაბიშვილის კოლექციიდან. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ საქართველოში ტოტალური თვალთვალის საშუალებები კვლავ ნაცების ხელშია — ორი გვამის მოსურნე ნამინისტრალმა ამერიკულ სპეცაპარატურასთან წვდომა შეინარჩუნა!

## P.S.

***გაზეთი უკვე დასაბეჭდად იყო მზად, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი სანქციებით დაემუქრა იმ ბიზნეს-ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოს აეროპორტებში რუსულ კომპანიებს მოემსახურებიან.***



***„ნაციონალური მოძრაობა საქართველოს ვერაფერს დააკლებს, მერაბიშვილმა და კეზერაშვილმა დაასუსტეს სააკაშვილი, რაც საბოლოოდ ნაციონალური მოძრაობის განადგურებით დასრულდება“, — ამბობს ცნობილი ხელოვნებათმცოდნე დოდო ხურცილავა და საქართველოში მიმდინარე პროცესებს აფასებს:***



# დოდო ხურცილავა: ზელენსკიც ჭირვეული ბავშვივით იქცევა, ამოვიდა ყელში მაგათი თავხედობა!

— სააკაშვილის მორიგ სასამართლო პროცესზე გამოჩნდა, რომ ეს საცოდავი ვერ ხვდება, რა დანაშაულები ჩაიდინა და არც ინანიებს. თურმე, მარტო იმას დარდობს, მერაბიშვილი სამსახურიდან რომ არ გაათავისუფლა. არადა, **იმაზე უნდა წუხდეს, მერაბიშვილის მსგავსნი რომ შექმნა და მათი მამოძრავებელი ძალა იყო.** სააკაშვილი ცდილობს, საკუთარი უდანაშაულობა დაგვაჯეროს, მაგრამ ვერ დაგვაჯერებს.

**— სასამართლო პროცესზე სააკაშვილის ჩართვას კლინიკიდან როგორ აფასებთ?**

— ამ საცოდავს აღარაფრის რცხვენია, იგი შიშველია არამარტო მორალურად, არამედ უკვე ფიზიკურადაც! თურმე, ციხეს ვერ იტანს — **შეიძლება ცხრამად, მაგრამ, განა სხვა პატიმრებმა მასზე დიდი დანაშაული ჩაიდინეს, ციხეში რომ სხედან ან ძალიან მოსწონთ იქ ყოფნა?** გიული ალასანიას მსგავსად იმათ დედებს საქართველოსთვის ქონება არ მოუპარავთ და თავიანთი შვილებისთვის პიარკომპანიები არ დაუქირავებიათ. **საქართველოს ციხეში არ მეგულება თუნდაც ერთი პატიმარი, ვისაც სააკაშვილზე უფრო სასტიკი დანაშაულები აქვს ჩადენილი.** ეს უნდა იცოდეს ვარდისფერ „პომპონჩიკიანი“ ქუდით გამოწყობილმა დედამისმა, რომელსაც ვურჩევ, ქუდების შერჩევის ნაცვლად, შვილს სურნელოვანი საჭმელი გაუკეთოს, იქნებ ხასიათზე მოვიდეს და ჭამოს, რომ მისი კვება მთელი საქართველოს სალაპარაკო არ იყოს!

**— გასულ კვირას სააკაშვილის მენიუ მართლაც ყურადღების ცენტრში იყო...**

— დედას ერთი მოხარშული კვერცხი მიაქვს და ნუ გვაბოლებენ, სააკაშვილი კვდებაო. თავის მომკვლელი რომ ყოფილიყო, აქამდე მოიკლავდა. საჭმელს კი არა, იმათ მიაქციონ ყურადღება, ვინც სააკაშვილის გვერდით ტრიალებს — **ჩალაძესა და ხაჭაპურიძეს,** რომლებიც ძალიან ცუდ როლს თამაშობენ მთელ ამ პროცესში. ნაცვლად იმისა, რომ სააკაშვილს ურჩიონ, თქვას — ვინ ჩამოიყვანა საქართველოში, აქეთ „ქართულ ოცნებას“ უტევენ. სააკაშვილის გადარჩენის ერთადერთი გზა მის მიერ სიმართლის თქმაა და თუ სიმართლე არ თქვა, იყოს იქ, სადაც არის!

**— ანუ კლინიკა „ვივამედში“?**

— რომ ვკვდებოდე, „ვივამედში“ ვერ დავწვები, საშუალება არ მაქვს, სააკაშვილის მკურნალობის ფულს კი მოსახლეობას გვახდევინებენ. გიული ალასანიამ აწი თვითონ გადაიხადოს თავისი შვილის მკურნალობის თანხა. ისე კი, გდებულიყო უკრაინაში, რას მოეთრეოდა, მაგრამ იცოდა, რომ იქ ომი იწყებოდა და იფიქრა, ჩავალ საქართველოში, გავპრეზიდენტდებიო.

**— ნანობს, რომ ჩამოვიდა, ამბობს, რომ სხვა რამეს ელოდა...**

— ეგონა, ოქროს ტახტს დაახვედრებდნენ, მაგრამ დახვდა ხელბორკილები. საქართველოში ჩამოსვლას კი იმიტომ ნანობს, რომ ეს ქვეყანა სააკაშვილს არასოდეს უყვარდა. ახლა თავს ძლიერად ვერ გრძნობს, რადგან ვეღარავის ჩაგრავს, ქონებას ვერ ართმევს და ცოცხალ ლეშად იქცა, რაშიც დიდი წვლილი მის ოჯახს მიუძღვის.

**— გგონიათ, სააკაშვილს გაუშვებენ და უკრაინაში დააბრუნებენ? ზელენსკიმ მსოფლიოს აჩვენა სააკაშვილის ფოტოები კლინიკა „ვივამედიდან“...**

— ზელენსკიმ უკრაინას მიხედოს, კიევში ამერიკელი აუდიტები იმყოფებიან, იკვლევენ, მიზნობრივად დახარჯეს თუ არა აშშ-დან მიღებული დახმარება. ზელენსკიც ჭირვეული ბავშვივით იქცევა, ამოვიდა ყელში მაგათი თავხედობა. **გაბრაზებული ვარ ჩვენს მთავრობაზეც, რამდენჯერაც გამოვლენ ასეთი განცხადებებით, იმდენჯერ დაიბარონ მაგათი ელჩი და უთხრან, რომ ზელენსკიმ ენა ჩაიგდოს.** არც ამერიკელ **კინზინგერს** გასცეს პასუხი, რომელსაც ჰგონია, რომ რუსეთს საქართველოში ელჩი ჰყავს და ის კი არ იცის, რომ 15 წელია, საქართველოში ეს ელჩი არ არსებობს.

რაც შეეხება სააკაშვილის გათავისუფლებას, არსებობს 500 ქალის სია, რომლებმაც ხელი მოაწერეს სააკაშვილის გათავისუფლებას. ერთადერთი, რასაც ამ ქალებს ვუსურვებ, ერთი თვის მანძილზე ყოველ ღამე დაესიზმროთ ის საშინელება, რაც **ია მეტრეველს** დამართეს, მერე ვნახოთ, ამ ამბების რეალური შემოქმედის გათავისუფლებაზე ხელს თუ მოაწერენ.

**— გიული ალასანიას პირადად იცნობთ?**

— არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე ადამიანს, რომელსაც სხვისი ტკივილის მიმართ აქვს აბსოლუტური გულგრილობა. მას საკუთარი შვილის გარდა არავინ არ აინტერესებს და ამიტომაც უნდა იცოდეს — ხალხს მაგისი შვილის სახელისა და გვარის გაგონებაც კი არ სურს. ის კი არა, აღარც მომხრეებს სჭირდებათ და პარტიაც თავზე ენგრევათ.

**— არადა, თავი მოჰქონდათ, მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი გვაქვსო...**

— ვის აქვს ეს პოტენციალი, ლევან ხაბეიშვილს? ასეთი გაუნათლებელი ადამიანები ჯერ არ მინახავს. ან თუნდაც კეზერაშვილი ავიღოთ. ხალხი მაგას როგორ გაჰყვება. ერთი თეთრი არ დაუხარჯავს საქართველოსთვის, პირიქით, აქედან გაზიდა ყველაფერი და კიდევ უნდა აქ ფულის კეთება. ამიტომ ესენი უმალ ერთმანეთს დაჭამენ, ვიდრე რევოლუციას მოაწყობენ! წასულია მაგათი მატარებელი!

## „საქართველოს ციხეში არ მეგულება თუნდაც ერთი პატიმარი, ვისაც სააკაშვილზე უფრო სასტიკი დანაშაულები აქვს ჩადენილი!“

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# რას იწვევს ძილის დარღვევა და როგორ დავამარცხოთ უძილობა?



***რას იწვევს უძილობა, რასთან არის დაკავშირებული ძილის დარღვევა და არის თუ არა 7-8-საათიანი ძილი ადამიანისთვის აუცილებელი?***

ადამიანი სიცოცხლის 1/3-ს ძილში ატარებს. ძილ-ღვიძილი ერთმანეთისგან განსხვავებული, მაგრამ ურთიერთდამოკიდებული ფიზიოლოგიური მდგომარეობაა. ძილი შედგება სტადიებისა და ციკლებისგან. არსებობს ძილის ორი სტადია: სწრაფი და ნელი. ნელ ძილს აქვს 4 სტადია. პირველი ორი ზერელე სტადიაა, დანარჩენი ორი კი — ღრმა.

ნელი და სწრაფი ძილის ერთობლიობა შეადგენს ციკლს. მათი რაოდენობა, სტადიების გათვალისწინებით, ღამეში უნდა იყოს 5-6 საათი. ზრდასრული ადამიანის ნელი ძილის წილი შეადგენს 75%-ს, ხოლო სწრაფი ძილისა — 25%-ს. ახალშობილებს 16 საათი სძინავთ. 1 წლის ბავშვს სძინავს 10-14 საათი, 10 წლის ბავშვს კი — 9 საათი. წლების მატებასთან ერთად ძილის სტრუქტურა იცვლება — ქვეითდება ძილის საათების საერთო რაოდენობა, იზრდება ზერელე სტადიების პროცენტული შეფარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც პროცენტული შეფარდება, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, დაირღვევა, ირღვევა ძილიც. ძილის დროს კი ადამიანი უნდა გადიოდეს ყველა სტადიას და ციკლს.

მედიკოსები გამოყოფენ ძილის დარღვევის 84 სახეობას, რომლებიც, თავის მხრივ, გაერთიანებულია რამდენიმე ჯგუფში: დისომნია, პარასომნია, სუნთქვითი დარღვევები, ცირკადული რიტმის (განსხვავება დროში) შეცვლით განპირობებული დარღვევები, მოუსვენარი ფეხების სინდრომი. ძილის დარღვევა ისეთი დაავადებების შემადგენელი ნაწილია, როგორიცაა **ეპილეფსია, შიზოფრენია, პარკინსონი, ჭკუასუსტობა. ძილის დარღვევის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ძლიერი სტრესი და გადაღლილობა.** არსებობს სამი სახის ძილის დარღვევა: გარდამავალი, ხანმოკლე და ქრონიკული. გარდამავალი გრძელდება 1-6 ღამის განმავლობაში, ხანმოკლე 1-3 კვირას, ქრონიკული კი კვირაში 3 ან მეტი ღამის უძილობაა, რომელიც, სულ ცოტა, ერთი თვის განმავლობაში გრძელდება. გარდა ამისა, არსებობს ძილის სეზონური დარღვევები. გამოიყოფა ზაფხულისა და ზამთრის ინსომნია. ზაფხულის აფექტურ აშლილობას ახასიათებს უმადობა, სუიციდური





**„არიან ადამიანები, რომლებსაც 3-4 საათის ძილი ჰყოფნით, ზოგს კი 9 საათიც არ ჰყოფნის. მაგალითად, ცნობილია, რომ ნაპოლეონს დღე-ღამეში 3-4 საათი ეძინა. ეს არ არის დარღვევა იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მეორე დღეს ხალისიანი და შრომისუნარიანია. აინშტაინს 11 საათის განმავლობაში ეძინა და მისთვის საჭირო რაოდენობა ეს იყო. გავრცელებული აზრი, რომ ადამიანისთვის აუცილებელია 7-8 საათი ძილი, არასწორია“**

აზრები და ფანტაზიები, ამ პერიოდში იზრდება თვითმკვლელობის რიცხვი. ზამთრის აშლილობას, იგივე „ზამთრის ბლუზს“, თან ახლავს ძილიანობისა და უძილობის მონაცვლეობა, წონის მატება.

**უძილობა გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია. ძილის დარღვევა პირდაპირ კავშირშია ნერვულ სისტემასთან, თუ ადამიანს საკმარისად არ სძინავს, ემართება ნერვული აშლილობა.**

ყველა ადამიანს აქვს თავისი ბიოლოგიური ციკლი. არიან ადამიანები, რომლებსაც 3-4 საათის ძილი ჰყოფნით, ზოგს კი 9 საათიც არ ჰყოფნის. მაგალითად, ცნობილია, რომ **ნაპოლეონს** დღე-ღამეში 3-4 საათი ეძინა. ეს არ არის დარღვევა იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი მეორე დღეს ხალისიანი და შრომისუნარიანია. **აინშტაინს** 11 საათის განმავლობაში ეძინა და მისთვის საჭირო რაოდენობა ეს იყო. გავრცელებული აზრი, რომ ადამიანისთვის აუცილებელია 7-8 საათი ძილი, არასწორია.

არსებობენ ადამიანები, რომლებსაც სურთ, ადრე დაიძინონ და ადრე ადგნენ, არიან პირიქითაც. როგორი ძილის შემდეგაც გრძნობს ადამიანი თავს კარგად მეორე დღეს, ის არის მისთვის მისაღები დრო. ეს ბიოლოგიური ციკლია, თუმცა, რასაკვირველია, შესაძლებელია რეჟიმის გამომუშავება, როდესაც, ვთქვათ, სამსახურს სჭირდება, თუმცა, ამისთვის დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ინსომნია, ანუ უძილობა არის სიმპტომი, რომელიც აღმოცენდება გარემო პირობების, ორგანული და ფსიქოლოგიური დარღვევების დროს. იმისათვის, რომ კარგად გეძინოთ, გაითვალისწინეთ რამდენიმე ფაქტორი:

**1.** მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას დაძინებამდე 3 საათის განმავლობაში;

**2.** შეინარჩუნეთ ძილის გრაფიკი. ღამის ცუდი ძილის შემდეგ დილით ნუ დაიძინებთ. ადექით ერთსა და იმავე დროს;

**3.** ვახშმის შემდეგ მოერიდეთ კოფეინის მიღებას — ყავას, ჩაის, შოკოლადს;

**4.** მოერიდეთ დილის თვლემას;

**5.** მოაწყვეთ საძინებელი მყუდროდ და კომფორტულად;

**6.** ნუ მოწევთ სიგარეტს;

**7.** ნუ მიიღებთ ბევრ საკვებს დაძინებამდე 2 საათის განმავლობაში;

**8.** მოერიდეთ ვარჯიშს დაძინებამდე 2 საათის განმავლობაში;

**9.** მოდუნდით დაწოლამდე — მოერიდეთ მუშაობას, სწავლას, ტელეფონზე საუბარს, კამათს.

## ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევით შეიძლება მოიხსნას უძილობა, ნერვული აღგზნება და სტრესი

***უძილობა, ნერვული აღგზნება და სტრესი თავისუფლად იხსნება ჭარხლის წვენისა და თაფლის ნარევის მიღებით. იგი მზადდება შემდეგნაირად:***

1. **ჭარხლის წვენი** — 2 წილი;
2. **თაფლი —** 1 წილი;

ჭარხლის წვენსა და თაფლს მინიშნებული რაოდენობით კარგად ვურევთ ერთმანეთში. ამის შემდეგ აუცილებელია, აღნიშნული ნარევი შენახული იქნას მაცივარში სულ ცოტა **4-5 საათი.**

**მიღება: 1/3 ჩაის ჭიქა დღეში ერთხელ ძილის წინ 40 წუთით ადრე.**

იგივე რეცეპტი ხმარების იგივე წესით კუჭნაწლავის მუშაობის მოწესრიგებისთვისაც გამოიყენება.





## გვირილის ყვავილის გამოყენება უძილობის დროს

**აღნიშნული ნაყენი გამოიყენება ასევე კოლიტის, კუჭისა და ნაწლავის სპაზმების და მეტეორიზმის დროსაც.**

ვიღებთ **1 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ გვირილის ყვავილს** და ვასხამთ **1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს,** ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე **1 საათი,** რის შემდეგაც ვწურავთ გამოწნეხვით მარლის საშუალებით.

**მიღება: 2 ს/კ დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე 20 წუთით ადრე.**



### უძილობისა და სისუსტის მკურნალობა

უხეშ სახეხზე ვხეხავთ უმ, მოუხარშავ ჭარხლის ბოლქვს. მიღებული მასით თავამდე ვავსებთ ქილას ან ფართოთავიან ბოთლს, მასში ვასხამთ არაყს, ვაყოვნებთ 12 დღე, რის შემდეგაც ვწურავთ.

**მიღება: 2 ს/კ დღეში 3-ჯერ ჭამის წინ.**

## ნერვული სისტემის მკურნალობა

***აღნიშნული რეცეპტი, რომელსაც აქ წარმოვადგენთ, უკეთესია, გაკეთებული იქნას გაზაფხულზე. იგი ამაგრებს ნერვულ და გულსისხლძარღვოვან სისტემას, ხსნის თავის ტკივილს.***

აქ წარმოდგენილი რეცეპტის დასამზადებლად ვიღებთ **0,5 ლ არარაფინირებულ მზესუმზირის ზეთს და 500 გ ხორცსაკეპში გატარებულ ნიორს, ვურევთ ერთმანეთში კარგად და 3 დღე-ღამის განმავლობაში ვდგამთ გრილ და ბნელ ადგილას. შინაარსით ნარევი ფაქტიურად წარმოადგენს „ნივრის ზეთს“.**

ცალკე ვიღებთ **300 გ ქერს** (შეიძლება ქერის მარცვალი შეცვლილი იქნას ქერის ბურღულით), სრულად ვფქვავთ ელექტროწისქვილში და ენერგიული მორევით ერთგვაროვანი მასის მიღებამდე ვურევთ „ნივრის ზეთს“. ნარევს ვინახავთ მაცივარში.

**მიღება: თითო ჩ/კ ჭამამდე 0,5 საათით ადრე.**

მკურნალობის კურსი: 30 დღე. კურსის გამეორება საჭიროა 5 წელიწადში ერთხელ. ხალხური მედიცინა ამავე რეცეპტით მკურნალობს გულსისხლძარღვოვან სიტემასა და თავის ტკივილებს.

## ნერვული სპაზმების მკურნალობა

***ნერვული სპაზმების მკურნალობისათვის ძალიან კარგ შედეგს იძლევა პიტნა, ბარამბო და გრაკლა. სპაზმების დროს, მითუმეტეს, როდესაც მას თან ახლავს თავის ტკივილი, შეიძლება გამოყენებული იქნას აღნიშნული მცენარეების ნარევის შემდეგი ვარიანტი:***

1. **პიტნა —** 1 ჩ/კ; 2. **გრაკლა** ან **ბარამბო —** 1 მწიკვი;

აღნიშნულ ნარევს ვყრით ჩაიდანში ჩაისთან ერთად და ვსვამთ ისე, როგორც ჩვეულებრივ ჩაის. კარგ შედეგს იძლევა, თუ შაქართან ერთად გამოყენებული იქნება შაქრის შემცვლელი — სორბიტი ან ქსილიტი; ამის შემდეგ ადამიანი აშკარად გრძნობს ნაღვლის წვენის ინტენსიური დენის ეფექტს, რაზედაც სწორედ დამოკიდებულია თავის ტკივილის მოხსნა.

ნერვული სპაზმებით გამოწვეული თავის ტკივილები შეიძლება მოხსნილი იქნას შემდეგი ნარევისაგან დამზადილი ჩაის ნაყენით:

**1. გვირილა; 2. კრაზანა; 3. ბაღის პიტნა**

თანაბარი რაოდენობით აღებული ასეთი მცენარეების ნარევიდან ვამზადებთ ჩვეულებრივად ჩაის დამზადების ანალოგიურ ნაყენს. ჩაის დალევის დროს 1 ჩაის ჭიქაზე ვამატებთ ასეთი ნაყენის 1-2 ჩაის კოვზს. სასურველია, თუ ასეთი ტიპის ჩაი გემოვნებით დამტკბარი იქნება თაფლით. ჩაის მიღების მომენტში სასურველია, თავი შეხვეული იქნას რაიმე ნაჭრით.

სპაზმების დროს სამკურნალოდ გამოიყენება პიტნის ეთერზეთიც. ამისათვის აღნიშნული ზეთის 2-3 წვეთს ვასხამთ მცირე რაოდენობის ვისკიში. არის მოსაზრება, რომ პიტნის ეთერზეთს შესწევს უნარი, ადამიანზე იმოქმედოს, როგორც სპაზმოლიტიკმა, რითიც ის კარგად ახერხებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შესული ტკივილის შეგრძნების ბლოკირებას.



თარაზულად: 1. დედამიწის ნახევარსფეროებად გამყოფი ხაზი; 10. ამერიკელი რეჟისორი; 11. ზღვაში მცურავი ყინულის მთა; 12. გამოყოფა; 13. შებრაწული კარტოფილი; 16. მათემატიკური მუდმივა; 17. მავნე შემწყნარებელი; 21. ყურის შიგნითა ნაწილი; 22. სახალიფო; 23. ქსენოფონტეს თხზულება; 28. მარიტას ბებია; 32. სრუტე ესპანეთსა და მაროკოს შორის; 33. დელიკატესი; 34. პოეტი ... კვიტაიშვილი; 35. სიგრძის საზომი ძვ. ერთეული; 36. თუთიყუშის სახეობა; 37. ხელზე მოსამსახურე ქალი (ძვ.); 38. ჰოლივუდის მსახიობი ქალი; 39. დასტურის სიტყვა; 40. რისთვის? 41. ტაილანდის ენა; 42. ინფორმაციის რაოდენობის ერთეული; 43. ღონე, არაქათი.

შვეულად: 2. კათოლიკური ჯვარი; 3. ფ. გარსია ლორკა — „ბერნარდა ... სახლი“; 4. ძვირფასი ლითონი; 5. ზამბახი; 6. რაიმე მოძღვრების მოწმე; 7. ტყუილი; 8. გვამის გაკვეთა; 9. ქალაქი იტალიაში; 13. აღმოსავლური თავსაბური; 14. ძარღვი, ბოჭკო (ანატ.); 15. თოხარიკი; 16. იტალიელი რეჟისორი; 17. სურამის ქედი; 18. ნიშნობის ბეჭედი (ძვ.); 19. აფრიკული პალმა; 20. სითხის საზომი ერთეული; 24. კალათბურთის გამომგონებელი; 25. განის ხერხი; 26. ფრანგი მწერალი; 27. შაბლონი, ტრაფარეტი; 28. რისამე ყველაზე ნაკლები რაოდენობა; 29. ზღვის უკან დახევა; 30. ალმასი, ბრილიანტი; 31. ეთიოპიის ძვ. სახელი; 35. ფილმი — „... დაიდარდო“; 36. გაზი (ზოგად); 38. საფუტკრე.



## ვიქტორინა

**1. ჟაკლინ კენედის გვარია —**

ა. მოპასანი; ბ. ბუვიე; გ. მორუა; დ. მარე.

**2. ფრანც კაფკა წარმოშობით იყო —**

ა. გერმანელი; ბ. ავსტრიელი; გ. ჩეხი; დ. პოლონელი.

**3. 1996 წელს ლას-ვეგასში გამართულ სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა —**

ა. პამელა ანდერსონმა; ბ. ალისია მაჩადომ; გ. ჯენი მაკორტმა; დ. ალექსანდრა ჰედისონმა.

**4. რაულ ამუნდსენი ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გაემგზავრა —**

ა. 1890 წელს; ბ. 1900; გ. 1919 წელს; დ. 1926 წელს.

**5. იაპონელებს კიმონოზე შემოჭერილი აქვთ —**

ა. სეძი; ბ. ხაჩიმაკი; გ. ობი; დ. იაშმაგი.

**6. პიესა „ჭინჭრაქას“ ავტორია —**

ა. გუგა ნახუცრიშვილი; ბ. ვინიონ დარასელი; გ. სანდრო შანშიაშვილი; დ. კიტა ბუაჩიძე.

**7. დევის გამოქვაბული მდებარეობს —**

ა. ზესტაფონის რაიონში; ბ. ხარაგაულის; გ. სამტრედიის; დ. საჩხერის რაიონში.

**8. თურქები „ყაზბეგის“ ნაცვლად სვამენ —**

ა. პილსენს; ბ. ელის; გ. ბალზამს; დ. ბენედიქტინს.

**9. 1950 წელს სად მოხდა 9-ბალიანი მიწისძვრა?**

ა. იტალიაში; ბ. ინდოეთში; გ. ავღანეთში; დ. ჩილეში.

**10. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი „ფიტო“ აღნიშნავს —**

ა. ფირს; ბ. განშტოებას; გ. მცენარეს; დ. ერთობლიობას;

**11. კოხინხინი შეიძლება —**

ა. შეკერო; ბ. დაკლა; გ. მოქსოვო; დ. დააუთოო.

**12. სამონასტრო კომპლექს „რკონით“ თავმოწონება შეუძლიათ —**

ა. გორელებს; ბ. ხაშურელებს; გ. ქარელელებს; დ. კასპელებს.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ეკვატორი; 10. როდრიგესი; 11. აისბერგი; 12. სეპარაცია; 13. ჩიფსი; 16. პი; 17. ლიბერალი; 21. ლაბირინთი; 22. ხალიფატი; 23. ანაბაზისი; 28. მარადია; 32. გიბრალტარი; 33. ნუგბარი; 34. ემზარ; 35. ადლი; 36. არა; 37. მხევალი; 38. სტრიპი; 39. კი; 40. რატომ; 41. ტაი; 42. ბიტი. 43. ილაჯი.

შვეულად: 2. კრიჟი; 3. ალბას; 4. ოქრო; 5. ირისი; 6. ადეპტი; 7. სიცრუე; 8. სექცია; 9. მილანი; 13. ჩალმა; 14. ფიბრა; 15. იორღა; 16. პონტი; 17. ლიხი; 18. ბელგა; 19. რაფია; 20. ლიტრი; 24. ნეისმიტი; 25. ბირდაბირი; 26. ზოლა; 27. სტანდარტი; 28. მინიმუმი; 29. რეგრესია; 30. დიამანტი; 31. აბისინია; 35. არ; 36. აირი; 38. სკა.











თარაზულად: 3. ერთგვარი სადესერტო ღვინო; 9. დანელიას ფილმი; 10. საპასუხისმგებლო თანამდებობა; 11. ფრანგი დრამატურგი; 12. სამხრეთ იტალიური ბანდიტების ორგანიზაცია; 13. სარგებლობა, გამორჩენა; 14. შრი-ლანკას ძველი სახელი; 17. ყაჩაღი გურიაში (ძვ.); 20. გამჭვირვალე ქაღალდი ნახაზების პირის გადასაღებად; 22. რასიზმის მომხრე; 23. გოლიათი; 24. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება; 25. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი.

შვეულად: 1. მტაცებელი ცხოველი; 2. აფრიკის სახელმწიფო; 3. გულადი, უშიშარი; 4. მატარებლის სამოძრაო ძელი; 5. ქალაქი სირიაში; 6. ღვთაებრივი ხარი; 7. რისამე საგანგებოდ შერჩეული ნარევი; 8. ცეცხლგამძლე აგური; 15. მდინარე რუსეთში; 16. სინესტე; 17. ერთი მუსიკალური თემის თანმიმდევრული გამეორება რამდენჯერმე; 18. ლატვიის დედაქალაქი; 19. ამერიკელი კინორეჟისორი; 20. ლურჯი საღებავი; 21. ამერიკული მოდების ჟურნალი; 22. ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქი.

თარაზულად: 3. მარსალა; 9. აფონია; 10. პოსტი; 11. მოლიერი; 12. კამორა; 13. სარფა; 14. ცეილონი; 17. ფირალი; 20. ლივი; 22. რასისტი; 23. გიგანტი; 24. ლიგა; 25. ოკარინა.

შვეულად: 1. აფთარი; 2. ანგოლა; 3. მამაცი; 4. რელსი; 5. ალეპო; 6. აპისი; 7. ასორტი; 8. დინასი; 15. ლისვა; 16. ნესტი; 17. ფუგა; 18. რიგა; 19. ლინი; 20. ლილა. 21. ვოგი; 22. რიო.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1. ბ; 2. ბ; 3. ბ; 4. დ; 5. ბ; 6. ა; 7. ბ; 8. ა; 9. ბ; 10. ბ; 11. ბ; 12. დ.

# მიხეილ ცაგარელი:

# თებერვალი არაერთგვაროვანი იქნება.

## პერიოდულად კი, შესაძლოა, საკმაოდ დაძაბულიც აღმოჩნდეს



*— თებერვლის პირველ დეკადაში რომელი ციური მოვლენა და პლანეტები განაპირობებენ და გაართულებენ ენერგეტიკულ მდგომარეობას და გაააქტიურებენ დაგროვილ უარყოფით ენერგიას? როგორ აისახება ეს ყოველივე ადამიანებსა და მოვლენებზე? რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ემოციური არამდგრადობა? მეორე დეკადის ბოლოს თვის რომელი რიცხვები შეიძლება აღმოჩნდეს ყველაზე სარისკო და საბედისწერო? რა იქნება ამის მიზეზი და განსაკუთრებით ვის მოეთხოვება სიფრთხილე და ყურადღების გამოვლენა? ეს დრო, ამის მიუხედავად, რას შეუწყობს ხელს? როდის დასტაბილურდება სიტუაცია? მზის გადანაცვლება მერწყულის ზოდიაქოდან თევზების ზოდიაქოში რა და რა თვისებებს გაამახვილებს? ამ პერიოდში მზის დამამუხრუჭებელი ასპექტის დასრულება პლანეტა სატურნთან და პლანეტა ვენერას გადანაცვლება ვერძის ზოდიაქოში რა პოზიტიურ სიახლეებს გამოიწვევს, მაგრამ, ამავდროულად, რა იქნება სასურველი ანდა გასათვალისწინებელი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორია წელიწადის ყველაზე მოკლე თვის თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი, რას უნდა ველოდოთ?**

— **თებერვლის თვე არაერთგვაროვანი იქნება. პერიოდულად კი შესაძლოა, საკმაოდ დაძაბულიც იყოს. იანვრის 27 რიცხვიდან დედამიწის ბიოსფერო ნეგატიური კოსმოსური ზეგავლენის ზონაში მოექცა, რაც 9 თებერვლამდე გაგრძელდება. მზისა და მთვარის ტრანზიტი და კუროს ზოდიაქოში მოძრავი პლანეტა ურანი კი მხოლოდ დაამძიმებს ისედაც რთულ ენერგეტიკულ მდგომარეობას. 5 თებერვლიდან პლანეტების მარსისა და ვენერას არასასიკეთო ასპექტი სავსემთვარეობასთან ერთად დაგროვილ უარყოფით ენერგიას გაააქტიურებს, რაც სასიცოცხლო ძალთა დაქვეითებას, ადამიანებს შორის კონფლიქტებსა და აგრესიულობას გამოიწვევს. ქვეყნებს შორის დაპირისპირებაც გაიზრდება, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაძაბავს საერთაშორისო მდგომარეობას.** ამგვარად, თებერვლის დასაწყისში შესაძლოა, გეგმები აირიოს და როგორც პირადი, ისე საქმიანი ურთიერთობებიც დაიძაბოს. ამ პერიოდში ზოგიერთისთვის სავსებით შესაძლებელია, კარიერა არასასიკეთოდ დასრულდეს. **6 თებერვლიდან კი შექმნილი ენერგეტიკული დისბალანსი შესუსტებას დაიწყებს და ეს განსაკუთრებით 10-12 რიცხვებიდან გახდება საგრძნობი.** დროის ამ მონაკვეთში დაძაბულობაც განიმუხტება, თუმცა, ზოდიაქოს ნიშნების წარმომადგენელთა უმეტესობას ჯერ კიდევ შეუნარჩუნდებათ ემოციური არამდგრადობა (20 თებერვლამდე) და ამ ფონზე შესაძლებელია, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბოს.

**— რა ტენდენციებია მოსალოდნელი თებერვლის მეორე დეკადაში?**

— **13 თებერვლიდან მთვარე თავის მეოთხე დაღმავალ ფაზაში გადავა და ზოდიაქოს ყველა ნიშნის წარმომადგენელთა აურასა და ენერგეტიკას დაასუსტებს.** ამ პერიოდში გაიზრდება დასნებოვნების ალბათობა, ხოლო გონების კონცენტრირების უნარი და მეხსიერება იკლებს. **ნიშანდობლივია, რომ ყველაზე სარისკო და საბედისწერო შესაძლოა, აღმოჩნდეს 18-19 თებერვლის დღეები, როდესაც მთვარე იმოძრავებს მერწყულის ზოდიაქოში.** ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება თითოეულ ჩვენგანს სატრანსპორტო საშუალებების მართვისას, ტექნიკური მოწყობილობებისა თუ ხელსაწყოების გამოყენებისას და საპასუხისმგებლო სამუშაოების შესრულებისას. ამავდროულად, თვის ეს პერიოდი ხელს შეუწყობს დესტრუქციული, დამამძიმებელი, ტოქსიკური კავშირებისა და ურთიერთობების დასრულებას და მომავალი ენერგეტიკული აღმავლობისათვის მზადებას. მითუფრო, რომ **19 რიცხვიდან** სიტუაცია დასტაბილურებას დაიწყებს, რადგან **მზე გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში და დაასრულებს პლანეტა სატურნთან დამამუხრუჭებელ ასპექტს.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში მზის გადანაცვლება მერწყულის ზოდიაქოს ნიშნიდან თევზების ზოდიაქოში?**

— **მზე 19 თებერვლის** (02.35) გადაინაცვლებს რა **მერწყულიდან თევზების ზოდიაქოს** ნიშანში, უახლოესი ერთი თვის მანძილზე გაამახვილებს და განავითარებს ადამიანებში მგრძნობელობას, ემოციურობას, იუმორს, სენტიმენტალურობას, რომანტიკულობას, ინტუიციას, თანაგრძნობის უნარს, კოსმოსური საიდუმლოებებით დაინტერესებას და ასევე ილუზიებს, ფიქრს წარსულზე, ცუდი აზრების მოზღვავებას, ზღვარგადასულ თანაგრძნობას, ტყუილებისკენ მიდრეკილებასაც. ნიშანდობლივია ისიც, რომ **20 თებერვლიდან პლანეტა ვენერა თევზების ზოდიაქოს** დატოვებს და **ვერძის ზოდიაქოს** ნიშანში გადაინაცვლებს. დაიწყება მეტად პროდუქტიული პერიოდი, რომლის დროსაც, სასურველი იქნება, ადამიანთა ენერგია მიმართული იქნეს წინა პერიოდში კარიერასა თუ ურთიერთობებში დაშვებული შეცდომების გამოსწორებისკენ და ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების აღდგენისკენ. თუმცა, თებერვლის ეს მონაკვეთიც წინდახედულობასა და მეტ აქტიურობას მოითხოვს. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში, **თებერვლის მეორე და მესამე დეკადა გაცილებით უფრო მშვიდი და ჰარმონიული იქნება, ვიდრე პირველი, რადგან ამ დროს სრულიად ახალი აღმავლობისა და განახლების ენერგეტიკული ციკლი ამოქმედდება.**

*რუბრიკას უძღვება*
*მარინა მერკვილაძე*

### 6-12 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
ამ პერიოდში შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყარო აღმოაჩინოთ, რაც თავდაჯერებას გაგიძლიერებთ, ახლობლები და მეგობრები თქვენს ცხოვრებაში დიდ როლს შეასრულებენ, მაგრამ მათ ურთიერთობებში ნუ ჩაერევით და პროვოკაციებსაც ნუ აჰყვებით, რათა ნერვიულობა ჯანმრთელობაზე უარყოფითად არ აისახოს. თქვენს ურთიერთობას რჩეულთან გარკვეული გარემოებანი გამოცდას მოუწყობს. კარგი პერიოდია გადაადგილებებისთვის და ახლო მანძილზე მოგზაურობისთვის.

**კურო** (21.04-20.05)
დიდი ფინანსური გარიგებისა და ოპერაციებისთვის არახელსაყრელი დროა. მატერიალური მდგომარეობის გამო ბევრი ჩანაფიქრის შესრულებას ჯერ ვერ შეძლებთ. ახლობლები მოსალოდნელ ფინანსურ დახმარებას ვერ გაგიწევენ. ფინანსური არასტაბილურობა თქვენს ურთიერთობას როგორც ოჯახში, ისე შეყვარებულთან დაძაბავს. სასურველია, თავისუფალი დრო ჯანმრთელობასა და სპორტს დაუთმოთ, მოგზაურობა კი გადადოთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
უემოციოდ ურთიერთობა გარშემო მყოფებთან გაგიჭირდებათ. თუმცა, მათი მეშვეობით შესაძლებელი იქნება სამომავლო გეგმების დასახვა. ექსტრემალური სიტუაციები გამჭრიახობას შეგმატებთ და თქვენს პროფესიონალიზმს გაზრდის. კარგი დროა პირადი ბიზნესის ძირეული მართვისთვის, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საბუთებს. პირად ურთიერთობაში გაუგებრობანი შესაძლოა, განწყობაზე აისახოს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ყველაფერი ზედმიწევნით უნდა გაამზადოთ ახალი იდეების განსახორციელებლად. გარკვეული ძალისხმევის მიუხედავად, ფინანსურ სფეროში დიდ ცვლილებებს ნუ ელით, თუმცა, შესაძლოა, ახალ პერსპექტიულ პროექტს საფუძველი ჩაეყაროს. სასიხარულო ამბები თქვენც და თქვენს ახლობლებსაც დიდ სიამოვნებას მოგგვრით. პირად საკითხში არ არის გამორიცხული გაურკვევლობა და საკამათო სიტუაციები. შორეული მოგზაურობა ჯობს, გადადოთ.

**ლომი** (23.07-23.08)
შრომისუნარიანობა მოგემატებათ და შედეგიც კარგი იქნება. შესაძლოა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლაზე ან გალამაზებაზე დაფიქრდეთ, მაგრამ ფულის უყაირათოდ ხარჯვას მოერიდეთ. ნათესავების მიერ გაცნობილი ადამიანები დამატებითი შემოსავლის მიღებაში დაგეხმარებიან. მეუღლესთან ან შეყვარებულთან საქმიანი თანამშრომლობა თქვენს ურთიერთობას ნაკლებად რომანტიკულს, თუმცა, მყარს გახდის. მოგზაურობისას ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიტყობთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
ხალხმრავალ ადგილებს მოერიდეთ და ფული ხელმომჭირნედ ხარჯეთ. სახლში უცნობებს ნუ მიიპატიჟებთ და ეცადეთ, ამ კვირაში რემონტი არ დაიწყოთ. მხოლოდ ამგვარად შეინარჩუნებთ როგორც შინაგან, ისე სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობას. პირად ცხოვრებაში გაუგებრობა ადვილად მოგვარდება, თუ ზედმეტად ემოციური არ იქნებით. მოგზაურობისას ჯანმრთელობის მიმართ სიფრთხილე გმართებთ.

### 6-12 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
არაერთ პრობლემას მოაგვარებთ გაზრდილი ფიზიკური აქტივობით. კარგი იქნება, თუ სწრაფად და დაპირისპირების გარეშე გათავისუფლდებით უნაყოფო კავშირებისა და ნივთებისგან. ამ კვირაში შესაძლოა, საინტერესო პერსპექტივები გამოჩნდეს, რასაც მცირეოდენი გარისკვა დასჭირდება, ენერგიული განწყობა და კონტაქტი უცხოელებთან პროფესიულ ზრდაში დაგეხმარებათ, მაგრამ მოგზაურობის დაწყება არ არის სასურველი. პირად ცხოვრებაში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
მიმდინარე მოვლენების შედეგად ფსიქოლოგიური პრობლემებისგან იოლად გათავისუფლდებით და ყველაფერს, რაც მოძველდა ან მოგბეზრდათ, შეცვლით. სასიყვარულო ურთიერთობა ან სამუდამოდ გამყარდება, ან განეიტრალდება. ბევრი ურთიერთობა და გართობა მყუდროებას დაგირღვევთ და მშვიდად ფიქრის საშუალებას არ მოგცემთ. ემოციებისგან გასათავისუფლებლად კარგია ქალაქგარეთ გამგზავრება და დასვენება.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
მეტი დრო დაუთმეთ ახალი წინადადებების განხილვას, რადგან შესაძლოა, ინფორმაცია სრული არ იყოს ანდა შემოწმებას საჭიროებდეს. სასიყვარულო სფეროში ცვლილებები არ არის რეკომენდებული, რათა ფსიქოსომატური მდგომარეობა არ გაიუარესოთ და დაღლის შეგრძნება არ გაიძლიეროთ. მძიმე ფიზიკურ შრომასა და ვარჯიშს თავი აარიდეთ. შორეული მოგზაურობა ან მივლინება ჯობს, გადადოთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ საჭის მართვისას.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ფინანსური გარიგებებისთვის არახელსაყრელი პერიოდია, რადგან შესაძლოა, დანაკარგი განიცადოთ. სამაგიეროდ, თქვენს ხიბლს ამ პერიოდში გვერდს ვერავინ აუვლის. განსაკუთრებით კი საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლები. ოჯახში არსებული პრობლემები ჯობს, დროულად მოაგვაროთ. უცხოელებთან კონტაქტები მინიმუმამდე შეამცირეთ, რათა ემოციური მდგრადობა შეინარჩუნოთ. გადაადგილებებისას სიფრთხილე გმართებთ, რათა არ დაშავდეთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ჩანაფიქრების განხორციელების დროა. მომატებული ენერგიითა და ჩინებული განწყობით ადვილად გაუმკლავდებით სირთულეებს. ახალი კავშირები და ინფორმაცია სასიკეთოდ აისახება მომავალზე. ახალი საქმე ან ერთობლივი პროექტი კი მომგებიანი და გრძელვადიანი აღმოჩნდება. შესაძლოა, სამოგზაუროდ გაემგზავროთ, რომლის დროსაც მაღალი იქნება სასიყვარულო ურთიერთობის დაწყების ალბათობა.

**თევზები** (19.02-20.03)
დაქვეითებული ენერგია სრულფასოვანი მოქმედებისა და სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებას არ მოგცემთ, თუმცა, ახლობლებისთვის გაწეული დახმარება ავტორიტეტს აგიმაღლებთ. კარგი პერიოდია ინდივიდუალური შემოქმედებისთვის. გარისკვა და შორეული მოგზაურობა ამ პერიოდში გამართლებული არ იქნება, რადგან დანახარჯის ანაზღაურებას დიდი დრო დასჭირდება. ცხოვრებაში არსებული გაუგებრობანი კი შესაძლოა, სიზმრებში აისახოს.



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
## 7, 8 და 10 თებერვალი

**5 თებერვალი – სავსემთვარეობა, პიკი 22.31 საათზე;**
**20 თებერვალი – ახალმთვარეობა, პიკი – 11.09 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 6 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.08 საათზე, ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 18.56 საათზე, ჩადის 7 თებერვალს 08.50 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 18.47 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.15 საათიდან 23.59 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს სულიერი სიმშვიდე შეინარჩუნეთ და უცერემონიო ქმედებას ერიდეთ. კარგი დღეა კოლექტიური ძალისხმევისთვის, ძვირფასი ნივთის, საჩუქრების, ლატარიის ბილეთის შესაძენად, თვალებისა და ნერვული სისტემის მკურნალობისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, იურიდიული საქმეებისთვის, მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ემოციური გადაღლა, ნერვიულობა, სიმძიმეების აწევა, ქორწინება, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, სოლარიუმში ვიზიტი, ბინის შეცვლა, მცენარეთა დარგვა-გადარგვა. ჩანაფიქრი დღეს სხვა გზით მოგვარდება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 7 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.07 საათზე, ჩადის 18.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.13) ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 19.58 საათზე, ჩადის 8 თებერვალს 09.15 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 20.04 საათზე, მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.14 საათამდე. **გეომაგნიტურია დღის** II ნახევარი. **ტენდენციები:** დღეს ყოველდღიური საქმით შემოიფარგლეთ! კარგი დღეა დალაგება-დასუფთავებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სწავლისთვის, ვაჭრობისთვის, ავეჯისა და ტანსაცმლის განახლება-მოწესრიგებისთვის, მედიკამენტების შესაძენად, აუდიტისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გამოცდის ჩაბარება, სარისკო ქმედება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** ყვითელი და მწვანე იასპი, მალაქიტი, აქატი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 8 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.06 საათზე, ჩადის 18.25 საათზე. **მთვარე** ქალწულის ზოდიაქოშია. ამოდის 21.01 საათზე, ჩადის 9 თებერვალს 09.36 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 21.21 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს უფრო მეტად გაერკვიეთ საკუთარ ღირსება-ნაკლოვანებებში. კარგი დღეა საფინანსო-საბანკო ოპერაციებისთვის, აუდიტისთვის, ხელსაქმეობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, წესრიგის დასამყარებლად, ტანსაცმლის, ჰიგიენური საშუალებებისა და მედიკამენტების შესაძენად, ვაჭრობისთვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, გამოცდის ჩაბარება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ზედმეტი პირდაპირობა და კრიტიკულობა. შესაძლოა, დიაბეტის გამწვავება, ამიტომ ტკბილ საკვებს ნუ მიიღებთ. ხელი შეეწყობა დიეტას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი. **ქვები:** მწვანე და ყვითელი იასპი, მალაქიტი, ონიქსი, აქატი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მერწყულისთვის.

## 9 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.05 საათზე, ჩადის 18.26 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (12.38) სასწორის ზოდიაქოში. ამოდის 22.03 საათზე, ჩადის 10 თებერვალს 09.56 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 22.38 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 10.40 საათიდან 12.40 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს მაღალი ალბათობაა არაკვალიფიციური ტექმომსახურებისა, რაც შემდგომ უსიამოვნებებს დაუკავშირდება, რადგან წვრილმანმა ტექნიკურმა პრობლემამ შესაძლოა, მსხვილი ავარია გამოიწვიოს. დღეს და ხვალ, ძირითადად, ეცადეთ, დაისვენოთ და მოერიდეთ არამოტივირებულ ქმედებას, ფაციფუცს. ოჯახსა და სახლს მეტი დრო დაუთმეთ. მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. არ არის სასურველი ხალხის მასაში ყოფნა, ზედმეტი სითხის მიღება. შედეგიანი იქნება კბილების მკურნალობა, წელის, ტერფებისა და თირკმლის მერიდიანზე წერტილოვანი მასაჟი, არომათერაპია. კარგი დღეა ქორწინებისთვის, მკურნალობისთვის, გასართობი ღონისძიებებისთვის. შესაძლებელია საკამათო საკითხის გადაჭრა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ფირუზი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის.

## 10 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.04 საათზე, ჩადის 18.27 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 23.07 საათზე, ჩადის 11 თებერვალს 10.16 საათზე (მთვარის 21-ე დღე იწყება 23.56 საათზე. მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღე არის ტრავმულ-ავარიული, გზაში მეტი ყურადღება გმართებთ. მაღალია აურის ენერგოდაბინძურების ალბათობა. ურთიერთობისას რთულია კომპრომისის მოძიება და ასევე მაღალია ჭორების, ცილისწამების, სიცრუის, ინტრიგების ალბათობაც. ხელი შეეწყობა შემოქმედებას, კბილების მკურნალობას, კოსმეტიკურ პროცედურებს, ზედმეტი წონისგან გათავისუფლებას. კარგი დღეა ქორწინებისთვის, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, მუსიკალური აპარატურის, ავეჯის შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, კანი, თირკმლები. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, საფირონი, ქარვა. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 11 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.02 საათზე, ჩადის 18.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.22) ღრიანკალის ზოდიაქოში. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 12 თებერვალს 10.37 საათზე (მთვარის 21-ე დღე გრძელდება, მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 20.41 საათიდან 22.22 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს გონების, ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში (3 მარტამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, რეფორმებისა და სიახლეებისკენ მიდრეკილებას, თავისუფლებისკენ სწრაფვას და ასევე სულსწრაფობასა და სიჯიუტესაც. სასურველია, დღე დინამიკურად გაატაროთ, საოჯახო საქმეები მოაგვაროთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, მოკლე მანძილზე მოგზაურობისთვის, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერიის შესაძენად, თანამშრომლობისთვის, მკურნალობისთვის, მასაჟისა და არომათერაპიისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი სითხისა და ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი, ოპალი, აკვამარინი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თევზებისთვის.

## 12 თებერვალი, კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 08.01 საათზე, ჩადის 18.30 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 00.12 საათზე, ჩადის 10.59 საათზე (მთვარის 22-ე დღე იწყება 01.18 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შეცდომას იუმორით მიუდგებით, თუმცა, მათ გამოსწორებაზეც იზრუნეთ. ეცადეთ, ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე შეინარჩუნოთ. პარტნიორთან შესაძლებელია გულახდილი საუბარი. ამავდროულად, მეტი იმოძრავეთ. ეფექტური იქნება კოსმეტიკური პროცედურები. კარგი დღეა თვითშემეცნებისთვის, კომპეტენტურობის გამოსავლენად, გეგმების დასახვისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ცხოველების შესაძენად, მოსაპირკეთებელი სამუშაოებისთვის. არ არის სასურველი მგზავრობა, ახალი საქმის დაწყება, ინტიმური კონტაქტები, ბინის შეცვლა, სესხის აღება. აკონტროლეთ ეჭვიანობა, სარკაზმი. ცუდი აზრები დაიოკეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ობსიდიანი, ონიქსი, მარჯანი, ზურმუხტი, იასპი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის.





**7 თებერვალი - ხსენება მღვდელმთავრისა გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა**



**11 თებერვალი - ხსენება მოწამისა მეფისა აშოტ დიდისა, კურაპალატისა**

✝ 6 თებერვალი. ორშაბათი. **წმინდა მელქისედეკ I-ისა, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებელისა;** ღირსისა ევსებია დედათდიაკონისა, რომელსა ეწოდა ქსენია, რომაელისა და ორთა მსახურთა მისთა; მოწამეთა: ბაბილა სიცილიელისა და მოწაფეთა მისთა ტიმოთესი და აგაპისა; ღირსისა მაკედონისა, სირიელი მეუდაბნოისა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ღირსმოწამისა ანასტასი სპარსისა; ნეტარისა ქსენია პეტერბურგელისა, სალოსისა.

✝ 7 თებერვალი. სამშაბათი. **გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა;** გაბრიელისა, იმერეთის ეპისკოპოსისა; მოწამისა ფილიცატასი; ღირსისა პოპლისა; ღირსისა მარი მგალობელისა; ღირსისა კასტინოსისა, ბიზანტიონის ეპისკოპოსისა.

8 თებერვალი. ოთხშაბათი. **კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებელისა; ღირსთა: ქსენოფონტისა, მეუღლისა მისისა მარიამისა და ძეთა მათთა არკადისა და იოანესი;** მოწამეთა: ანანია ხუცისა, პეტრე მეჭურჭლისა და მათთანა შვიდთა მხედართა, რომელნი იტანჯნეს ფინიკეს. ღირსისა სვიმეონ ძველისა, სინელისა; აღმოყვანა წმიდათა ნაწილთა ღირსისა თეოდორესი, სტუდიელი იღუმენისა; წმიდათა ორთა მოწამეთა; ღირსისა ამონისა; ღირსისა გაბრიელ იერუსალიმელისა; ღირსისა კლიმენტისა, საგმატიოსის მთაზე მოღვაწისა; წმიდისა პავლა ქვრივისა.

✝ 9 თებერვალი. ხუთშაბათი. **იოანე ოქროპირის წმიდათა ნაწილთა აღყვანება აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლს;** კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარკიანასი; ელიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა პეტრე მეგვიპტელისა; მოწამისა დიმიტრისა კონსტანტინოპოლში; დიმიტრიანესი, ტამასოს ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

✝ 10 თებერვალი. პარასკევი. **ღირსისა ეფრემ ასურისა;** ღირსისა პალადი მეუდაბნოისა; ღირსისა ისაak ასურისა, ნინევიის ეპისკოპოსისა; ღირსისა იაკობ დაყუდებულისა, ეპისკოპოსისა, რომელსა შეემთხვა დაცემა სიძვითა; ორთა მოწამეთა — დედისა და ასულისა; მოწამისა ქარისასი.

✝ 11 თებერვალი. შაბათი. **აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მღვდელმოწამისა ეგნატე ღმერთშემოსილისა; მოწამისა მეფისა აშოტ დიდისა, კურაპალატისა, არტანუჯის ტაძარში წამებულისა.**

✝ 12 თებერვალი. კვირა. **უძღები შვილის კვირიაკე. კრება ახალმოწამეთა და აღმსარებელთა. კრება მსოფლიოთა მოძღვართა და დიდთა მღვდელმთავართა: ბასილი დიდისა, გრიგოლ ღმრთისმეტყველისა და იოანე ოქროპირისა.**





საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა
გიდმედი
გჯობდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

თამარისი Tamarisi
დაინახე:



ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას 38
571 19 93 93 598 79 40 00
www.facebook.com/tamarisioptics



მაღაზია «ბუკვინცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. საფერავი; 7. მელოდია; 11. ლავსანი; 12. კარამბოლი; 13. რეტორტა; 14. თურმანი; 15. ტატრები; 16. კრაზანა; 17. ნიადაგი; 18. ნაილონი; 21. ნეირიტი; 24. ირა; 26. ბინომი; 30. ზურნა; 31. ნომერი; 32. სმალტა; 33. დიპლომი; 34. რძალი; 35. ნერონი; 36. კორიფე; 39. შტაბელი; 40. ჯილი; 42. ძვირი; 44. პედანტი; 45. ჭირიმე; 49. ნერპა; 50. პანდა; 51. ოფსაიდი; 55. დამღა; 56. რიწა; 57. ფერმერი; 58. ტრავერსი; 59. რენდი; 60. ორბი; 61. ორინოკო.

შვეულად: 1. სეკატორი; 2. ფარატინა; 3. რამზესი; 4. ვიოლინო; 5. კვარტალი; 6. კარავაჯო; 7. მირიკინი; 8. ლიტრაჟი; 9. დარბაზი; 10. ანაბარი; 11. ლითონი; 19. ლაზარე; 20. ნარვალი; 22. რემარკი; 23. ტერენტი; 25. რემბო; 26. ბადიში; 27. ნაპრალი; 28. მშობელი; 29. ალტი; 31. ნინიძე; 36. კოპიო; 37. როდის; 38. ფანდი; 40. ჯინი; 41. ლარდი; 43. რანჩერო; 45. ჭადარი; 46. რომანი; 47. მკაფიო; 48. შაპიტო; 50. პორტი; 52. ფური; 53. არვე; 54. დარი; 56. რიო.

**ბინადარიკოსინუსიტიტრიადაჯოკერიალიბიდოლარი**
**კაპიტალიონიქიაჩელინიპელიკანიჯაფარაონისელი**

| მობინადრე | ტრიგონომეტრიული ფუნქცია | წარწერა ფილმის კადრზე | მუსიკალური ნაწარმოების შესრულების ნელი ტემპი | იგივეა, რაც კერა | ფსიქოანალიზის ძირითადი ცნება | ქართული ფულის ერთეული |
|---|---|---|---|---|---|---|

| ცალკე საცხოვრებელი სადგომი | სიმონას ცოლი (ლიტ.) | ცხვირის ლორწოვანას ანთება | სამება, სამეული | ბანქოს თამაში | უდანაშაულობის საბუთი | აშშ-ის ვალუტა |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 1. ქართული ღვინო; 7. ჰანგი, მოტივი; 11. ხელოვნური ბოჭკო; 12. ბილიარდის წითელი ბურთი; 13. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 14. ამერიკელი მსახიობი უმა...; 15. მთიანეთი ევროპაში; 16. ბზიკი; 17. დედამიწის ქერქის ზედა შრე; 18. ხელოვნური ბოჭკოს ერთგვარი ქსოვილი; 21. ნერვული უჯრედის დანამატი, რომელიც ნერვულ იმპულსს ატარებს პერიფერიისაკენ უჯრედის სხეულიდან; 24. ირლანდიის არმია; 26. მათემატიკური ორწევრი; 30. ჩასაბერი საკრავი; 31. ერთგვაროვანი საგნების რიგის მაჩვენებელი რიცხვი; 32. სამოზაიკე მინა; 33. უმაღლესი განათლების მიღების მოწმობა; 34. დედამთილის „ოპოზიცია"; 35. რომის იმპერატორი; 36. კორდებალეტის მთავარი მსახიობი; 39. წესიერი გეომეტრიული ფორმით დაწყობილი რამ; 40. იტალიელი საოპერო მომღერალი მამაკაცი; 42. „იაფის" ანტონიმი; 44. ასოკირკიტა ადამიანი; 45. საალერსო სიტყვა; 49. სელაპის სახეობა; 50. ენოტების ოჯახის პატარა მტაცებელი ცხოველი; 51. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში; 55. დაღი; 56. ტბა აფხაზეთში; 57. ფერმის პატრონი; 58. ალპინისტების გადასვლა მთაგრეხილის თხემზე; 59. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ვალუტა; 60. მტაცებელი ფრინველი; 61. მდინარე სამხრეთ ამერიკაში.

შვეულად: 1. მცენარის ტოტების მოსაჭრელი სპეციალური მაკრატელი; 2. ძველი ქსოვილის, ქაღალდის ნაგლეჯი, ნაფლეთი; 3. ეგვიპტის ფარაონი; 4. ხემით დასაკრავი ოთხსიმიანი საკრავი; 5. ოთხ ქუჩას შორის მოქცეული ქალაქის ნაწილი; 6. იტალიელი ფერმწერი; 7. სამხრეთ ამერიკული მაიმუნის სახეობა; 8. ჭურჭლის ტევადობა, რაც ლიტრებით იზომება; 9. დიდი სასტუმრო ოთახი სახლში (ძვ.); 10. ბანკში შეტანილი ფული; 11. მეტალი (ზოგად.); 19. ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა; 20. დელფინების ოჯახის ცხოველი ე.წ. ზღვის მარტორქა; 22. გერმანელი მწერალი; 23. პოეტი ... გრანელი; 25. ფილმი ს. სტალონეს მონაწილეობით; 26. შვილიშვილი; 27. დიდი, ღრმა ბზარი; 28. დედა ან მამა შვილების მიმართ; 29. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა; 31. ქართველი მსახიობი მერაბ ...; 36. ასლი; 37. რა დროს? 38. ჭიდაობის ხერხი; 40. ბოთლში გამომწყვდეული ზღაპრული არსება; 41. გადამდნარი ღორის ქონი; 43. რანჩოს მეპატრონე; 45. ერთგვარი დატოტვილი ხე; 46. დიდი მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოები; 47. ნათელი, გამოკვეთილი; 48. მოძრავი ცირკი, რომელიც წარმოდგენებს კარავში მართავს; 50. ნავსადგური; 52. დედალი ირემი; 53. ცხენების ჯოგი; 54. კარგი ამინდი; 56. ოსტაპ ბენდერის ოცნების ქალაქი (ლიტ.).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ქონება, სიმდიდრე | ფრჩხილის ბუდის ანთება | იტალიელი მოქანდაკე | ვარსკვი | ჩხიკვი | მსახიობი ... ონიანი | ამერიკელი მწერალი ქალი |
|---|---|---|---|---|---|---|

| კაუჭი | დანაშაულის ფარდი შურისძიება | ქართველი მწერალი | მილების გადასაბმელი ლითონის მილაკი | არგენტინელი ფეხბურთელი | ძველი ეგვიპტის მეფეების ტიტული | ბოჭკოვანი მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზვიადისტური

ასავალ დასავალი

2023 წლის 6 - 12 თებერვალი №7 (1471)

გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**

2 009882 637296

